www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
ორშაბათი, 17 მარტი, 2003 წელი. №74 (286)
ფასი 50 თეთრი

# ბრძოლა დამთავრდა, ბრძოლები წინ არის

გიორგი ასანიშვილი

*საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ლიტვაში გამგზავრების წინ, ნინო ბურჯანაძემ აეროპორტში სპეციალური ბრიფინგი გამართა. გუშინ მან კომენტარები გააკეთა გასულ კვირას საკანონმდებლო ორგანოში განვითარებულ მოვლენებზე, რომლის მთავარ შედეგად ოპოზიციის მიერ სახელისუფლებო ფრაქციების ბეჭებზე გაკვრა იქცა.*

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, მთელი კვირის განმავლობაში ცდილობდა, დაერწმუნებინა პრეზიდენტი, რომ ე.წ. "შერბილებული ვეტოს" უფლების გამოყენება და პარლამენტის მიერ 28 თებერვალს მიღებული კანონის უკან დაბრუნება (შენიშვნების თანდართვით) მიზანშეწონილი იყო.

**"ეს იქნებოდა შექმნილი ჩიხური მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც არწმუნებდნენ შევარდნაძეს, რომ ვეტოს გამოყენების შემთხვევაში, ურთიერთობები პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის სერიოზულად დაიძაბებოდა. ჩემი აზრით კი, სწორედ ვეტოს უფლების არგამოყენება ართულებს ამ ურთიერთობებს",** - მიიჩნევს უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების ხელმძღვანელი. მისთვის არც ის არის გამოცანა, თუ რატომ იქცევიან აგრესიულად პრეზიდენტის "მრჩევლები".

გაგრძელება A2 გვერდზე



*პარლამენტის თავმჯდომარე!*

## მოსალოდნელი შეტევა პარლამენტის თავმჯდომარეზე

### სახელისუფლებო ფრაქციების ლიდერთათვის წამმზომი ჩაირთო

ბადრი კოპლატაძე

*ნინო ბურჯანაძის გადაყენების მცდელობამ დღევანდელ პარლამენტში თითქმის პერმანენტული ხასიათი მიიღო. საარჩევნო კოდექსის განხილვამდე, ალბათ, საბოლოო, გადამწყვეტი იერიშის მომსწრენიც გავხდებით.*

ოთხდღიანი ბატალიების და აშკარა რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობამ ჯერჯერობით ვერ შეძლო იმ კანონის გაუქმება, რომელმაც სახელმწიფო მინისტრის ისედაც კრიტიკული მდგომარეობა თითქმის უიმედო გახადა. სახელმწიფო კანცელარიამ ამჯერადაც არ უღალატა ტრადიციას და ოპოზიციასთან დაპირისპირება ხელების გადაგრეხვით სცადა, თუმცა, როგორც პარლამენტის სხდომაზეც ითქვა, ძალას გონი თუ არ მიეშველა, შედეგი ყოველთვის ნულოვანი იქნება.

დღეს უკვე აღარავინ დავობს, რომ მინიმალური ხელფასის შესახებ კანონის გაუქმება მთავრობისათვის პრინციპის საკითხად იქცა. სახელმწიფო მინისტრი, ძალების სრული მობილიზებით, ცდილობს დაუმტკიცოს პრეზიდენტს, რომ მომავალი პოლიტიკური ბატალიებისათვის მას პოტენციალი აქვს შემორჩენილი. მაგრამ, ოპოზიციის მანევრებმა თემატური უმრავლესობის ყველა სისუსტე სააშკარაოზე გამოიტანა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## გადასახადის გადამხდელის გაძარცვის კიდევ ერთი მცდელობა

### ობიექტური გარემოებებით ნაკარნახები შეღავათები თუ კერძო ინტერესები?

ზურაბ ნოღაიდელი

შარშან, წლის ბოლოს, მოქალაქეთა კავშირის საპარლამენტო ფრაქცია პარლამენტში შევიდა საკანონმდებლო ინიციატივით საგადასახადო კოდექსში მორიგი ცვლილებების შესახებ.

ყბადაღებულ 273-ე მუხლს კანონპროექტით ემატება კიდევ სამი 64-66 ნაწილები:

**2008 წლის 1 იანვრამდე ენერგოგენერაციის ობიექტების მშენებლობისა და სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დამატებული ღირებულებისა და მოგების გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ;**

**2006 წლის 1 იანვრამდე ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტების მიერ ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებით მიღებული პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების დამატებული ღირებულებისა და მოგების გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ;**

**2006 წლის 1 იანვრამდე მეფრინველეობის დარგის ობიექტების მიერ მეფრინველეობის პროდუქციის (ხორცი, კვერცხი და ა.შ) წარმოებისა და მიწოდების დამატებული ღირებულებისა და მოგების გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ.**

ისე, კაცმა რომ თქვას, მოგების გადასახადით იბეგრება არა მშენებლობისა და სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, არამედ მიღებული შემოსავალი (მოგება), ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადით - სამუშაოები კი არა, არამედ სამუშაოების მიწოდება. აქ ჩვენ ბევრი შეგვეძლო გველაპარაკა პროექტის ავტორების (საინტერესო კია, ვინ არის პროექტის ავტორი?) არაკომპეტენტურობაზე, მაგრამ ეს არ არის ჩვენი ამოცანა. ჩვენი ამოცანა არც პროექტის პოლიტიკური შეფასებაა. უბრალოდ, გვინდა წარმოგიდგინოთ ჩვენი შეხედულებები პროექტის შინაარსზე.

გაგრძელება A4 გვერდზე

## მწვანე წმინდანი, მწვანე სამყურა და მწვანე კულტურა

თამარ ბაბუაძე

*დღეს დილას ავდგები და მწვანეებს ჩავიცვამ. ოღონდ, ამჯერად ხეებისა და ყვავილების სიყვარული არაფერ შუაში იქნება. დღეს მე ისევე, როგორც მილიონობით ირლანდიაზე შეყვარებული ადამიანი მსოფლიოს გარშემო, მწვანე ფერის სამოსს წმინდა პატრიკს მივუძღვნი – ქვეყნის მფარველ წმინდანს, რომლის გარდაცვალების დღეც, 17 მარტიც, ზოგადად ირლანდიური ფენომენის ზეიმად იქცა.*

თავიდან იყო მხოლოდ ზეიმის ერთი დღე. შემდეგ დღესასწაული 3 დღეზე გაჭიმეს, წელს კი, დუბლინელებმა ცოტა იფიქრეს, თუ ბევრი, დაასკვნეს: მუსიკა, მწერლობა და მთლიანად მსოფლიო პოპ-კულტურა იმ დონეზეა სავსე ყველაფერი ირლანდიურით, რომ ქვეყნის ეროვნული დღესასწაული ერთკვირიანი აღნიშვნის ღირსიც გახლავთ. ასე ჩაეყარა საფუძველი წმინდა პატრიკის ფესტივალს, რომელიც წელს 11 მარტიდან დაიწყო და პიკს დღეს, 17 მარტს – წმინდა პატრიკის გარდაცვალების დღეს მიაღწია.

გაგრძელება B7 გვერდზე



*პატარა ირლანდიელი სამყურას ფოთლით.*

## გულუბრყვილო პოზიცია ერაყის ომის მიმართ

გიორგი ხელაშვილი

*ერაყის შემდეგ, ბუშის ადმინისტრაციის სამიზნე შეიძლება ირანი აღმოჩნდეს, საქართველო კი, ამერიკელთა სამხედრო პლაცდარმად გადაიქცეს.*

ერაყში ომის დაწყებამდე, ალბათ, ორიოდე დღეღა რჩება. და საკვირველია, რომ ამ ომის თაობაზე საქართველოში გამართული იშვიათი საუბრებისას ბუშის ადმინისტრაციის მომხრეებიცა და მოწინააღმდეგეებიც მხოლოდ გლობალური არგუმენტებით კამათობენ. თუ ბუშის მომხრეები არგუმენტად სადამ ჰუსეინის რეჟიმის ანტიჰუმანურ ხასიათს იშველიებენ, მოწინააღმდეგეები მაშინვე ომის ზნეობრივ გაუმართლებლობაზე, მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლსა და ამერიკული იმპერიალიზმის საშიშროებაზე ალაპარაკდებიან ხოლმე.

როგორც ჩანს, საქართველოს საზოგადოებრიობის დამოკიდებულება ერაყის კონფლიქტის მიმართ საოკეანო ლაინერის კომფორტული კაიუტის ილუმინატორიდან ქარიშხლის თვალიერებას წააგავს. არადა, ჩვენ ხომ მსოფლიო პოლიტიკური ოკეანის ტალღებზე ატორტმანებული ერთი ნახევრადდაშლილი ტივის – "საქართველოს" – მგზავრები ვართ და ქარიშხალიც სულ უფრო გვიახლოვდება.

ვთქვათ, "რიგითი მოქალაქეების" პოზიციას დიდი მნიშვნელობა არცა აქვს, მაგრამ მთავრობის მიდგომაც რომ არაა დიდად განსხვავებული? ედუარდ შევარდნაძე ისე იქცევა, თითქოს პატარა საქართველოს პრეზიდენტი კი არა, კვლავაც ყოვლისშემძლე ზესახელმწიფოს გავლენიანი საგარეო საქმეთა მინისტრი იყოს. მეტისმეტი ფუფუნება ხომ არ არის პატარა ქვეყნისთვის გლობალური საკითხების ზურგზე წამოკიდება?

გაგრძელება A3 გვერდზე

### პოლიტიკა

**მოსალოდნელია სერიოზული ძვრები მთავრობაში**

ავთანდილ ჯორბენაძეზე სახელმწიფო კანცელარიაში უკვე წარსულ დროში საუბრობენ. სიტუაცია ცვლილებისთვის მომწიფებულია და ამის შესახებ თავად ავთანდილ ჯორბენაძემ ყველაზე უკეთ უწყის.

A3

### ეკონომიკა

**ნავთობის რეზერვები გახსნისთვის მზადაა**

საერთაშორისო ენერგეტიკის სააგენტომ (სეა) – ორგანიზაციამ, რომელიც ნავთობის მარაგების გამოყენების კოორდინაციითა არის დაკავებული – თავის წევრებს ბოლო ათწლეულის განმავლობაში პირველად განუცხადა, რომ თავის სტრატეგიულ რეზერვებს გახსნის.

A4

### უცხოეთი

**სადამს ერაყი საომარ მდგომარეობაზე გადაჰყავს**

პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა ერაყი საომარ მდგომარეობაზე გადაიყვანა და თავის ვაჟსა და სამ ნდობით აღჭურვილ ადამიანს ქვეყნის ოთხი სამხედრო რეგიონი ჩააბარა.

A5

### საზოგადოება

**სახელმწიფო გორგასლისა და ღირსების ორდენის კავალრებს ატყუებს**

გორგასლისა და ღირსების ორდენის კავალრებს სახელმწიფო ჯილდოებთან ერთად, კანონით, ფულადი პრემიებიც უნდა გადაეცეთ. თუმცა, ჩვენი ქვეყნის ორდენოსნებს სახელმწიფოსაგან არც ერთი კაპიკი არ მიუღიათ.

A6

### სამართალი

**ჰააგიდან ჯერ მხოლოდ იმედები ჩამოიტანეს**

საქართველოდან ჰააგაში მივლენილი დელეგაცია, აფხაზეთის იუსტიციის მინისტრის პაატა დავითაიას ხელმძღვანელობით, გუშინ თბილისში დაბრუნდა. მათ მიერ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში ჩატანილ განცხადებას თან ვიზუალური მასალაც ახლდა – დამადასტურებლად იმისა, თუ როგორ ექცევიან აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველებს.

A7

### სპორტი

**გიორგი ნემსაძე: "გამარჯვების იმედი რომ არ მქონდეს, თბილისში არც ჩამოვიდოდი"**

B4

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 6 |
| ქუთაისი | 9 |
| ბათუმი | 6 |
| სოხუმი | 7 |
| ფოთი | 7 |
| თელავი | 6 |
| ზუგდიდი | 9 |
| გორი | 4 |
| ახმეტა | 6 |
| ჭიათურა | 7 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1600 |
| ევრო | 2.3337 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4493 |
| რუბლი | 0.0688 |

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ავტომობილი
B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## ემზარ კვიციანი კოდორის ხეობის დანაღმვას უარყოფს

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი არ უარყოფს სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროს განცხადებას იმის შესახებ, რომ ქართული მხარე ხეობის მისადგომებს ნაღმავს. როგორც კვიციანმა გუშინ განაცხადა, მოულოდნელობების თავიდან ასაცილებლად კოდორის ხეობის მთავარი მიმართულება პერმანენტულად ინაღმება.

"იმაში, რომ ქართულ მხარეს სოფელ ქვაფჩარის მიდამოები და სხვა ტერიტორიები დანაღმული აქვს, დასამალი არაფერია, ვინაიდან ვიდრე არსებობს საშიშროება, ადგილობრივი მოსახლეობა იძულებულია, მზადყოფნაში იყოს" - განმარტა რწმუნებულმა.

მისივე თქმით, ხეობაში გაეროსა და რუსი სამშვიდობოების შესვლის წინ ქართული მხარე თავად აწარმოებს განაღმვით სამუშაოებს სოფელ ქვაფჩარასთან, მათი გასვლის შემდეგ კი განაღმულ ტერიტორიებს კვლავ ნაღმავს.

კვიციანის მონაცემებით, აფხაზურ მხარეს თავის მხრივ დანაღმული აქვს მარუხის უღელტეხილის მისადგომები, სადაც მათ ზამთრის სიცივეების გამო პოზიციები დატოვეს. "ამჟამად მარუხის უღელტეხილზე სამი მეტრის სიმაღლის თოვლი დევს, რომლის საფარქვეშაც აფხაზური მხარის მიერ დანაღმული ადგილებია", - აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი**

### მოკლედ

**თბილისი.** როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა განაცხადა, ორგანიზაცია კონსულტაციებს მართავს ყველა პოლიტიკურ ძალასთან, შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისათვის ბლოკში გაერთიანების თაობაზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია "მრეწველების" წევრი დავით სალარიძე მიიჩნევს, რომ პოლიტიკურ მოძრაობას "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე 7-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის "მეტი შანსი ექნება თუ რომელიმე ბლოკში გაერთიანდება". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.**"მოქალაქეთა კავშირისა" და "სოციალისტური პარტიის" საარჩევნო ბლოკი "ახალი საქართველო" კვლავ გამოთქვამს სურვილს, რომ შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებისათვის, ალიანსში პოლიტიკური მოძრაობა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" გაერთიანდეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი ახალი ინიციატივით გამოვიდა. წერეთელმა მოითხოვა, ბროშურის სახით გამოიცეს პარლამენტის პლენარული სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი, რომელიც დეპუტატების მიერ მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდას ასახავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ბათიაშვილის აზრით, საგარეო და განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრებმა რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს შორის სოჭში გამართული შეხვედრის შედეგები პარლამენტის ნდობის ჯგუფთან უნდა გააანალიზონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 18-22 მარტს აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი ოფიციალური ვიზიტით უკრაინაში მიემგზავრება. მას შეხვედრები ექნება უკრაინის პრეზიდენტთან ლეონიდ კუჩმასთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, საგარეო საქმეთა მინისტრსა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან. გარდა ამისა, ნადარეიშვილი უკრაინაში ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებსა და აფხაზეთიდან დევნილებსაც შეხვდება. შეხვედრის მთავარი მიზანია აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივა - უკრაინა შევიდეს საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფში და ჩაერთოს ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო პროცესში. **მედია-ნიუსი.**




# ბრძოლა დამთავრდა, ბრძოლები წინ არის

პირველი გვერდიდან

**"მათ სჭირდებათ შევარდნაძისთვის თავისი ძლიერებისა და საჭიროების დამტკიცება",** - აღნიშნავს ბურჯანაძე და ამასთან დაკავშირებით იხსენებს, თუ როგორ ცდილობდნენ უშიშროების საბჭოს სხდომაზე შევარდნაძის დარწმუნებას იმაში, რომ 115-ლარიანი მინიმალური ხელფასის შესახებ მიღებული კანონის გასაუქმებლად, სულ რაღაც, 10 წუთია საჭირო.

პარლამენტის თავმჯდომარეს არც თვითკრიტიკა აკლია. იგი აღიარებს, რომ ერთ-ერთ მომენტში, როდესაც ფრაქცია "ტრადიციონალისტს" არ მისცა რეგლამენტით გათვალისწინებული შესვენების უფლების გამოყენების შესაძლებლობა, არაობიექტურად მოიქცა და კანონის მოთხოვნებს გადაუხვია. **"ასე იმიტომ გავაკეთე, რომ დაპირისპირების კიდევ უფრო გამძაფრება თავიდან ამეცილებინა,"** - განმარტავს პარლამენტის სპიკერი.

ბურჯანაძე არც იმას უარყოფს, რომ იმ დღეებში მართლაც ჰქონდა ადგილი მის მიმართ შანტაჟის მცდელობას. ზეწოლის მაგალითად იგი სახელისუფლებო ფრაქციების მიერ მომზადებულ კანონპროექტს ასახელებს, რომელშიც ლაპარაკი იყო პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენებისა და ხელახალი არჩევნების პროცედურების გამარტივებაზე. **"ეს წარმოადგენდა პირდაპირ შანტაჟსა და საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელის მიმართ ძალის ღიად დემონსტრირებას. ასეთი რამ, სხვათა შორის, პირველად არ მომხდარა",** - საკმაოდ მრავლისმთქმელ მინიშნებას აკეთებს ბურჯანაძე.

იგი გაურბის პირდაპირ საუბარს იმაზე, თუ რამდენად სურს პრეზიდენტს, ჰყავდეს პარლამენტის მართული თავმჯდომარე. **"ისე, ალბათ, უფრო ადვილია ისეთ ადამიანთან მუშაობა, რომელთანაც ბევრი დავა და კამათი არ გჭირდება,"** - პარლამენტის თავმჯდომარის არც ეს მინიშნება უნდა იყოს უინტერესო.

ნინო ბურჯანაძეს არასწორად მიაჩნია და უარყოფითად აფასებს საპარლამენტო უმრავლესობის განზრახვას რიგგარეშე სხდომის მოწვევასთან დაკავშირებით, რომელზეც პროშევარდნაძისტული ძალები რევანშის აღებას გეგმავენ. სპიკერის აზრით, რიგგარეშე სხდომა კი არ განმუხტავს დაძაბულობას, არამედ პირიქით, კიდევ უფრო გააღრმავებს პარლამენტში არსებულ ისედაც ღრმა დაპირისპირებას. **"უმრავლესობა, როგორც ჩანს, კომპრომისისთვის არ არის განწყობილი და რიგგარეშე სხდომაზე აპირებს, კიდევ ერთხელ მოახდინოს ძალის დემონსტრირება,"** - სინანულით შენიშნავს პარლამენტის ლიდერი.


ნინო ბურჯანაძე ლიტვაში მიემგზავრება.

უმრავლესობისა და უმცირესობის საპარლამენტო დაპირისპირებისას, არც თუ უმნიშვნელოა, ვინ ზის სხდომის წამყვანის სავარძელში. ამიტომ, სახელისუფლებო ფრაქციებს უკვე დაუჭერიათ თადარიგი იმისთვის, რომ რიგგარეშე სხდომის დროს სპიკერის ფუნქციები მათი ბანაკის წარმომადგენელმა შეასრულოს. თუმცა, ასეთი ძალისხმევა, როგორც ჩანს, წყალში ჩაყრილი აღმოჩნდება, რადგან ბურჯანაძეს უკვე მიღებული აქვს "კონტრზომები": მან უკვე გააფორმა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, რიგგარეშე სხდომის წაყვანის უფლება გიგი წერეთელზეა დელეგირებული.

**"მოვუწოდებ ზოგიერთ ჩემს კოლეგას, ხელისუფლების უზურპაციას ნუ ცდილობს და ნუ ერევა იმაში, რაც, კონსტიტუციურად, მისი გადასაწყვეტი არ არის. თუ ვის უნდა გადაეცეს სხდომის გაძღოლის უფლება, ამის განსაზღვრა პარლამენტის თავმჯდომარის პრეროგატივაა,"** - მის კომპეტენციაში "ხელის ფათურს" ბურჯანაძე უმრავლესობას კატეგორიულად უკრძალავს.

რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს რიგგარეშე სესია და მიუხედავად იმისა, გაუქმდება თუ არა 115-ლარიანი მინიმალური ხელფასის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, ეს მაინც არ იქნება ბოლო გასროლა უმრავლესობა-უმცირესობის დუელში. ნინო ბურჯანაძე შეახსენებს საზოგადოებას, რომ სულ მოკლე ხანში მთავრობამ პარლამენტში გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში უნდა წარმოადგინოს. ამ შემთხვევაში კი, ოპოზიციას შესანიშნავი პლაცდარმი ექმნება ხელისუფლებაზე შესატევად.

**"როდესაც ვერ ხერხდება იმ პირობების შესრულება, რომელიც ქვეყნის, ხალხის და პარლამენტის წინაშეა აღებული, ალბათ, უნდა დადგეს იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც აცხადებდა, რომ იქნებოდა არა სეკვესტრი, არამედ პროფიციტი და მიმდინარე წელიწადი პლუსებით დამთავრდებოდა,"** - კანცელარიისკენ აქვს მიპყრობილი მზერა ლიტვაში მიმავალ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს. იგი არც მალავს, რომ მთავრობაზე საბიუჯეტო "თავდასხმის" პროცესისთვის თვითონაც სერიოზულად ემზადება და მოითხოვს, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ გასული წლის ბიუჯეტის ანგარიშს მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის "დავთრებიც" მოაყოლოს.

**"კონკრეტულმა პიროვნებებმა ძალიან სერიოზულად უნდა გასცენ პასუხი იმაზე, თუ რატომ ვერ მოხერხდა აღებული საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულება. საინტერესოა, რატომ ხდება, რომ ბიუჯეტი ერთ წელიწადში 100 მილიონით ირღვევა, მეორე წლის პირველ კვარტალში - 40 მილიონით, მაგრამ არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება",** - ბურჯანაძე, ამასთან დაკავშირებით იხსენებს, რომ განზრახული იყო, ბიუჯეტის კანონში იმის დაფიქსირება, თუ ვინ აგებდა პასუხს წლის ძირითადი ეკონომიკური კანონის შეუსრულებლობისთვის, მაგრამ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ასეთი მიდგომა არ გაიზიარა და მეორე მოსმენით შემოტანილი ბიუჯეტის კანონპროექტი ძველი ვარიანტით წარმოადგინა, რომელიც პასუხისმგებლობის საკითხს საერთოდ არ ითვალისწინებდა.

ასეა თუ ისე, ნინო ბურჯანაძის კომენტარებიდან ნათელია რომ, გასულ კვირას პარლამენტში გაშიშვლებული ხმლების ქარქაშში ჩაგებას არც უმრავლესობა აპირებს და არც ოპოზიცია. დაზავებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ძნელია, პოლიტიკურ ოპონენტებს, მითუმეტეს, წინასაარჩევნო პერიოდში, ჰუმანურობა და მიმტევებლობა მოსთხოვო. წილი უკვე ნაყარია.

# მოსალოდნელი შეტევა პარლამენტის თავმჯდომარეზე

პირველი გვერდიდან

შეუიარაღებელი თვალითაც კი ადვილი დასანახია ამ გაერთიანების შიგნით არსებული დაპირისპირება, არაკოორდინირებულობა და მოუმზადებლობა. გასული კვირის სხდომები, წესით, კანცელარიისათვის კარგი გაკვეთილი უნდა იყოს. მით უფრო, რომ "115 ლარი" არ არის ის ერთადერთი საკითხი, რომლის განხილვაც საკანონმდებლო ორგანოს მოუწევს - საარჩევნო კოდექსის მიღება დღევანდელი პარლამენტის ბოლო და, შეიძლება, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდა იქნება.

საარჩევნო კანონმდებლობის შემუშავება ყოველთვის დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამ საკითხს ცხარე დებატები ჯერ კიდევ მაშინ ახლდა, როდესაც უმრავლესობა მონოლითურ გაერთიანებას წარმოადგენდა. ადვილი წარმოსადგენია, რა სირთულეებთან იქნება დაკავშირებული ეს პროცესი. ახლა, ფაქტი მხოლოდ ერთია: რაც უფრო გაურკვეველი, წინააღმდეგობებით აღსავსე და დაუხვეწავი იქნება ეს დოკუმენტი, მით უფრო გაუადვილდება ხელისუფლებას ადმინისტრაციული ბერკეტების გამოყენება.

საპარლამენტო განხილვებისათვის ბუნებრივია თავისებურად მოემზადებიან სახელისუფლო ფრაქციები. ისინი ყველანაირად შეეცდებიან თავიანთი სისუსტის სხვა ფაქტორებით კომპენსირებას. თუ თემატური უმრავლესობის ლიდერთა განცხადებებით და ქცევით ვიმსჯელებთ, მათთვის უმთავრეს წინაღობას პარლამენტის ხელმძღვანელობა წარმოადგენს. ბოლო სხდომებზე პარლამენტის თავმჯდომარის მიერ რეგლამენტის თითქმის უმკაცრესმა დაცვამ, უმრავლესობა კიდევ ერთხელ დაარწმუნა სპიკერის წინააღმდეგ ბრძოლის განახლების აუცილებლობაში.

■ ■ ■

თავის დროზე ნინო ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევა, შეიძლება ითქვას, რომ ექსტრემალურ პირობებში მოხდა. ზურაბ ჟვანიას გადადგომამ და უმრავლესობის დაშლამ, პარლამენტში საკმაოდ გაურკვეველი მდგომარეობა შექმნა. როგორც პოლიტიკოსები, ასევე ექსპერტებიც ვარაუდობდნენ, რომ ძალზე გაძნელდებოდა ახალი უმრავლესობის შექმნა. ამიტომაც, მომავალი სპიკერის უმთავრეს ფუნქციად ნეიტრალური არბიტრობა ითვლებოდა. ოპოზიციის მიერ ამ ნიშნით შერჩეული ბურჯანაძის კანდიდატურა საპარლამენტო ძალების უმრავლესობისათვის მისაღები აღმოჩნდა. მაგრამ სულ ცოტა ხანში ქართულ პოლიტიკაში ტერმინი - "ახალი პოლიტიკური რეალობა" - გაჩნდა. ახლების მიერ გაჟღერებული ამ თეორიის ძირითადი არსი ძალთა ახალი ბალანსის საფუძველზე საპარლამენტო თანამდებობების გადანაწილება იყო. ამას მოჰყვა საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეების და ვიცე სპიკერების გადადომა-გადაყენების ხმაურიანი პროცესი. სწორედ მაშინ დაისვა პირველად ნინო ბურჯანაძის გადაყენების საკითხიც, თუმცა ამ პროცესმა სერიოზული სახე ვერ მიიღო, რადგანაც "ახალი პოლიტიკური რეალობის" ავტორები, სულ ცოტა ხანში, ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ. აქედან გამომდინარე პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენების თემამ დროებით აქტუალობა დაკარგა. მაგრამ ამით პროცესი არ შეჩერებულა, რადგანაც ახლა უკვე "მრეწველების" და "სოციალიტების" მონაწილეობით, ე.წ. თემატური უმრავლესობა შედგა. მათ თავიდანვე ღიად დაიწყეს პარლამენტის თავმჯდომარეზე ზეწოლა - ისინი ბურჯანაძეს მუდმივად ოპოზიციის მხარდაჭერაში ადანაშაულებდნენ. უკვე მაშინვე ცხადად გამოჩნდა, რომ თემატური უმრავლესობა რიცხობრივ უპირატესობას მისთვის სასურველი გადაწყვეტილებების გასატანად არასაკმარისად მიიჩნევდა. სწორედ ამიტომ, პარლამენტის საგაზახულო სესიის წინ, კვლავ განხორციელდა სპიკერატის შეცვლის მცდელობა. გასული წლის დეკემბერში სახელისუფლო ფრაქციებმა ამ საკითხზე გასაიდუმლოებულ ვითარებაში კონსულტაციების მთელი სერია გამართეს. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობის ლიდერები ზოგადად ხელისუფლებისათვის ამ საკითხის სიმწვავეს კარგად გრძნობდნენ, ბოლო ეტაპზე მათში ამბიციამ იმძლავრა. თუ ოპოზიციას ვენდობით, იმ დღეებში სახელისუფლო ფრაქციების კაბინეტებიდან საკმაოდ ხმამაღალი საუბრები ისმოდა. განზრახვის სერიოზულობაზე მიუთითებდა პარალელურად განხორციელებული დარტყმები გენერალური პროკურორის პირველ მოადგილე ბადრი ბიწაძეზე, რაც პოლიტიკურ წრეებში უშუალოდ პარლამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებად იყო აღქმული.

თავის მხრივ ნინო ბურჯანაძე ყოველთვის აცხადებდა, რომ პარლამენტის სპიკერის მოვალეობების შესრულებისას ის პოლიტიკურად მიუკერძოებელი იყო. თუმცა, მიუხედავად ზეწოლისა, არც თავისი, ხშირად ხელისუფლებისათვის მიუღებელი, პოზიციის მკაფიოდ დაფიქსირებას ერიდებოდა. პირველი ხმაურიანი დაპირისპირება მას სახელმწიფო მინისტრთან მოუხდა. საბიუჯეტო დებატების დროს ავთანდილ ჯორბენაძე საკმაოდ მოუხეშავი ფორმით შეეცადა პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ საყვედური გამოეთქვა. ამ მცდელობაზე ბურჯანაძის რეაქციამ, ჯორბენაძეს საბოლოოდ აალებინა ხელი სპიკერის მოთვინიერების მცდელობებზე (ბურჯანაძის სასახელოდ უნდა ითქვს, რომ ის საკმაოდ წარმატებულად ახერხებს, ოპონენტებს პარლამენტის თავმჯდომარისადმი პატივისცემა აიძულოს). პოზიციების დაცვა ბურჯანაძეს უშიშროების საბჭოს სხდომაზეც მოუწია, როდესაც სახელისუფლო ელიტამ, პრეზიდენტის თანდასწრებით, მასზე პირდაპირი შეტევა სცადა. პარლამენტის თავმჯდომარის პოზიცია მაშინაც საკმაოდ შეუვალი აღმოჩნდა. საბოლოო ჯამში, მისმა პრინციპულმა გამოსვლებმა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ფორუმებზე, პარლამენტის სპიკერი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და რეიტინგიან პოლიტიკოსად აქცია. აქედან გამომდინარე, ბურჯანაძის წინააღმდეგ ბრძოლა უკვე ორმაგ დატვირთვას იძენს. ცნობილია, რომ გავლენიანი ოპოზიციური პარტიები მას საარჩევნო ალიანსის ლიდერობას სთავაზობენ, მაგრამ თვითონ ბურჯანაძე უფრო არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატად მონაწილეობისკენ იხრება. სახელისუფლო ფრაქციები, სპიკერის გადაყენების პერმანენტული მცდელობებით, ბურჯანაძის პოლიტიკური აქტივების გაუვნებელყოფასაც ცდილობენ. მათ კარგად ესმით, რომ თუ ნინო ბურჯანაძე, არჩევნების წინ, პარლამენტის თავმჯდომარის რანგში დიდ ოპოზიციურ გაერთიანებას ჩაუდგება სათავეში, ხელისუფლების ისედაც მძიმე მდგომარეობას ერთი ორად გაართულებს. ამიტომაც, სრულიად გასაგებია სახელისუფლო ლიდერთა ასეთი გაშმაგება, მათთვის წამმზომი უკვე ჩართულია.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# მოსალოდნელია სერიოზული ძვრები მთავრობაში

თამარ ხორბალაძე

*ავთანდილ ჯორბენაძეზე სახელმწიფო კანცელარიაში უკვე წარსულ დროში საუბრობენ. სიტუაცია ცვლილებისთვის მომწიფებულია და ამის შესახებ თავად ავთანდილ ჯორბენაძემ ყველაზე უკეთ უწყის. ამ ფონზე კი საკანცელარიო სცენაზე ისევ გამოჩნდა თემურ ბასილია, რომლის გავლენაც, როგორც ამბობენ, ბოლო პერიოდში სერიოზული აღმასვლით გამოირჩევა.*

სავალუტო ფონდის მიერ გასულ ორშაბათს დატოვებული მემორანდუმი ავთანდილ ჯორბენაძისათვის ფაქტობრივი განაჩენი გახლდათ – სავალუტო ფონდმა მთავრობას სისხლით და ომით დამტკიცებული ბიუჯეტის სეკვესტრის განხორციელება მოსთხოვა.

მისიის მემორანდუმში კონკრეტულადაა ჩამოთვლილი ის ხარჯები, რაც მთავრობამ უნდა შეამციროს. კერძოდ: აღუდგეს ენგურჰესს თავდაპირველი ტარიფი, რათა მთავრობამ თავიდან აიცილოს "ი-ბი-არ-დის" კრედიტის თანაგადახდა (12 მილიონი ლარი), არ მიეცეს "ეი-ი-ეს თელასს" დამატებითი სუბსიდია (2 მილიონი ლარი), შემცირდეს ხარჯები პრეზიდენტის ფონდიდან, სახელმწიფო სარეზერვო და პრეზიდენტის საინვესტიციო ფონდებიდან (6 მილიონი ლარი), შემცირდეს კაპიტალური ხარჯები (1,4 მილიონი ლარი), შემცირდეს ხარჯები სპეციალურ პროგრამებზე, კერძოდ შეწყდეს პანკისის ხეობაში ოპერაციების დაფინასება (19,5 მილიონი ლარი), შემცირდეს ტრანსფერტები ადგილობრივ ბიუჯეტებზე (6 მილიონი ლარი), თურქმენეთის ვალის მომსახურება გაგრძელდეს ნატურალური გზით - შაქრის წარმოებით (16,8 მილიონი ლარი), შემცირდეს ხარჯები სპეცტანსაცმელებზე, მივლინებებზე და საკანცელარიო ნივთებზე (7 მილიონი ლარი).

სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესასრულებლად საქართველოს მთავრობას მარტის ბოლომდე რჩება ვადა. რეკომენდაციების შეუსრულებლობას ქვეყნის დეფოლტის წინაშე დადგომა მოჰყვება. ცხადია, რომ შევარდნაძე ამას არ დაუშვებს.



ზაურ ბეჟაშვილის ფოტო

*მას მართლაც ბევრი საფიქრალი აქვს.*

ცხადია ისიც, რომ მთავრობა პარლამენტში ამ ცვლილებების გატანას, დახლეჩილ-დაქსაქსული თემატური უმრავლესობით, ვეღარ შეძლებს.

ოპოზიციამ უკანასკნელი ოთხი დღის მანძილზე, შესაძლოა, უაზრო და აღმაშფოთებელი, მაგრამ მიზნობრივი დებატების წყალობით, შეძლო დაემტკიცებინა შევარდნაძისთვის, რომ "უმრევლესობის" იმედად ყოფნა უაზრობაა.

სწორედ ამ ოთხდღიანი აჟიოტაჟის პერიოდს ემთხვევა დავით გამყრელიძის გამოსვლა, რომელმაც პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრისა და მთავრობის პასუხისმგებლობის ფასად, საბიუჯეტო სეკვესტრისთვის მხარდაჭერა შესთავაზა. ამას მოჰყვა უკვე ზურაბ ჟვანიასგან კომპრომისის შესახებ წინადადებები, რაც მარტივად იმას ნიშნავს, რომ ოპოზიცია ჯორბენაძის "თავს" ითხოვს.

როგორც ამბობენ, ამ განცხადებამ ავთანდილ ჯორბენაძეზე ძალიან მძიმედ იმოქმედა. დაახლოებით ისე, როგორც ერთი კვირით ადრე ლადო პაპავას დასკვნამ იმის თაობაზე, რომ სახელფასო მინიმუმის 115 ლარამდე გაზრდა შესაძლებელია.

კულუარებში უკვე საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ამ დღეებში ავთანდილ ჯორბენაძეს ურჩევენ თავად გადადგეს, სანამ საქართველოს პრეზიდენტი მიიღებს მის ნაცვლად გადაწყვეტილებას. ამბობენ იმასაც, რომ მას საქართველოს პრეზიდენტი პარტიულ ფრონტზე გადაისვრის, რაც იმის ნიშანი იქნება, რომ 115-ლარიან ბრძოლაში დამარცხებული ჯორბენაძის, არაპროგნოზირებადი და ურეიტინგო ხაზარაძის, არასანდო რჩეულიშვილის პარტია, შესაძლოა, ვეღარ აღმოჩნდეს შევარდნაძის ფავორში.

სანამ ოპოზიცია საპარლამენტო ბრძოლებს მართავს, კანცელარიაში, თავის მხრივ, საუბრობენ იმაზე, რომ ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაძლიერდა თემურ ბასილიას პოზიცია, რომელიც თავის დროზე მეტად გავლენიანი ფიგურა გახლდათ შევარდნაძის გუნდში. მას ავთანდილ ჯორბენაძის პოსტის ერთ-ერთ სერიოზულ მაძიებლადაც ასახელებენ.

ჯორბენაძის და ბასილიას დაპირისპირება სიახლე არაა, თუმცა ამბობენ იმასაც, რომ შემთხვევითი არაა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეტად მკაცრი მემორანდუმის ფონზე, სიღარიბის დაძლევის პროგრამის დადებითად შეფასება. ეს პროგრამა თემურ ბასილიას პატრონაჟით ხორციელდება. ამბობენ, რომ ბასილიამ საკმაოდ საინტერესო რჩევები მისცა საქართველოს პრეზიდენტს 115-ლარიანი სირცხვილიდან გამოსავლის მოსანახად.

მანამდე კი, ყველა ელოდება კვარტლის მიწურულს, რომელმაც საბოლოო "დიაგნოზი" უნდა დაუსვას აღმასრულებელ ხელისუფლებას და პოლიტიკური სიტუაციის "გადახალისების" წინაპირობაც შექმნას.

ეკა კვესიტაძის სვეტი

# საქართველოს თანამედროვე მარაზმი

ის, რაც ბოლო დღეების განმავლობაში ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში ხდება, ერთადერთი სიტყვით შეიძლება დახასიათდეს – საპარლამენტო ან, უფრო სწორად, სახელისუფლო მარაზმი. რადგან ის, რაც პარლამენტში ხდება, მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოში არსებულ უმძიმეს პრობლემებზე არ მიუთითებს. საპარლამენტო ცხოვრება დღეს სრულად და შთამბეჭდავად ასახავს იმ კრიზისს, რომელმაც არამარტო ხელისუფლება, არამედ მთელი საზოგადოება მოიცვა.

1998 წლიდან მოყოლებული, მთავრობა არაერთგზის აღმოჩენილა თითქოს გამოუვალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩიხში. თუმცა, ბიუჯეტის კატასტროფული გარღვევა, მილიონობით დაგროვილი საშინაო და საგარეო ვალი, გადაუჭრელი ენერგეტიკული კრიზისი, ფეთქებადსაშიში სოციალური და კრიმინოგენული ვითარება და უამრავი სხვა პრობლემა, რომელიც ნებისმიერ, ოდნავ თავმოყვარე მთავრობას გადადგომას აიძულებდა, ქართველმა ჩინოვნიკებმა დედის რძესავით შეირგეს და ამ პრობლემებთან მუდმივ თანაარსებობას უმტკივნეულოდ შეეგუენ. ამიტომ, მით უფრო საკვირველია, რატომ აღიქვა ხელისუფლებამ ასე მტკივნეულად ოპოზიციის მიერ მიღებული კანონი მინიმალური ხელფასის გაზრდასათან დაკავშირებით. ამ მთავრობას ხომ ისეთივე წარმატებით შეუძლია დააგროვოს ახალი დავალიანება მოსახლეობის მიმართ, როგორც ამას ბოლო წლები განმავლობაში აკეთებდა და რომლის გამო, ოდნავ დისკომფორტსაც არ განიცდიდა. რა შეიცვლება ხელისუფლებისთვის იმით, თუ 300-მილიონიან დავალიანებას ახლა, პირობითად, 90 მილიონიც დაემატება?

ისტერიკა, რომელმაც კანცელარია მოიცვა და რომლის ეპიცენტრი პარლამენტი აღმოჩნდა, ძნელად შეიძლება აიხსნას. შევარდნაძეს მიაჩნია, რომ ახალი კანონპროექტისთვის ვეტოს დადება პირადად მისთვის არაპოპულარული იქნება და სახელისუფლო ფრაქციების საშუალებით ცდილობს, რომ ეს პრობლემა ძირშივე, ანუ პარლამენტშივე, ჩაკლას. თუმცა, გაუგებარია, რატომ ვერ აცნობიერებს კანცელარია ერთ ძალიან მარტივ ჭეშმარიტებას. არანაირი პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, დარჩება ეს კანონი ძალაში, თუ - არა, მას პრეზიდენტი დაადებს ვეტოს თუ სახელისუფლებო ფრაქციები მოახერხებენ მის "გაუვნებელყოფას". შედეგი, ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი იქნება. თუ კანონი არ ამოქმედდა, ხალხი მაინც შევარდნაძეს დააბრალებს იმას, რომ ხელფასი 115 ლარამდე არ გაიზრდება. ხოლო თუ კანონი ძალაში შევა, ბიუჯეტის შესრულების ტემპებით თუ ვიმსჯელებთ, მოსახლეობას არათუ 115 ლარის, არამედ 15 ლარის მიღებაც კი გაუჭირდება, და ამ შემთხვევაშიც, ბუნებრივია, ყველაფერი ისევ შევარდანაძეს დაბრალდება. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი მარტივი ჭეშმარიტება. არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა და პოპულარობის დაკარგვა უნდა ეშინოდეს მას, ვისაც ეს უკანასკნელი გააჩნია. შევარდაძეს კი დღეს დასაკარგი აღარაფერი დარჩა, პირველ რიგში კი - პოპულარობა.

ამაზე უკვე ყველაფერი მეტყველებს. მეტყველებს ისიც, რომ ხელისუფლება პარლამენტში ამაზრზენი საცირკო სანახაობით არის დაკავებული მაშინ, როცა სავალუტო ფონდის მისიის მიერ დატოვებული მოთხოვნების შესასრულებლად ერთი თვეც აღარ დარჩა, პარლამენტს კი ბიუჯეტის სეკვესტრი და საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები აქვს დასამტკიცებელი. რაც მთავარია, ამ მოთხოვნების შესრულებაზე პირდაპირ არის დამოკიდებული ფონდის პროგრამის გაგრძლება და პარიზის კლუბში საქართველოს ვალების რესტრუქტურიზებისთვის მხარდაჭერა, რის გარეშეც ქვეყანა ბანკროტად გამოცხადდება.

ეს არ ანაღვლებს მთავრობას, რომელსაც პროფესიონალიზმი იმისთვისაც კი არ ეყო, რომ მინიმალური ხელფასის გაზრდის წინაღმდეგ ერთი სერიოზული არგუმენტი მაინც წარმოედგინა. სამაგიეროდ, ხელისუფლებას სერიოზულად აფიქრებს ოპოზიციის "ჩაძირვის" საკითხი. ანაღვლებს არჩევნები, რომელიც ყოველ მიზეზ გარეშე, ნებისმიერ ფასად უნდა მოიგოს.

რატომ უნდა ვითმინოთ ჩვენ ეს მარაზმი?

# გულუბრყვილო პოზიცია ერაყის ომის მიმართ

პირველი გვერდიდან

შევარდნაძის "ანტიერაყული პოლიტიკის" დამცველები, რასაკვირველია, მარტივ და ბანალურ გამართლებას მოძებნიან – საქართველოს ხელისუფლება ამერიკელი მოკავშირეების მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობსო. მართლაც, რა გვედარდება? რამდენიმე ხმამაღალი განცხადება, დიპლომატიური ჟესტი, სამხედრო ბაზების შეთავაზება და "ძია სემი" ათმაგად დაგვიფასებს სამსახურს (აფხაზეთს დაგვიბრუნებს, ერთი; რუსებისაგან დაგვიცავს, ორი; ინვესტიციებს მოგვაყრის, სამი; ჯარს აგვიშენებს, ოთხი; ენერგეტიკას გამოგვისწორებს, ხუთი და ა. შ.). თანაც, ამ გამარტივებულ ლოგიკას ლამის მთელი პოლიტიკური სპექტრი ეთანხმება, მთავრობაც და ოპოზიციაც, რომლებიც სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებზე ისე დავობენ, ქვას ქვაზე არ ტოვებენ ხოლმე.

ცოტა არ იყოს, სწორხაზოვანი და პრიმიტიული ხომ არ არის ამგვარი მსჯელობა? მოდით საკითხს სხვა კუთხითაც შევხედოთ.

ედუარდ შევარდნაძის მიერ ბუშის ერაყული პოლიტიკისადმი გულმხურვალე მხარდაჭერამ მსოფლიო პოლიტიკისაგან მოწყვეტილ ქართულ პროვინციულ დისკურსშიც კი გაკვირვება გამოიწვია. ამას საზოგადოებაში გაუცნობიერებელი შფოთვაც მოყვა - რა მოტივი ამოძრავებს შევარდნაძეს?

ერთი შეხედვით, შვებით შეიძლება ამოვისუნთქოთ – ქვეყნის ეკონომიკისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეებში განცდილი მარცხის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი, ამერიკელების საბოლოოდ დამეგობრებით, ჭეშმარიტად პატრიოტულ საქმეს აბამს თავს. მაგრამ, შევარდნაძის მიერ ბოლო ათი წლის განმავლობაში გატარებულმა პოლიტიკამ უკვე დაგვარწმუნა, რომ მისი მთავარი მიზანი ნებისმიერ ფასად ხელისუფლების შენარჩუნებაა. მოსახლეობაში ნდობის ტოტალური დაკარგვის, შიდა უსაფრთხოების სისტემის მოშლისა და მთავრობაში არაპროფესიონალების დამკვიდრების შემდეგ, შევარდნაძეს ძალაუფლების შენარჩუნების ერთადერთი გზაღა რჩება – უცხოელთა ხიშტებზე ჯდომა. ეს ხიშტები კი, უკვე რუსული კი არა, შეიძლება ამერიკული იყოს.

მოდით, ერაყის ომი ამერიკელების მიერ უკვე მოგებულად ჩავთვალოთ და ახლო აღმოსავლეთის რუკას შევავლოთ თვალი. ვითომ, სადამ ჰუსეინით დამთავრდება ყველაფერი? რა თქმა უნდა, ბუშის ადმინისტრაციის უპირველესი მოკლევადიანი მიზანი ერაყის ნავთობის მითვისებაა, მაგრამ უფრო გრძელვადიანი გეოპოლიტიკური მიზნებიც ხომ არსებობს – მაგალითად, ირანსა და სირიაში, შემდეგ კი საუდის არაბეთში არსებული არადემოკრატიული რეჟიმების შეცვლა.

ცხადია, რომ ერაყის შემდეგ ირანის რიგიც დადგება. ირანშიც ხომ ისლამური ტოტალიტარული რეჟიმია. გარდა ამისა, თეირანს საშუალო სიშორის რაკეტებიც აქვს და მალე შეიძლება მასობრივი განადგურების იარაღის მფლობელიც გახდეს. თან ირანს ნავთობი და ბუნებრივი აირიც მოეპოვება. ერთი სიტყვით, ბუშის ადმინისტრაციისათვის ირანი ერაყზე არანაკლებ იდეალური სამიზნეა, შეიძლება ბევრად უფრო მოსახერხებელიც კი, ვიდრე ერაყი (გავიხსენოთ, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში ამერიკელები სადამ ჰუსეინს ირანთან ომში ეხმარებოდნენ, ამას წინათ კი გაირკვა, რომ ბრიტანელებმა ერაყს ქიმიური იარაღის ქარხანაც კი აუშენეს).

ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჯორჯ ბუშს 2004 წლის ნოემბერში საპრეზიდენტო არჩევნების მოგება სჭირდება. არადა, ავღანეთისა და ერაყის ომებში გამარჯვების პოლიტიკური მარაგი ბუშის ადმინისტრაციას 2004 წლამდე არ ეყოფა, ამიტომაც კიდევ ერთი ომი უნდა მოიგოს. ბოლო წლების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ამერიკელებმა საშუალოდ წელიწადნახევარში ერთი ომი აწარმოეს. ასე რომ, ერაყის კამპანიის დასრულების შემდეგ ირანის წინააღმდეგ მორიგმა სამხედრო კამპანიამ ზუსტად 2004 წლის ბოლომდე უნდა გასტანოს და ბუშს ხელახალი არჩევისათვის პოლიტიკური დივიდენდები მოუპოვოს.

თუ ირანის წინააღმდეგ ომი მართლაც დაიწყო, მაშინ ამ ქვეყნის ჩრდილოეთში მცხოვრები 15 მილიონამდე ეთნიკური აზერბაიჯანელის ბედი დიდი საერთაშორისო პრობლემა გახდება. ირანზე ამერიკელების შესაძლო თავდასხმის შემდეგ, თეირანის ისლამური რეჟიმის დაცემის შემთხვევაში, აზერბაიჯანელებით დასახლებულ ჩრდილოეთ ირანში ქაოსის აღსაკვეთად ამერიკელებს კავკასიაში სერიოზული პლაცდარმი დასჭირდებათ, რაც საბოლოოდ მართლაც გამოიწვევს ედუარდ შევარდნაძისა და ჰეიდარ ალიევის ნალოლიავები იმედის ახდენას – ამერიკული სამხედრო ბაზების კავკასიაში დამკვიდრებას. ბუშის ადმინისტრაციის მიერ აღებულ ტემპს თუ გავითვალისწინებთ, ეს სცენარი შეიძლება მიმდინარე წლის ბოლოსთვის უკვე რეალობად იქცეს. ამერიკელთა სამხედრო ბაზების შემოსვლიდან საქართველოსა და აზერბაიჯანის ნატო-ში გაწევრიანებამდეც აღარ იქნება შორი ("2005 წლისათვის ნატო-ს კარზე დავაკაკუნებთ!").

თუ ამერიკელები ირანში მართლაც შეიჭრნენ და ამისთვის საქართველოს ტერიტორიაზე თავიანთი ბაზების განლაგება დასჭირდათ, ჩვენი ქვეყანა, ფაქტობრივად, სამხედრო პირობებზე გადავა. ფონზე კი ცხენებს არავინ ცვლის, ამიტომაც შეერთებული შტატები საქართველოს მმართველი რეჟიმის ნებისმიერ ფასად შენარჩუნებით იქნება დაინტერესებული. რა შეიძლება ამას მოჰყვეს ახალგაზრდა ქართული დემოკრატიისათვის?

ერაყის ომთან დაკავშირებით შევარდნაძის მიერ გამოცხადებულ პროამერიკულ პოლიტიკას ქართული დემოკრატიული ოპოზიცია დღეს უსიტყვოდ იზიარებს. ეს გასაგებიცაა: თუ დღეს საქართველოში სიტყვის თავისუფლებაა, ეს, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის ხელშეწყობით მოხდა. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზოგადსაკაცობრიო დემოკრატიული იდეალები ამერიკის საგარეო პოლიტიკის წამყვანი თემაა მანამ, სანამ ის ვაშინგტონის ინტერესებს ემთხვევა. იქ, სადაც დემოკრატიასა და ამერიკის ინტერესებს შორის არჩევანია გასაკეთებელი, ვაშინგტონი ყოველთვის თავის ინტერესებს ირჩევს და ეს საერთაშორისო პოლიტიკის "ჟანრის კანონებს" არც ეწინააღმდეგება.

ამერიკა ერაყის ომის შემდეგ აუცილებლად შეცვლის თავის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს. თუ აქამდე ამერიკელთა მოკავშირეები იყვნენ ისინი, ვინც დემოკრატიულ ღირებულებებს აღიარებდა, ამის შემდეგ მარტო "დემოკრატობა" ამერიკელთა მხარდაჭერის მოსაპოვებლად საკმარისი აღარ იქნება (სწორედ ყველაზე დემოკრატიულმა ქვეყნებმა – საფრანგეთმა და გერმანიამ – "უღალატეს" ამერიკას ყველაზე საჭირო დროს). სავარაუდოდ, ამიერიდან ამერიკა "დემოკრატობაზე" მაღლა "ერთგულებას" დააყენებს. საქართველოს კონტექსტში კი კარგად ვიცით, ვინ არ არის "დემოკრატი", მაგრამ ვინ არის "ერთგული". "ერთგულმა" პრეზიდენტმა შევარდნაძემ, ქვეყანაში დაბანაკებული ამერიკელების დახმარებით, 2005 წლის გაზაფხულის მერეც შეიძლება შეინარჩუნოს ძალაუფლება (მითუმეტეს, თუ თეთრ სახლში კვლავაც ბუშის ადმინისტრაცია დარჩება).

თითქმის წელიწადნახევრის წინ, 2001 წლის დეკემბერში საქართველოში ერთდღიანი ვიზიტით ჩამოსულმა ამერიკის თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა პრეზიდენტ შევარდნაძეს დიდი სტრატეგიული ცვლილების მოახლოება ამცნო – მომდევნო რამდენიმე თვეში ამერიკული სამხედრო ბაზები გაიხსნა ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში, სადაც მანამდე რუსეთი ერთპიროვნულად იყო გაბატონებული, ხოლო საქართველოში "წვრთნისა და აღჭურვის" ამერიკული პროგრამა დაიწყო. პრეზიდენტი შევარდნაძე (დემოკრატიულ ოპოზიციასთან ერთად) მხურვალედ მიესალმა ამ ცვლილებებს. ამერიკის გავლენის ზრდისაგან შევარდნაძე თავისი შერყეული ხელისუფლების გამყარებას, დემოკრატიული ძალები კი ქვეყანაში დემოკრატიული ცვლილებების დაჩქარებას მოელოდნენ. რა მიიღო საქართველოს მოსახლეობამ? სწორედ 2001 წლის შემდეგ დაწყებული პოლიტიკური რეაქციის ხანა ხომ დღემდე გრძელდება ისე, რომ პრეზიდენტ შევარდნაძეს სერიოზული საერთაშორისო კრიტიკა ამის გამო არც შეხვედრია.

რა გვაძლევს იმის ფიქრის საფუძველს, რომ შევარდნაძეს ამერიკელები "გადემოკრატიულებას" მომავალში მაინც აიძულებენ? ის, რომ ამერიკა თავად დემოკრატიული ქვეყანაა? ამ დემოკრატიულ ქვეყანას ხომ მსოფლიოს ყველაზე საზარელ დიქტატურებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის არაერთი შემთხვევა აკავშირებს! რატომ იქნება საქართველო გამონაკლისი?

2004-2005 წლებს რომ თავი დავანებოთ, ორიოდე დღეში მოსალოდნელი ერაყის ომიც სერიოზული საფრთხის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოსათვის. ჯერ ერთი, დესტაბილიზაცია ხშირად სახელმწიფო საზღვრების მიღმაც იოლად ვრცელდება, ერაყი კი საქართველოსგან სულ რამდენიმე ასეული კილომეტრითაა დაშორებული; მეორეც, ამერიკელების მიერ ერაყის ნავთობის ხელში ჩაგდების შემდეგ ამ ნედლეულზე მსოფლიო ფასები ბარელზე 8-10 დოლარამდე დაეცემა. ეს კი რუსეთში სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს გამოიწვევს (ბარელი რუსული ნავთობის თვითღირებულება 14 დოლარია, არაბულისა კი 2 დოლარი, ე. ი. რუსული ნავთობი მსოფლიო ბაზარზე უბრალოდ არარენტაბელური გახდება და ბიუჯეტის შემოსავლები დაეცემა). ეკონომიკური პრობლემების მიჩქმალვის მოსკოვისეული ტაქტიკა ხომ კარგად ცნობილია – "ახლო საზღვარგარეთთან", პირველ რიგში კი საქართველოსთან, გართულებების ინსპირირება. არც პანკისის, არც აფხაზეთისა და არც ჯავახეთის პრობლემა ჯერ არავის გადაუწყვეტია და პრეზიდენტ პუტინს მათით ხელახლა სპეკულირების კარგი შანსი ეძლევა; მესამეც, თურქეთის ისედაც მყიფე ეკონომიკური მდგომარეობა შეიძლება უფრო გაურესდეს და სერიოზული ფინანსური კრიზისი გამოიწვიოს. თურქეთში ინფლაციის მორიგი ტალღა აუცილებლად აისახება ქართულ ვალუტაზეც, რადგან დღეს თურქეთზე საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის დიდი ნაწილი მოდის. სხვათა შორის, იგივე ითქმის რუსეთზეც.

ახლა ირანთან 2004 წლის შესაძლო ომს მივხედოთ. სამხრეთ კავკასიის რეგიონში ეს ომი თავისთავად დიდ არეულობას გამოიწვევს – ლტოლვილების დიდი ნაკადის, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის, ტერორიზმისა და რელიგიური ფუნდამენტალიზმის გავრცელების გამო. აზერბაიჯანი შეიძლება უშუალოდ ომშიც კი აღმოჩნდეს ჩათრეული; მეორეც, სადამ ჰუსეინის "ას-სამუდ" რაკეტებისაგან განსხვავებით, ირანის "შიჰაბ" ტიპის რაკეტები არა მარტო თბილისის საცხოვრებელ უბნებსა და მთელ კავკასიას, არამედ რუსეთის სამხრეთ რეგიონებსაც თავისუფლად მისწვდება; მესამეც, ამერიკული სამხედრო ბაზების საქართველოში განლაგება რუსეთის მხრიდან პროვოკაციების მთელ სერიას გამოიწვევს, ხოლო ამ პროვოკაციების შედეგების მოგვარება ამერიკელების ხელით ნამდვილად შეუძლებელი გახდება.

ამ აპოკალიფსური სურათის გაცოცხლება რეალური შეიძლება არც იყოს. საქართველოს საზოგადოებრიობის მხრიდან პროტესტი ან მხარდაჭერა ამერიკელების პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში ვერ შეცვლის. ამ მძიმე სურათის დახატვა მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება – დავფიქრდეთ და გავიაზროთ, რა შეიძლება მოჰყვეს ქვეყნის ხელმძღვანელობის დაუფიქრებელ მოქმედებებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, კვლავაც დგება ერთი მძიმე კითხვა – რა ალტერნატივა გაგვაჩნია? პასუხი კიდევ უფრო სამწუხაროა – არავითარი. შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლის რუსული ვარიანტი კიდევ უფრო მეტი საფრთხის შემცველია, ვიდრე ამერიკელთა მხრიდან საქართველოს დემოკრატიზაციის შესაძლო "გაყინვა". ისღა დაგვრჩენია, ბედს მივენდოთ და მაინც იმის იმედი ვიქონიოთ, რომ ამერიკელები "კარგი ფეხით" შემოვიდნენ საქართველოში.

*დღეს დილას ავდგები და მწვანეებს ჩავიცვამ. ოღონდ, ამჯერად ხეებისა*

## აშშ ერაყის აღდგენის გეგმას ამზადებს

აშშ, საომარი ოპერაციის შემდეგ ერაყის აღდგენის მიზნით, კონტრაქტების განაწილებისთვის ემზადება. ამ კონტრაქტების საერთო ღირებულება 900 მილიონ დოლარს შეადგენს. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) ინჟინერინგისა და ინფრასტრუქტურის სფეროში მომუშავე ხუთ კომპანიას უკვე გაუგზავნა კონფიდენციალური მოთხოვნა შესაბამისი განაცხადების წარდგენის შესახებ. ერაყის აღდგენის გეგმა მოცემულია USAID-ის საიდუმლო დოკუმენტში - "ერაყის კონფლიქტის დასრულების შემდგომი პერსპექტივები". არსებული ინფორმაციით, ეს გეგმა ითვალისწინებს გზების, სკოლების, ხიდების და, ნაწილობრივ, ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენას. მომავალი ომის შემდეგ, ერაყში ეკონომიკური კონიუნქტურის მოსალოდნელი იძულებითი შეცვლა, კარგა ხანია, ბევრის შეშფოთებას იწვევს. კერძოდ, რუსულ ნავთობკომპანიებს სერიოზულად აღელვებთ ის, რომ ერაყული ნავთობის მოპოვების მათი ამჟამინდელი კონტრაქტები ერაყის ახალი ხელისუფლების მიერ, შესაძლოა, სხვა კომპანიებს გადაეცეს.

*"24 საათი"*

### მოკლედ

**თბილისი.** სახელმწიფო კანცელარიის ინფორმაციით, სააქციო საზოგადოება „აზოტის" პირდაპირი შესყიდვის თაობაზე საქართველოს მთავრობასა და კომპანია „იტერას" შორის ხელშეკრულებას 19 მარტს მოეწერება ხელი. „აზოტის" აქციათა 90 პროცენტისათვის „იტერა" სიმბოლურ ფასს — 500 ათას ლარს იხდის. სანაცვლოდ, პირობას დებს, რომ ქარხნის რეაბილიტაციისათვის პირველ ეტაპზე 14 მლნ დოლარს, მომდევნო წლებში კი — საკმაოდ სოლიდურ ინვესტიციას ჩადებს. ერთადერთი, რაც მხარეებს ჰქონდათ შესათანხმებელი, „აზოტის" ვალები იყო. პარასკევს, საქართველოში ჩამოსულმა „იტერას" ვიცე-პრეზიდენტმა გენადი სკიდანოვმა საქართველოს მთავრობასთან მიაღწია შეთანხმებას და 100-მილიონიანი ვალის რესტრუქტურიზაცია მოხდება. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის მაიკლ თაუნსენდის განცხადებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენში ყაზახეთის ნავთობის გატარების საკითხი საბოლოოდ, სულ ცოტა, ერთი წელი კიდევ ვერ გადაწყდება. ეს პერიოდი ყაზახეთთან მოლაპარაკებებს დასჭირდება. მისი თქმით, ყაზახეთის ნავთობი დიდი ნავთობსადენისათვის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება, მაგრამ მისი გატარებისათვის კომპანია მილსადენის გამტარუნარიანობის გაზრდას არ აპირებს. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავის საკრებულოში, უმრავლესობის მხარდაჭერით, რუსთავის ადგილობრივი ბიუჯეტი მეორე მოსმენით დამტკიცდა, მისი პარამეტრები კი 10 მილიონ 781 ათასი ლარით განისაზღვრა. პირველი განხილვის დროს დეპუტატებმა მერიის ეკონომიკური სამსახურისგან, „აზოტის" რესტრუქტურიზებული ვალების ხარჯზე, ბიუჯეტის პარამეტრების გაზრდა მოითხოვეს, რაც დაკმაყოფილდა. „აზოტის" იმედად კი ბიუჯეტს 1.718.400 ლარი დაემატა. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ენგურის ჰიდროელექტროსადგური მაქსიმალური დატვირთვით მუშაობას, სავარაუდოდ, ორ კვირაში დაიწყებს. "ენგურჰესის" გენერალური დირექტორის მოადგილის ნუგზარ სართანიას განცხადებით, 10 დღეში ჰესის წყალსაცავში წყლის შემოდინება დაიწყება, რის შემდეგაც "ენგურჰესის" ოთხივე აგრეგატი ამუშავდება. **"ინტერ-პრესი"**


## კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საველე მეთვალყურე

კომპანია "ბი-პი" პროექტების მიზნების განსახორციელებლად და კომპანია "ბი-პი"-ს მენეჯმენტის კონტროლის ქვეშ შ.პ.ს. IRA-ს სურს სამუშაოდ აიყვანოს შესაფერისი კვალიფიციური პირი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საველე მეთვალყურის თანამდებობაზე.

**სამუშაოს აღწერა:**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საველე მეთვალყურე უზრუნველყოფს, რომ მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა ასახავდეს პროექტის კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის გეგმის (CHMP) მიზნებს, კონტრაქტის გარემოს დაცვის პირობების მიხედვით. კერძოდ, მეთვალყურე უხელმძღვანელებს არქეოლოგიური ძეგლების გამოკვლევას და ამასთან დაკავშირებულ საქმიანობას მშენებლობის რაიონებში მე-4 ფაზის პროექტის კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის გეგმის (CHMP) შესაბამისი პროცედურების თანახმად. მეთვალყურე ჩააბარებს ანგარიშს კომპანია "ბრითიშ პეტროლეუმს" და დაეხმარება მას მილსადენის პროექტის განხორციელებაში უსაფრთხოდ და არქეოლოგიურ ადგილებსა და ძეგლებზე მინიმალური ზემოქმედებით. მეთვალყურე გარეშე სააგენტოებს მხოლოდ კომპანია "ბრითიშ პეტროლეუმის" ნებართვით დაუკავშირდება.

**ფუნქცია და პასუხისმგებლობა:**

ფუნქციები შეიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:

- მიწაზე წარმოებული მშენებლობის საქმიანობის შემოწმება, რომელიც გამოააშკარავებს მანამდე დაუდგენელ არქეოლოგიურ სიმდიდრეს, მიღებულ უარყოფით და დადებით მონაცემებზე ყოველდღიური ანგარიშების მომზადება
- სამშენებლო საქმიანობის და ძეგლთა დაცვის პროცედურების შესაბამისობის მეთვალყურეობა და ყოველდღიური ანგარიშები
- ადგილის ზედამხედველის მეშვეობით რეკომენდაციები მშენებლობის კონტრაქტორისთვის და/ან გარემოს დაცვის საველე ზედამხედველისთვის, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის გეგმის (CHMP) მიზნების მიღწევას
- მონაწილეობა გარემოს დაცვის საველე და სოციალური ზედამხედველის მიერ შემუშავებულ სასწავლო პროგრამაში
- პროექტის საველე პერსონალის ინსტრუქციებით უზრუნველყოფა კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში გასარკვევად და სამოქმედოდ
- მონიტორინგის ყოველდღიური საქმიანობის და სპეციალური ანგარიშების მიმდინარე აღრიცხვის წარმოება
- საქმის კურსში ჩააყენონ ზედამხედველი, რომ საჭიროა ყოველგვარი შეუსაბამობის შესახებ კონტრაქტორის გაფრთხილება, კონტრაქტის პირობების მიხედვით
- მოთხოვნის შესაბამისად ხელმძღვანელობა სპეციფიური/ადგილობრივი მარშრუტის საკითხებთან დაკავშირებით
- კონტრაქტორისთვის კულტურული მემკვიდრეობის სპეციალური საკითხების გაცნობა და პროექტის კულტურული მემკვიდრეობის საკითხებთან დაკავშირებული სპეციალური ინსტრუქცებისა და სახელმძღვანელო მასალის მომზადებაში ხელის შეწყობა
- ხელის შეწყობა შესაბამისი გამაფრთხილებელი აბრების მომზადებასა და განთავსებაში, არქეოლოგიური სიმდიდრის და ისტორიული მონუმენტების შემოღობვაში
- სასწრაფო მნიშვნელოვანი შეტყობინების მომზადება და ფაქსით გაგზავნა CAS-ში და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში მნიშვნელოვანი ბოლო აღმოჩენების და ძეგლების დადგენის თაობაზე, და ამ რაიონის გამოკვლევის კოორდინირება საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ.
- შემთხვევითი აღმოჩენების მნიშვნელობის საწყისი მიმოხილვის წარდგენა.

**მოთხოვნები:**

- კვირაში ექვსი დღე საველე ბანაკებში გატარებისთვის მზადყოფნა
- უპირატესობა ეძლევა ადრინდელ გამოცდილებას მილსადენის მშენებლობის ტექნოლოგიაში
- ურთიერთობის კარგი უნარი
- ინგლისურის თავისუფალი ცოდნა (წერილობითი და ზეპირი ანგარიშები ინგლისურად)
- რეგიონის არქეოლოგიის, ისტორიის და გეოლოგიის ცოდნა
- არქეოლოგიური კვლევებისა და ძიების გამოცდილება
- ამგვარი საქმიანობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება
- კონტრაქტორის თანამშრომლებთან მჭიდრო ურთიერთობის სურვილი, კონტრაქტორის საქმიანობაზე ზეგავლენის უნარი
- ორგანიზებული და პრაქტიკული
- კომპანია "ბრითიშ პეტროლეუმის" პრინციპების და ძირითადი ღირებულებების გაცნობიერება და მათი განხორციელებისთვის მზადყოფნა.

**განცხადების შეტანა / დამატებითი ინფორმაცია**

თუ მიგაჩნიათ, რომ გაქვთ შესაბამისი უნარი და გამოცდილება ამ ფუნქციების შესასრულებლად, გთხოვთ წარადგინოთ თქვენი CV და შეავსოთ განაცხადის შესაბამისი ფორმა, რომელიც შეიძლება მიიღოთ ქვემოთ მდებარე მისამართზე. განაცხადის მიღების ბოლო დღე 18:00, პარასკევი, 28 მარტი, 2003.

საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

**მიღებული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატი გავა ინტერვიუზე და მიიღებს სამუშაოს.**

**კადრების განყოფილება**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია
კომპანია "ბრითიშ პეტროლეუმ" საქართველო
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა 38


### თვალსაზრისი

# გადასახადის გადამხდელის გაძარცვის კიდევ ერთი მცდელობა

პირველი გვერდიდან




ილო ჭოლაშვილის ნახატი

ამჟამად საქართველოში მხოლოდ ერთი ენერგოგენერაციის ობიექტის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. ეს არის ხადორჰესი. სარემონტო სამუშაოები, მეტ-ნაკლები ინტენსიურობით, ენერგოგენერაციის ყველა ობიექტს საკმაოდ ხშირად სჭირდება. მარტო თბილსრესის რეგულარული რემონტები რად ღირს?

ხომ არ გამოიწვევს ზემოთ აღნიშნული საგადასახადო შეღავათები ენერგოგენერაციის ახალი ობიექტების ინტენსიურ მშენებლობას. იქნებ, კანონპროექტის ავტორებს აქვთ კონკრეტული წინადადებები? საინტერესო იქნება ამ წინადადებების მოსმენა. ეს კონკრეტული წინადადებები უშუალოდ კანონპროექტის რეალური ავტორებისაგან ხომ არ მოდის? მაშინ ამ წინადადებების მოსმენა კიდევ უფრო საინტერესო იქნება.

საქართველოს ენერგოსექტორის მიმართ ასეთმა უსისტემო და არათანმიმდევრულმა მიდგომამ რა შედეგამდე მიგვიყვანა, ყველა ჩვენგანი საკუთარ მაგალითზეც კარგად გრძნობს ყოველდღე, განსაკუთრებით, ყოველ საღამოს.

უშველის თუ არა საქართველოს ენერგოსექტორს საგადასახადო შეღავათები და რამდენად გამართლებულია ასეთი მიდგომა? ესაა მთავარი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გავცეთ.

**რა საგადასახადო შეღავათებიც უნდა დაწესდეს წამგებიან სექტორში, როგორიცაა დღეს საქართველოს ენერგოსექტორი, ინვესტირების მსურველის პოვნა რთული იქნება. თუ, ბუნებრივია, ეს არ არის სპეციალური პოლიტიკური შეთანხმება ან ფულის გათეთრების მცდელობა.**

საქართველოს ენერგოსექტორში ინვესტიციების მოსაზიდად საჭიროა, ინვესტორისათვის სექტორი თეორიულად მაინც იყოს მომგებიანი.

არადა, ფაქტია:

**სექტორში დანახარჯების ამოღების საშუალო მაჩვენებელი, დაახლოებით, 30 პროცენტია;**

**სექტორში ერთადერთ წარმატებულ კერძო ინვესტიციას – AES კორპორაციის შესვლა თელასში – სახელმწიფო (მთავრობა, საკონსტიტუციო სასამართლო, ოპოზიცია) გაერთიანებული ძალებით ხელს უშლის;**

**ენერგოგენერაციის ობიექტები გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურს პრაქტიკულად ვერ იღებენ;**

**ელექტროენერგიის ტარიფის დადგენაში კანონის საწინააღმდეგოდ მონაწილეობს ყველა, ვისაც არ ეზარება;**

**მსხვილი სახელმწიფო საწარმოები პრინციპულად არ იხდიან ელექტროენერგიის საფასურს და ამაში იღებენ სახელმწიფოს (ცენტრალური და რეგიონული მთავრობები) მხარდაჭერას;**

**ელექტროენერგიისა და გაზის იმპორტის ხარჯების დიდ ნაწილს ფარავს სახელმწიფო (ცენტრალური და თბილისის ბიუჯეტები);**

**ენერგოსექტორი გამოიყენება, როგორც კვაზიფისკალური ინსტრუმენტი;**

ამ პირობებში ინვესტორის არათუ მოზიდვაზე, შენარჩუნებაზეც რთული იქნება საუბარი.

მაგრამ, აღნიშნული პრობლემების მოგვარების შემდეგ, დამატებითი საგადასახადო შეღავათების გარეშეც, ღია და გამჭვირვალე საპრივატიზაციო პირობებში ინვესტორების ენერგოსექტორში მოზიდვა შესაძლებელი იქნება.

არსებული მიდგომა კი:

**გაუმართლებელია ეკონომიკურად, რადგან ვერ აგვარებს მთავარს - სექტორის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის - არსებულ პრობლემას;**

**გაუმართლებელია ფისკალურად, რადგან ქვეყანას (სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებს) დააკლდება საკმაოდ დიდი რაოდენობის შემოსავალი და ის ვერ შეძლებს ბევრი, მათ შორის სოციალური ხარჯების გაწევას;**

**გაუმართლებელია სოციალურად, უსამართლოა, რადგან მდიდრები მიიღებენ უფრო მეტ შეღავათს და ღარიბები უფრო ნაკლებს.**

ერთადერთი სწორი და სამართლიანი მიდგომა იქნება:

**სექტორში ინვესტირებისათვის ყველა ხელშემშლელი პრობლემის მოგვარება (პრაქტიკული პრობლემებით დაწყებული, ელექტროენერგიის ტარიფით დამთავრებული);**

**ენერგოსექტორის ჩვეულებრივ რეჟიმში დაბეგვრა, რაც ნიშნავს არა მარტო შემოთავაზებულ შეღავათებზე უარის თქმას, არამედ უკვე დაწესებული შეღავათების გაუქმებასაც;**

**მობილიზებული შემოსავლების (დამატებით მობილიზებული შემოსავლების ჩათვლით) პრიორიტეტულად მიმართვა პირდაპირი სოციალური დახმარებისა და ენერგოსექტორის რესტრუქტურიზაციისათვის;**

დანარჩენი ორი ნაწილი ეკონომიკის კონკრეტულად ორი ვიწრო სექტორის საგადასახადო შეღავათებს ეხება და, ბუნებრივია, კერძო ინტერესებითაა განპირობებული. უნდა ითქვას ისიც, რომ ასეთი შეღავათები, როგორც წესი, საკმაოდ სარფიანია ამ სექტორის ბიზნესმენებისათვის, მაგრამ წამგებიანია ბიუჯეტისათვის, წამგებიანია მთლიანად ეკონომიკისათვის და წამგებიანია საზოგადოებისათვის:

**ამ სექტორებში დასაქმებული ბიზნესმენები მიიღებენ დღევანდელთან შედარებით მეტ (დაახლოებით, 30-50 პროცენტით მეტ) შემოსავლებს (ცალკე საკითხავია, რას მოხმარდება ეს დამატებით მიღებული ზეშემოსავლები?);**

**სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები დაკარგავენ საკმაოდ დიდი რაოდენობის შემოსავლებს და, შესაბამისად, ვერ მოახერხებენ ბევრი, მათ შორის - სოციალური, ხარჯების გაწევას (ცალკე საკითხავია, რატომ უნდა დაასპონსოროს პენსიონერმა ბიზნესმენის ზეშემოსავალი?);**

**ინვესტორების ყურადღება ეკონომიკის სხვა სფეროებიდან გადმოვა ზემოთ ჩამოთვლილ სექტორებზე (სამწუხაროდ, ენერგოსექტორის გარდა) და ეკონომიკის ეს სექტორები, თავის მხრივ, გამოეთიშება საერთაშორისო კონკურენციის რეჟიმს. შესაბამისად, დროთა განმავლობაში გაუარესდება ამ სექტორების პროდუქციის ხარისხი და კვლავ იგივე პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით. მაგრამ, ბიუჯეტში უფრო ნაკლები შემოსავლები გვექნება, ამ სექტორების ბიზნესმენები კი უკვე პოლიტიკაში გადაინაცვლებენ;**

და ბოლოს, მთავარი კითხვა: რატომ უნდა გადაიხადოს საზოგადოებამ ეს ფასი ამ საკანონმდებლო ინიციატივაში?!

# „ბი-პი" კიდევ ერთ ხათაბალაში გაეხვია

თორნიკე შარაშენიძე

*კალიფორნიის ხელისუფლებამ 319-მილიონიანი სარჩელი აღძრა "ბრიტიშ პეტროლეუმის" წინააღმდეგ. ჩვენთვის კარგად ნაცნობ ნავთობკომპანიას ბრალად ედება ჰაერის დაბინძურება და ზედამხედველი ორგანოებისთვის მცდარი ინფორმაციის მიწოდება. ანალოგიური ბრალდებები შტატმა შეიძლება "ექსონმობილსა" და "შევრონტექსაკოსაც" წაუყენოს, მაგრამ ამ კომპანიათა მოღვაწეობა ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია.*

"ბი-პი"-სთვის, რომელიც სანავთობო ბიზნესში გარემოს დაცვის საკითხებში პირველობას იჩემებდა, ამგვარი ბრალდებები ახალი ხილი, კარგა ხანია, აღარ არის. აქამდე ბრიტანულ კომპანიას დიდი პრობლემები შეექმნა ალიასკის ერთ-ერთ საბადოზე მომხდარი აფეთქების გამო, რომელსაც მსხვერპლიც მოჰყვა.

კალიფორნიის მთავრობის მიერ წამოყენებულ 109-გვერდიან სარჩელში ჩამოყალიბებულია სამი ძირითადი ბრალდება ნავთობგიგანტის მიმართ. ესენია: 1. მონაცემების გაყალბება ანგარიშებში, რომლებიც საცავების სახურავებიდან გამონაბოლქვის გადენას ეხება. 2. გამონაბოლქვის შეუკავებლობა. 3. ორი ინციდენტი, რომელსაც ჰაერის დაბინძურება და ახლომდებარე სკოლებიდან მოწაფეების ევაკუაცია მოჰყვა.

ნავთობკომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამგვარი ბრალდებები და, მით უფრო, სარჩელით მოთხოვნილი თანხის სიდიდე "გაკვირვებას იწვევს." მაგრამ "ბი-პი"-ს საშუალება აქვს, სასამართლოში დაიცვას თავისი სიმართლე და ყველაფერი იქ გაირკვევა. სარჩელში ნათქვამია, რომ ზემოთჩამოთვლილ დარღვევებს 1994-2002 წლებში ჰქონდა ადგილი ლოს-ანჯელესში მდებარე "კარსონის" ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, რომელიც 2000 წელს იქცა "ბი-პი"-ს საკუთრებად (მაშინ, როცა ბრიტანულმა გიგანტმა "არკო" შეისყიდა). პასუხი კი წარსულის ცოდვების გამოც სწორედ მას მოეთხოვება და არა "არკოს," რომელიც აღარ არსებობს.

სარჩელში ისიცაა ნათქვამი, რომ კომპანია გასულ ზაფხულს ინსპექტორებს ქარხანაში შესვლაზე უარს ეუბნებოდა და შემოწმება მხოლოდ მაშინ მოხერხდა, როცა ინსპექტორებმა სასამართლოში ნებართვა აიღეს.

# ნავთობის რეზერვები გახსნისთვის მზადაა

თორნიკე შარაშენიძე

საერთაშორისო ენერგეტიკის სააგენტომ (სეა) – ორგანიზაციამ, რომელიც ნავთობის მარაგების გამოყენების კოორდინაციით არის დაკავებული – თავის წევრებს ბოლო ათწლეულის განმავლობაში პირველად განუცხადა, რომ, ერაყთან ომის დაწყების შემთხვევაში, თავის სტრატეგიულ რეზერვებს გახსნის, რათა მოაწესრიგოს შესაძლო დეფიციტი საწვავის ბაზარზე და ხელი შეუშალოს ფასების ზრდას.

სეა-ს თავკაცმა კლოდ მანდილმა განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია, ისევე როგორც ოპეკი, ვალდებული იქნება ომის დროს თავიდან აიცილოს მსოფლიოს ენერგოკრიზისი. მოგეხსენებათ, სანავთობო ბაზარზე, სპარსეთის ყურეში მოსალოდნელი ომის წინ არნახული კრიზისი სუფევს. ბარელი გადაუმუშავებელი ნავთობის ფასმა 40 დოლარსაც კი მიაღწია და არავინ უწყის, რა სიმაღლეებზე ავა ეს მაჩვენებელი ომის დაწყების შემდეგ. ცხადია,



REUTERS

ომის დასაწყებად ყველაფერი მზადაა

ახლანდელი ფასები პანიკით უფრო გამოწვეული და არა რეალური დეფიციტით. ამიტომ, ასეთ ვითარებაში სეა-ს მსგავს განცხადებებს განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება. სეა-ს მარაგი ოთხ მილიარდ ბარელს მოიცავს და იქიდან თუნდაც ნაწილის ბაზარზე გატანას მნიშვნელოვანი მასტაბილიზებელი ეფექტი ექნება.

ექსპერტთა აზრით, სეა-ს ამგვარი განცხადება კიდევ ერთი მინიშნებაა იმაზე, რომ ომის დაწყება დღეების საქმეა. აქამდე სააგენტომ ანალოგიური განცხადება მხოლოდ ერთხელ გააკეთა – 1991 წელს, სპარსეთის ყურეში ომის დაწყებამდე სულ ცოტა ხნით ადრე. მაშინ სეა-მ თავისი საცავებიდან 2,5 მილიონი ბარელი გაუშვა ბაზარზე და მკვეთრადაც დააგდო საწვავის ფასები.

ომის დაწყების შემთხვევაში, ანალოგიურ ნაბიჯზე წასვლას გეგმავს ამერიკაც. ამერიკული სტრატეგიული ნავთობრეზერვი 600 მილიონ ბარელს მოიცავს. ეს სეა-ს მარაგს ვერ შეედრება, მაგრამ აშშ-ს ბაზრისათვის დიდი შეღავათი იქნება.

# სადამს ერაყი საომარ მდგომარეობაზე გადაჰყავს





REUTERS

პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა ერაყი საომარ მდგომარეობაზე გადაიყვანა და თავის ვაჟსა და სამ ნდობით აღჭურვილ ადამიანს ქვეყნის ოთხი სამხედრო რეგიონი ჩააბარა.

ერაყის პრეზიდენტმა აღნიშნული ბრძანება შაბათს ღამით, ჯორჯ ბუშის, ტონი ბლერისა და ხოსე მარია აზნარის შეხვედრამდე გამოსცა.

ერაყის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, სადამის ვაჟი ქუსაი ქვეყნის შუაგულს – ბაღდადსა და პრეზიდენტის მშობლიურ ქალაქ ტიკრიტს დაიცავს.

სადამის ბიძაშვილი ალი ჰასან ალმაიჯიდი სამხრეთ სექტორზე პასუხისმგებლად დაინიშნა, რომელსაც ქუვეითში მყოფ ბრიტანულ და ამერიკულ ჯარებთან გამკლავება მოუწევს. ალმაიჯადი ცნობილია “ალი-ქიმიის” სახელით იმ როლის გამო, რომელიც მან 1988 წელს ჩრდილოეთ ერაყში ქურთების აჯანყების ჩახშობისას შეასრულა. მაშინ, ქიმიური იარაღის გამოყენების შედეგად, ათასობით ქურთი დაიღუპა.

სადამის მოადგილე იზათ იბრაჰიმ ალ-დური სტრატეგიული მნიშვნელობის ჩრდილოეთი რეგიონის სარდლად დაინიშნა. ევფრატის ცენტრალური რაიონი კი, სადაც შიიტი მუსლიმების მრავალი წმინდა ადგილია, მაზბან ხადერ ჰადის ჩააბარეს, რომელიც მმართველი რევოლუციური საბჭოს წევრია.

სადამმა "დედამიწა-დედამიწა" ტიპის რაკეტებისა და ავიაციის გამოყენების თაობაზე ბრძანების გაცემის უფლება თავისთვის დაიტოვა.

“თითოეული რეგიონის სარდლობა პასუხისმგებელია თავის გეოგრაფიულ არეალზე. მათ უფლება აქვთ გამოიყენონ ყველა ფინანსური, ადამიანური, პარტიული რესურსი, რათა წინ აღუდგნენ უცხოურ აგრესიას, რომელიც მიმართულია ერაყის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ”, - ნათქვამია სადამ ჰუსეინის დეკრეტში.

# სამხედრო საბჭო აზორის კუნძულებზე: დიპლომატიის ხანა დასრულდა

შოთა უტიაშვილი

1495 წელს, მაშინდელ ორ უძლიერეს იმპერიას - ესპანეთსა და პორტუგალიას შორის დადებული შეთანხმებით, მსოფლიო ორად გაიყო. ყველა აუთვისებელი მიწა, რაც აზორის კუნძულების დასავლეთით მდებარეობდა, ესპანეთის საკუთრებად გამოცხადდა, აღმოსავლეთით მდებარე მიწები კი - პორტუგალიას გადაეცა.

გუშინ, როგორც ჩანს, აზორის კუნძულებზე ერაყის ბედი გადაწყდა. მსოფლიოსათვის, ალბათ, ესეც გამყოფი ზღვარი იქნება, ოღონდ არა სივრცეში, არამედ დროის თვალსაზრისით.

უშუალოდ შეხვედრის შესახებ, რომელსაც აშშ-ს, ბრიტანეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის ლიდერები ესწრებოდნენ, ჯერჯერობით, ბევრი არაფერია ცნობილი, თუმცა, სამიტის მნიშვნელობაზე ის მოვლენებიც მეტყველებს, რომელიც მის პარალელურად განვითარდა.

აქამდე ერაყთან დაკავშირებული დიპლომატიური წიაღსვლები შემდეგი სცენარით მიმდინარეობდა: აშშ აყენებდა მოთხოვნებს, საფრანგეთი ამბობდა – "არა", შემდეგ აშშ არბილებდა თავის მოთხოვნებს, საფრანგეთი მაინც ამბობდა - "არა".

გუშინ სურათი შეიცვალა. ამჯერად საფრანგეთმა გამოთქვა კომპრომისზე წასვლის სურვილი, და უკვე აშშ-მ თქვა – "არა". ტელევიზიით გამოსვლისას, საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა აღარ მოითხოვს ინსპექტირების 120 დღით გაგრძელებას, და ერთთვიან ვადაზეც თანახმა იქნება. "ნებისმიერ ვადაზე დავთანხმდები, რომელსაც ინსპექტორები თვითონ ჩათვლიან საჭიროდ," – უთხრა მან ჟურნალისტებს. ვაშინგტონმა შირაკს ერთი თვის მიცემაზე უარი უთხრა. "დამატებითი ვადა მხოლოდ სადამ ჰუსეინის წისქვილზე დაასხამს წყალს," – განაცხადა ვიცე-პრეზიდენტმა ჩეინიმ.

ამერიკა არ დათანხმდა არც საფრანგეთ-რუსეთ-გერმანიის მოთხოვნას, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე უშიშროების საბჭოს მოწვევის შესახებ. განსხვავებები იმდენად დიდია, რომ სხდომის ჩატარებას აზრი ეკარგება – განაცხადა კოლინ პაუელმა.

უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო ბელგიამ. ქვეყანამ, რომლის ტერიტორიაზეც განთავსებულია ნატო-ს შტაბბინა, განაცხადა, რომ თუ ამერიკა ერაყში უკანონო ომს დაიწყებს, ბელგია ამერიკელი სამხედროებისათვის თავის პორტებსა და საჰაერო სივრცეს დაკეტავს. ამ ქვეყნის ვიცე-პრემიერი ჟოან ლანოტი კი კვირას ბრიუსელში გამართული ანტისაომარი დემონტრაციის პირველ რიგებში მიაბიჯებდა. ბრიუსელის გარდა, კვირას სამშვიდობო დემონსტრაციები მსოფლიოს ბევრ ქალაქში გაიმართა.

სამიტზე წასვლის წინ, ტონი ბლერმა სთხოვა იურისტებს დაედგინათ, რამდენად კანონიერი იქნებოდა ომის დაწყება უშიშროების რეზოლუციის გარეშე. დიდი ბრიტანეთის გენერალურმა პროკურორმა, ლორდმა გოლდსმიტმა განაცხადა, რომ ომი ლეგიტიმურია, მაგრამ თუ ამის შესახებ რეზოლუცია უშიშროების საბჭოზე კენჭისყრაზე გაიტანეს და იგი ჩავარდა, მაშინ ერაყში შეჭრის კანონიერება ეჭვქვეშ დადგება

ექსპერტები ამბობენ, რომ ვაშინგტონმა მიიღო გადაწყვეტილება, აღარ დააყენოს კენჭისყრაზე მეორე რეზოლუცია და ომი უშიშროების საბჭოს პირდაპირი ნებართვის გარეშე დაიწყოს. აშშ-ს, ბრიტანეთის, ეპანეთისა და პორტუგალიის ლიდერების სამიტზეც სწორედ ომის დაწყების საკითხი უნდა განიხილონ.

მიუხედავად მონაწილეთაგან საწინააღმდეგოს მტკიცებისა, აზორის სამიტი მთელმა მსოფლიომ სწორედ სამხედრო საბჭოდ შეაფასა. გერმანიამ მოუწოდა თავის მოქალაქეებს, დაუყოვნებლივ დატოვონ ერაყი და განაცხადა, რომ ამის შემდეგ საელჩოსაც დახურავს. იგივეს აკეთებს ბევრი სხვა ქვეყანა.

ომი უკვე ნებისმიერ დღეს შეიძლება დაიწყოს. ოღონდ, ექსპერტების თქმით, ეს მოულოდნელად არ მოხდება. ჯორჯ ბუში მიმართავს ამერიკელ ხალხს და სთხოვს, რომ ომისათვის მოემზადონ. ერაყში მყოფ უცხოელებს რამდენიმე დღე მიეცემათ იმისათვის, რომ ქვეყანა დატოვონ. შესაძლოა, ერაყს ფორმალურად უკანასკნელი ულტიმატუმიც წაუყენონ. შემდეგ კი საქმეში "მსოფლიოს ყველა დროის უძლიერესი არმია" ჩაერთვება და ჰუსეინის რეჟიმისაგან ქვას ქვაზე არ დატოვებს.

# გაყალბებული არჩევნებით ხშირად შეიძლება ფონს გასვლა, მაგრამ არა - ყოველთვის

*"24 საათის" სტუმარია ჯონს-ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორი ჩარლზ ფერბენკსი. პროფესორი ფერბენკსი აშშ-ში საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლება და რესპუბლიკელებს შორის დიდი გავლენით სარგებლობს. წარსულში იგი იყო პრეზიდენტების - რეიგანისა და ბუში-უფროსის მრჩეველი, ეკავა მაღალი თანამდებობები სახელმწიფო დეპარტამენტში.*

შოთა უტიაშვილი

**- როგორ შეაფასებდით აშშ-საქართველოს დღევანდელ ურთიერთობებს?**

- საქართველო საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა აშშ საგარეო პოლიტიკაში როგორც კლინტონის, ისე ბუშის დროს. ეს უკანასკნელი, როგორც ვიცი, საქართველოთი პირადად არის დაინტერესებული. ვაშინგტონი ამ წლების განმავლობაში გამუდმებით ცდილობს, თავიდან აიცილოს შესაძლო რუსული ავანტიურა საქართველოში.

მას შემდეგ, რაც ამერიკასა და მის ორ უმნიშვნელოვანეს მოკავშირეს (საფრანგეთი და გერმანია) შორის განხეთქილება მოხდა, აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს მნიშვნელობა გაიზარდა. ამ ქვეყნებმა მხარი დაუჭირეს ამერიკას და ვფიქრობ, ამერიკა ამას დააფასებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე ვაშინგტონში აშკარად შეიმჩნეოდა იმედგაცრუება საქართველოში რეფორმების ნელი ტემპისა და კორუფციის გამო, ვფიქრობ, ერაყის ომი ვაშინგტონ-თბილისის ურთიერთობებს ახალ შანსს აძლევს.

**- რა როლი შეიძლება შეასრულოს საქართველომ მომავალ ომში?**

- არა მგონია, საქართველომ სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს, თუმცა, თუ თურქეთმა ბაზები არ დაგვითმო, საქართველოს მნიშვნელობა შეიძლება გაიზარდოს.

**- მაგრამ ბოლო დღეებში თურქეთი საჰაერო სივრცის დათმობაზეც უარს აცხადებს...**

- ძალზე ცუდი იქნება, თუ ასე მოხდა, მაგრამ ვფიქრობ, თურქები ასე შორს არ წავლენ. თურქ სამხედროებს ამერიკასთან ურთიერთობების მნიშვნელობა კარგად ესმით.

მე ვფიქრობ, ომი საქართველოსათვის გარკვეულ საფრთხესაც შეიცავს, რადგან ამერიკის პოლიტიკური ელიტა მთლიანად ომით იქნება დაკავებული. და ეს შანსს აძლევს რუსეთს, წყალი აამღვრიოს. ახლა ის დროა, საქართველოს ხელისუფლება კარგად დაფიქრდეს, რისი გაკეთება შეუძლია, რასაკვირველია, ამერიკელების მხარდაჭერით, რათა საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის მცდელობაზე რუსებს ხელი ააღებინოს.

**- თუმცა, რუსეთის ზეწოლა ნელნელა უფრო შესამჩნევი ხდება. რკინიგზის იძულებითი აღდგენა ამის მაგალითია.**

- რკინიგზა, შეიძლება, არც ისე ცუდი იყოს საქართველოსთვის, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. რაკი ეს რკინიგზა მნიშვნელოვანია რუსებისათვის, საქართველო უნდა ეცადოს, რაც შეიძლება მეტი მიიღოს ამის სანაცვლოდ.

**- საქართველოს ტერიტორიის გავლით რუსეთიდან ირანში მატარებლების მოძრაობამ თუ შეიძლება გააფუჭოს აშშ-საქართველოს ურთიერთობები?**

- შესაძლებელია.

**- საქართველო დასავლეთისაგან კონფლიქტების გადაჭრაში უფრო აქტიურად ჩართვას ელის.**

- ვფიქრობ, ამერიკისათვის, ამ ეტაპზე, მთავარია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი. ვაშინგტონში მიაჩნიათ, რომ თუ ის გადაიჭრა, მას სხვებიც მიჰყვება. ჩემი აზრით კი, გადაწყვეტასთან ყველაზე ახლოს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტია, რაშიც, სხვებთან ერთად, ქართული მხარის დამსახურება ძალზე დიდია. თანაც, საქართველოს ამ კონფლიქტის დარეგულირებაში დასავლეთის მხრიდან განსაკუთრებული დახმარება არ მიუღია

ჩემი აზრით, აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტა უაღრესად რთული იქნება. ის იმ სიტუაციაში გაიყინა, როდესაც აღარც ბრძოლაა, მაგრამ ჯერ არც შეთანხმება არსებობს. კონფლიქტის გადაჭრის იმედით დასავლეთისაკენ ყურება საქართველოს მხრიდან თვითდამშვიდების მცდელობას წააგავს. ნაცვლად ამისა, სჯობს ქართველებმა იმაზე იფიქრონ, თვითონ რისი გაკეთება შეუძლიათ.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოდორის ხეობამდე გზის მშენებლობას. კოდორს უზარმაზარი მნიშვნელობა გააჩნია, რადგან, სანამ საქართველო ყოფილი აფხაზეთის ასსრ-ს ამ ნაწილს აკონტროლებს, გამორიცხულია, რომ ინერციით, დროთა განმავლობაში, აფხაზეთმა დამოუკიდებლობას მიაღწიოს. კოდორში ასაფრენი ზოლის მშენებლობის იდეაც საკმაოდ საინტერესოა. ვფიქრობ, ვაშინგტონი ამაზეც უნდა დაფიქრდეს.

**- დღეს საქართველოში მოახლოებული არჩევნების თემა ყველაზე აქტუალურია. როგორი პერსპექტივა ჩანს ვაშინგტონიდან?**

- გაყალბებული არჩევნები ზრდის დასავლეთის მხრიდან ქვეყნისადმი ცინიკურ დამოკიდებულებას, მოსახლეობის უნდობლობას პოლიტიკოსებისადმი და ძირს უთხრის ხელისუფლების ლეგიტიმურობას. ვფიქრობ, ტერ-პეტროსიანის რეჟიმის კოლაფსი კარგი მაგალითი უნდა იყოს გამყალბებლებისათვის. გაყალბებული არჩევნებით ხშირად შეიძლება ფონს გასვლა, მაგრამ არა - ყოველთვის.

არჩევნების გაყალბება შეიძლება აშშ-სთან ურთიერთობებშიც სერიოზულ დაბრკოლებად იქცეს. ვაშინგტონში არსებობს სამწუხარო ტენდენცია, რომ თუ გაყალბება კრიზისს არ იწვევს, მასზე, როგორც წესი, თვალს ხუჭავენ. მაგრამ თუ ხალხი ქუჩაში გადის და ამას სი-ენ-ენ-ი ატრიალებს, მაშინ ეს თემა ძალზე მნიშვნელოვანი ხდება.

თუმცა, არჩევნები ნებისმიერ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესი იქნება. შევარდნაძემ უნდა გადაწყვიტოს, როგორი მემკვიდრეობის დატოვება სურს თავისი ქვეყნისათვის.

ჩვენ გვესმის, რომ არჩევნები სრულყოფილი არ იქნება, მთავარია, ხელისუფლებას სურდეს მათი სრულყოფილად ჩატარება.

ვფიქრობ, თავისი ბუნებით, ქართული საზოგადოება გაცილებით უფრო დემოკრატიულია, ვიდრე დსთ-ს რომელიმე სხვა ქვეყნის მოსახლეობა. საქართველოში არსებობს დასავლეთისაკენ სწრაფვის ძალიან ძველი ტრადიციაც, რომელიც ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანიდან იღებს სათავეს. თუ არჩევნები ნორმალურად არ ჩატარდა, ეს იქნება საქართველოს მიერ საკუთარი ტრადიციებისა და ისტორიის ღალატი და ნატო-სა და ევროკავშირში შესვლის შანსის ხელიდან გაშვება. ახლა საქართველოს აქვს შანსი, ჭეშმარიტი დემოკრატიული გარღვევა მოახდინოს და ძალზე სამარცხვინო იქნება, თუ ამ შანსს ხელიდან გაუშვებს.

**- თქვენი აზრით, საქართველოს რეალურად თუ აქვს ნატო-ში შესვლის შანსი?**

- ამ ბოლო დროს, ვფიქრობ, რომ აქვს, მაგრამ არა - ახლო მომავალში. 11 სექტემბრამდე და ნატო-ში მომხდარ განხეთქილებამდე ბევრი ფიქრობდა, რომ საქართველო მეტისმეტად შორეული და მეტისმეტად არარეფორმირებული იყო. თუმცა, ბოლო ხანს შანსები გაიზარდა.

**- ანალიტიკოსები შიშობენ, რომ ომის შემდეგ, კავკასიამ თავის ნავთობთან ერთად, შეიძლება, ამერიკისათვის მნიშვნელობა დაკარგოს.**

- ერაყის ნავთობი იაფია, ზღვასთან ახლოა და მილსადენებიც უკვე არსებობს. ამ მხრივ, კასპიის ნავთობისათვის გარკვეული რისკები არსებობს. თუმცა, მეორე მხრივ, საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობით შეუძლია დიდი სარგებელი მიიღოს. გარდა ამისა, ნატო-ში არსებული განხეთქილების გამო, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები შეინარჩუნებენ მნიშვნელობას ამერიკისათვის.

**- როგორ უყურებენ ვაშინგტონში პანკისის ხეობაში შექმნილ ვითარებას?**

- ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვითარება მნიშვნელოვნად გამოსწორდა, მაგრამ ჯერ პრობლემა ბოლომდე გადაჭრილი არ არის. ორწელიწადნახევრის წინ, როდესაც მე ხეობაში ვიყავი, იქ არც ერთი ქართველი პოლიციელი არ იყო. სამაგიეროდ, ოცჯერ მაინც გაგვაჩერეს გზაზე და ფული გვთხოვეს. ეს მართლა სამარცხვინოა.

ვფიქრობ, მხოლოდ ძალის გამოყენებით ეს პრობლემა ვერ გადაიჭრება. აუცილებელია, მოსახლეობას, მათ შორის ქისტებსა და ჩეჩნებს, ნორმალურად ცხოვრების და თავის გატანის შანსი მიეცეს. პანკისი და კოდორი საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, ისინი რუსული აგრესიისათვის მაგნიტის როლს ასრულებს და იმ პრობლემების უყურადღებოდ მიტოვება, რაც დღეს ხდება, დიდი შეცდომაა.

**- რუსეთი ისევ აჭიანურებს საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანას. როგორ შეიძლება მას ამ პროცესის დაჩქარება ვაიძულოთ?**

- მუდმივი ზეწოლით. ამ მხრივ, საინტერესოა ადამიანის უფლებათა ჰელსინკის დასკვნითი აქტის მაგალითი. სსრკ-მ მას ხელი მოაწერა იმ განზრახვით, რომ არასოდეს შეესრულებინა იგი. მაგრამ, ამან შექმნა საფუძველი დასავლეთის მხრიდან მუდმივი ზეწოლისათვის.

ჩვენ ვიზიარებთ თბილისის პოზიციას ბაზებთან დაკავშირებით. სტამბოლის შეთანხმების შესრულება ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში გავრცელებული შეხედულებით, შეთანხმება არასოდეს არ არის საბოლოო. ამიტომ, საჭიროა რუსეთზე მუდმივი ზეწოლა, რათა მან შეთანხმება შეასრულოს.

**- და ბოლოს, თქვენი ვიზიტის შესახებ: თქვენ ხომ ძალიან საინტერესო იდეით ჩამოხვედით.**

- ჩვენ გვინდა თბილისში ამერიკული სტილის ლიბერალური კოლეჯი დავაფუძნოთ. ძალზე სამწუხაროა, რომ საქართველოს, საბჭოთა კავშირის ყველაზე განათლებულ ქვეყანას, დღეს ისეთი არაადეკვატური და კორუმპირებული უმაღლესი განათლების სისტემა აქვს, რომელიც ერს თავისი ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენების საშუალებას არ აძლევს.

გვინდა შევქმნათ საუნივერსიტეტო პროგრამა, რომელიც არ იქნება ძალიან სპეციალიზებული და უფრო აზროვნების განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. ამერიკის მხრიდან მასში მონაწილეობას იღებენ ჯონს-ჰოპკინსის უნივერსიტეტი, მიჩიგანის უნივერსიტეტი და უილიამს კოლეჯი.

რაც შეეხება დაფინანსებას, ქართველები განათლებაში დიდ თანხებს ხარჯავენ, თანაც, ფულს უმეტესად კერძო რეპეტიტორებში და მისაღებ გამოცდებზე ქრთამებში იხდიან. ვფიქრობ, კარგი განათლების მისაღებად სიამოვნებით გაიღებენ თანხას. ჩვენ, ალბათ, გვეყოლება მდიდარი სპონსორები როგორც ქართული, ისე ამერიკული მხრიდან, რაც სტუდენტებისათვის შეღავათების გაწევის საშუალებას მოგვცემს.

# ქართველი „რასპუტინი” ლიტვაში

სანამ როლანდას პაკსასი ჯერ მხოლოდ ლიტვის პრეზიდენტობის კანდიდატი იყო, მისი მისტიკური გატაცებები მოსახლეობაში მსუბუქ ირონიას იწვევდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი სახელმწიფოს მეთაური გახდა, ლიტველები ქვეყნის რეპუტაციის გამო სერიოზულად შეშფოთდნენ.

საქმე ის არის, რომ პრეზიდენტ პაკსასს ჰყავს “მრჩეველი მისტიკის საკითხებში და პირადი წინასწარმეტყველი”, ქართველი ლენა ლოლიშვილი. პრეზიდენტი აცხადებს, რომ ქნი ლოლიშვილისა ურყევად სწამს. ეს არც არის გასაკვირი, ლოლიშვილმა ხომ ჯერ კიდევ 1997 წელს, როდესაც პაკსასი მხოლოდ ვილნიუსის საკრებულოს წევრი იყო, უწინასწარმეტყველა მას, პრეზიდენტი გახდებიო. თანაც, პაკსასის თქმით, როდესაც იგი სერიოზულად იყო ავად, ლოლიშვილი მას განკურნებაში დაეხმარა.

ლიტვის მასმედიაში ლოლიშვილით უკმაყოფილება მას შემდეგ დაიწყო, რაც თებერვალში, პაკსასის ინაუგურაციის ცერემონიალზე “წინასწარმეტყველი” საპატიო სტუმრის რანგში გამოჩნდა. მას მაშინვე უწოდეს “ლიტველი რასპუტინი”.

ლოლიშვილი ამტკიცებს, რომ ღმერთი ესაუბრება. მას ავადმყოფების “განკურნების” თავისებური მეთოდი აქვს: ავადმყოფებს ტუალეტის ქაღალდში ახვევს, რომელსაც წინასწარ “ენერგიით მუხტავს”.

პრეზიდენტის კარზე ახალი “წინასწარმეტყველის” გამოჩენამ სერიოზულად შეაშფოთა ლიტვის ეკლესია. მისმა მეთაურმა, კარდინალმა აუდრის ბაკისმა, ლოლიშვილს “ცხვრის ტყავში გახვეული მგელი” და “ყალბი მოციქული” უწოდა.

ქვეყნის წამყვანი გაზეთის “ლიეტუვოს რიტასის”, განცხადებით, თუ ასე გაგრძელდა, უახლოესი ხუთი წლის მანძილზე ლიტვა საყოველთაო დაცინვის ობიექტი იქნება და მოუწოდა პრეზიდენტს, გაიხსენოს, რომ იგი პილოტი აღარ არის, დემოკრატიული ქვეყნის მეთაურია და შესაფერისად უნდა მოიქცეს.

პაკსასისა და ლოლიშვილის ურთიერთობები ბოლო დღეებში პოლიტიკური სკანდალის საფუძვლად იქცა. პრესაში გამოჩნდა ცნობები, რომ პრეზიდენტი წამყვან თანამდებობებზე ხალხის დანიშვნას ამ “ახალმოვლენილ რასპუტინს” უთანხმებს. პრეზიდენტის კანცელარიაში თანამდებობებზე დასანიშნი კანდიდატები გასაუბრებას ჯერ ლოლიშვილთან გადიან. კონსერვატორი პარლამენტარი იურგის რაზმა აცხადებს: “ამ ქალბატონის გავლენა სულ უფრო ნაკლებად გვაოცებს, განსაკუთრებით იმათ, ვისაც წაკითხული გვაქვს ნიკოლოზ მეორისა და რასპუტინის ისტორია”.

13 მარტს პრეზიდენტი იძულებული გახდა თავისი და “წინასწარმეტყველის” ურთიერთობების შესახებ საგანგებო პრესკონფერენცია მოეწვია. პრეზიდენტის განცხადებით, ლოლიშვილთან მას მხოლოდ პირადი ურთიერთობები აკავშირებს და ეს უკანასკნელი სახელმწიფო საქმეებში არ ერევა.

ლოლიშვილი კი მშვიდად აცხადებს, რომ მისი “მომსახურებით” ლიტვის თითქმის მთელი პოლიტიკური ელიტა სარგებლობს, მათ შორის, ყოფილი პრეზიდენტი ალგირდას ბრაზაუსკასიც (სი-ენ-ენი, ბი-ბი-სი).

# ეგვიპტის სასამართლოს მკაცრი განაჩენი

ეგვიპტის სასამართლომ 21 მამაკაცი ჰომოსექსუალიზმისთვის გაასამართლა. საერთაშორისო ორგანიზაციებს “ეგვიპტის საქმეზე” 2001 წლიდან მკაცრი კონტროლი აქვთ დაწესებული. სწორედ 2001 წლის გაზაფხულზე დააპატიმრეს მსჯავრდებულები კაიროს ერთ-ერთ ღამის კლუბში, სადაც “ცისფრები” იყვნენ თავმოყრილნი.

საერთაშორისო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ დაპატიმრებული მამაკაცები განსასჯელის სკამზე მხოლოდ მათი სექსუალური ორიენტაციის გამო მოხვდნენ. ეგვიპტის ხელისუფლება ადამიანის უფლებების დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციათა კრიტიკას თავს არიდებს და აცხადებს, რომ დასავლეთმა არ უნდა განსაჯოს ეგვიპტის ხელისუფლება ქვეყანაში დამკვიდრებული ტრადიციული სტანდარტების დაცვისთვის.

თავდაპირველად, საქმეში 51 ბრალდებული იყო, რომელთა რიცხვი მოგვიანებით შემცირდა და, საბოლოოდ, მხოლოდ 21 მამაკაცი გასამართლდა, დანარჩენები კი გაათავისუფლეს. სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ეგვიპტის პრეზიდენტის ბრძანების შემდეგ მიიღო.

შაბათს, ეგვიპტის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი საერთაშორისო ორგანიზაციათა სერიოზული კრიტიკის ობიექტი გახდა. 3 წლით დაპატიმრებულ 21 ეგვიპტელ ჰომოსექსუალისტს განაჩენის გასაჩივრების საშუალება ეძლევათ.

## ინფორმაცია

### "03"-ს 30 პროცენტით აფინანსებენ

თბილისის ბიუჯეტის თანახმად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური „03"-ის სამი გამოძახება წელს უფასო იქნება.

დამტკიცებული ბიუჯეტით, „03" წელს 2,5 მილიონ ლარს მიიღებს. ამ თანხით შესაძლებელი გახდება 20 ახალი "რეანიმობილის" შესყიდვა და ყველა მანქანასთან მობილური სატელეფონო კავშირის დამყარება. მობილური ტელეფონები უკვე შეძენილია და სამ დღეში ისინი ყველა მანქანას ექნება. „03"-ის მობილურ კავშირს „ჯეოსელი" მოემსახურება, რომელმაც „სასწრაფოს" საჩუქარი გაუკეთა და ქსელში უფასოდ ჩართო.

ამის გარდა, „03" ექიმების და თანამშრომელთა ხელფასები 80 პროცენტით გაიზრდება.

სასწრაფოს მთავარი ექიმის დავით გველესიანის განცხადებით, ყველაფერი ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ ბიუჯეტიდან თანხები დროულად იქნება გამოყოფილი.

წლეულს, იანვარ-თებერვალში, 170 ათასი ლარის ნაცვლად, „სასწრაფოს" მხოლოდ 50 ათასი გადაურიცხეს.

*მედია-ნიუსი*

### მოშიმშილის ერთი მოთხოვნა შესრულდა, მეორე - არა

რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა თინათინ ნადირაშვილმა შიმშილობის აქცია ჯანმრთელობის გაუარესებისა და ქალაქის მერთან შეხვედრის შემდეგ შეწყვიტა. როგორც ნადირაშვილი აცხადებს, მერაბ ტყეშელაშვილი მას შეჰპირდა სპეციალური კომისიის შექმნას, რომელიც ჯანდაცვის ცენტრში შექმნილ მდგომარეობას შეისწავლის.

წელიწადნახევრიანი სამართლებრივი ვაკუუმის შემდეგ, ახალი საქალაქო სამსახური საკრებულომ უკვე დაამტკიცა. ნადირაშვილი თავს ისევ ამ სამსახურის ხელმძღვანელად მიიჩნევს. მისი კიდევ ერთი მოთხოვნა - თანამდებობიდან გადამდგარიყო რუსთავის ვიცე-მერი თემურ დალაქიშვილი, არ შესრულებულა. ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი ამასთან დაკავშირებით კომპრომისზე წავიდა.

აქციის შეწყვეტის შემდეგ ნადირაშვილი ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია. ექიმების განცხადებით, ავადმყოფს სიმპტომური მკურნალობა უტარდება.

*მედია-ნიუსი*

### თვით ისტორიაც არ არსებობს უარძინბოდ

აფხაზეთის სკოლებისათვის ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს შექმნის პროცესს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა პირადად უხელმძღვანელებს.

აფხაზური ენის სტატუსის ამაღლებასთან ერთად, სოხუმის ხელისუფლება უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს აფხაზეთის ისტორიის ახალი სახელმძღვანელოების შექმნის საკითხს. ამასთან დაკავშირებით თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ, რომელიც თავად არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თავის რეზიდენციაში ცნობილი აფხაზი ისტორიკოსები ოლეგ ბღაჟბა და სტანისლავ ლაკობა მიიღო.

"ახალ სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს აფხაზეთის უახლეს ისტორიას, 1992-93 წლებში აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ომს და მას შემდეგ განვითარებულ პროცესებს," - აღნიშნა შეხვედრაზე არძინბამ.

როგორც დღეს "აფხაზეთის ხელისუფლების საინფორმაციო სააგენტო "აფსნიპრესი" იუწყება, აფხაზი ისტორიკოსები ენთუზიაზმითა და პასუხისმგებლობით მოეკიდნენ აფხაზეთის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანლოს შექმნის იდეას" და მათ საქმიანობას პირადად ვლადისლავ არძინბა უხელმძღვანელებს.

*ინტერ-პრესი*

### ცეცხლი უხანძროდ

გუშინ თბილისის მეტროპოლიტენის სადგურ "ღრმაღელეში" კაბელს ცეცხლი წაეკიდა. შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად მივიდა სახანძრო ჯგუფი, მაგრამ ხანძარი არ გაჩენილა და არც არავინ დაზარალებულა.

ავარიის ლიკვიდირება საათნახევარში მოხდა და მატარებლების მოძრაობა განახლდა.

გურამ გაბუნია მომხდარის მიზეზად მეტროპოლიტენში ელექტროენერგიის ხშირ გამორთვებს მიიჩნევს.

*პრაიმ-ნიუსი*

### პნევმონიის ახალი სახეობა

სამხრეთ აზიის რამდენიმე ქვეყანაში ფილტვების ანთების ახალი სახეობის გავრცელება დაიწყო, რომელიც სასიკვდილო შედეგით მთავრდება. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, დაავადება უკვე დაფიქსირებულია ვიეტნამში, ინდონეზიაში, სინგაპურში, ჰონკონგში, ტაილანდში, ფილიპინებსა და ტაივანში, თუმცა პნევმონიის ახალი ფორმა აღმოჩენილია კანადაშიც, სადაც მისგან უკვე ორი ადამიანი გარდაიცვალა. დაავადების პირველი შემთხვევა ევროპაშიცაა რეგისტრირებული. ფრანკფურტის (გერმანია) ერთ-ერთ საავადმყოფოში მოთავსებულია ადამიანი, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო ნიუიორკი - სინგაპურის თვითმფრინავიდან ჩამოსვეს. 155 მგზავრი კარანტინშია მოთავსებული. მთელ მსოფლიოში ეპიდემიის მსხვერპლი რამდენიმე ადამიანი გახდა.

დაავადებულთა შორის ძირითადად რამდენიმე სამედიცინო დაწესებულების მუშაკები არიან. ბევრი მათგანის მდგომარეობას ექიმები კრიტიკულად აფასებენ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ განგაში ხუთშაბათს მას შემდეგ ატეხა, რაც ჰონკონგის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა ამერიკელი ბიზნესმენი, რომელმაც მანამდე დიდი დრო ჰანოიში გაატარა.

ჯერ კიდევ ვიეტნამის დედაქალაქში ყოფნისას, ბიზნესმენი სუნთქვის გაძნელებას უჩიოდა. იქაურმა ექიმებმა მას ჰონკონგში გამგზავრება ურჩიეს, სადაც საავადმყოფოები გაცილებით უკეთესადაა აღჭურვილი, ვიდრე ვიეტნამში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცის ექსპერტთა აზრით, ბიზნესმენს გზაში შეეძლო, სულ ცოტა, რამდენიმე ათეული ადამიანი დაესნეულებინა. მას შემდეგ, რაც განსვენებულმა ამერიკელმა ბიზნესმენმა ჰანოელ ექიმებს პირველად მიმართა, მისი დაავადების მსგავსი სიმპტომები კიდევ 70 კაცს აღმოაჩნდა, მათგან 23 ადამიანს როგორც ჩანს, ფილტვების ანთება განუვითარდა.

დაავადებულთაგან არც ერთს ამერიკელთან პირდაპირი კონტაქტი არ ჰქონია, რაც დამატებით სიძნელეებს უქმნის ექიმებს, რომლებიც ცდილობენ, გაარკვიონ, თუ როგორ ვრცელდება დაავადება.

ჰონკონგელი ვირუსოლოგის ჯონ ტამის თქმით, დაავადება როგორც ჩანს, ჰაერწვეთოვანი გზით გადადის. ის ძალიან სწრაფად ვრცელდება და პაციენტის მდგომარეობა შეიძლება, რამდენიმე საათში რადიკალურად გაუარესდეს.

*ინტერ-პრესი*




# სახელმწიფო გორგასლისა და ღირსების ორდენის კავალრებს ატყუებს

*გორგასლისა და ღირსების ორდენის კავალრებს სახელმწიფო ჯილდოებთან ერთად, კანონით, ფულადი პრემიებიც უნდა გადაეცეთ. თუმცა, ჩვენი ქვეყნის ორდენოსნებს სახელმწიფოსაგან არც ერთი კაპიკი არ მიუღიათ. ფულადი პრემიები მხოლოდ ქაღალდზეა მითითებული, რეალურად კი, სახელმწიფოს ამ ხალხის 5 მილიონამდე ლარი მართებს. როგორც გაირკვა, ქვეყანა ამ ვალს შიდა ვალადაც არ აღიარებს.*

თამარ დვალი

საქართველოს პრეზიდენტი წელიწადში, საშუალოდ, 3000 სახელმწიფო ჯილდოს გასცემს, მათ შორის - ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის 11 ორდენს, მეორე ხარისხის 23 ორდენს, მესამე ხარისხის 106 ორდენს და ღირსების 494 ორდენს. პირველი ხარისხის ორდენებისათვის, კანონით, დაწესებულია 1000-ლარიანი პრემია, მეორე ხარისხის ორდენისათვის - 800-ლარიანი, მესამე ხარისხის ორდენისათვის - 600-ლარიანი, ღირსების ორდენისათვის ასევე - 600-ლარიანი. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ "სახელმწიფო ჯილდოების შესახებ კანონში" შესატანი ცვლილებების პროექტი მოამზადა და პარლამენტს პრემიების გაცემის ვალდებულების 2004 წლამდე გადავადება სთხოვა. თუმცა, პარლამენტარები ამ მოთხოვნას არ დაეთანხმნენ. პარლამენტის გადაწყვეტილებით, 2003 წელს გაცემულ ჯილდოებთან ერთად ფულადი პრემიებიც გაიცემა. რაც შეეხება წინა წლების დავალიანებას, გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავჯდომარის, დავით სალარიძის თქმით, სახელმწიფო მას შიდა ვალადაც არ აღიარებს და, როგორც ჩანს, არც მის გასტუმრებას აპირებს. "ყველაფრის ვალი შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფოს. მაგრამ, უხერხულია, როცა ადამიანს სახელმწიფო ჯილდოს აძლევ და პრემიაზე ბოდიშის მოხდით ისტუმრებ. წელიწადში იმდენი ჯილდო უნდა გავცეთ, რამდენის თავიც გვაქვს", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას სალარიძემ. შეგახსენებთ რომ, კანონი საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ 1992 წელს იქნა მიღებული. 1997 წელს კანონში შევიდა ცვლილებები და სახელმწიფო ჯილდოებთან ერთად ფულადი პრემიებიც დაწესდა. გორგასლის ორდენი სამხედრო ჯილდოა. იგი მოქალაქეებს სამშობლოს დაცვისას თავის გამოჩენისა და საბრძოლო ოპერაციების წარმატებულად განხორციელებისათვის გადაეცემათ. რაც შეეხება ღირსების ორდენს, იგი უფრო სამოქალაქო ჯილდოა და პრეზიდენტი იმ ადამიანებს ანიჭებს, რომლებმაც ქვეყნის განვითარებასა და აღორძინებაში შეიტანეს თავიანთი წვლილი. დაარსების დღიდან 2000-მდე გორგასლის და 6000-მდე ღირსების ორდენია გაცემული.

# კონგო - ჩვენი უახლესი ისტორია



პენსიონრებს სააკაშვილის სჯერათ.



"ლეიბორისტული" ენერგოაქცია.

მაკა ჭაიანი

*გასულ კვირაში, პოლ კასტელამ, "საერთაშორისო წითელი ჯვრის" დელეგაციის მეთაურმა, საქართველოს ზოგიერთ რაიონში შექმნილი ვითარება კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებულ მდგომარეობას შეადარა და განაცხადა, პრობლემები აქ იქამდე შენარჩუნდება, ვიდრე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სეპარატისტებთან კონფლიქტები არ მოგვარდებაო.*

კვირის ბოლოს, ამ ორ რეგიონზე ყურადღების გამახვილებისკენ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალს სტუდენტებმა სპეციალური მიმართვით მოუწოდეს, თუმცა, საგარეოდ ქცეული ამ საშინაო პრობლემების სწრაფი მოგვარების ილუზიით საქართველოში აღარავინ იკვებება. ეს კიდევ ერთი პირობა იქნება, რომლის შესრულებასაც ჩვენი პრეზიდენტი თავისი მმართველობის ვადებში დაგვპირდა, მაგრამ ვერ მოახერხა. უარყოფის გამომხატველი ეს "მოკრძალებული" ნაწილაკი, ბოლო ხანებია, ხელისუფლების მუდმივ თანამგზავრად იქცა. მთავრობა ვერ გაზრდის მინიმალურ ხელფასს, რადგან ხაზინის მიღმა დარჩენილ ფულს ვერ აკონტროლებს; მთავრობა ვერ ილაპარაკებს საბიუჯეტო დავალიანებების მოკლე ვადებში გასტუმრებაზე, რადგან არსებულ საგადასახადო ბაზას სრულად ვერ ითვისებს; მთავრობა ვერ შეძლებს ენერგოპრობლემის მოგვარებას, რადგან... და ა.შ. ასე, ნება-ნება აღიარებს საქართველოს ხელისუფლება, რომ არაფერი შეუძლია და ამას თავის მართლებას უწოდებს.

ენერგოპრობლემა გასულ კვირაშიც "წამყვანი თემა" გახლდათ. კვირის პირველივე დღეს, ელექტროენერგიის მოთხოვნით, ზუგდიდელებმა მორიგი აქცია მოაწყვეს და ქალაქის ოთხივე შესასვლელი გადაკეტეს. მარტის თვეში ეს ზუგდიდის რაიონის მცხოვრებლების მეოცე ასეთი აქცია იყო, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებს თავისი სტუმრობით იქაურები არცერთხელ დაუფასებიათ. ორ დღეში ზუგდიდელებს სოფელ ჩუმათელეთის მცხოვრებლები გამოეხმაურნენ და, პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში, რიკოთის გვირაბის უვადო პარალიზებით დაიმუქრნენ. ხელისუფლება მათ მიმართაც უტყვი იყო, თუმცა, ქვეყნის პრეზიდენტმა სრულიად საქართველოს, ხალხს, რომელსაც სამუშაოს ვერ აძლევს, ხელფასსა და პენსიას ვერ უსტუმრებს, მაგიდაზე მუშტი დაურტყა და თითი დაუქნია – ვიდრე არ გადაიხდით, შუქი არ გექნებათო. ეს ფრაზა, თავისი შინაარსით, ნამდვილად სჯობდა გუბერნატორების ჯანდაბაში გაგზავნასაც და, თანამდებობებიდან არჩევნების წინ, მინისტრების დაშინებას მოხსნით.

ენერგოთემატიკას გასულ კვირაში ჩვეულებრივ "ამაგრებდნენ" ლეიბორისტები. კვირა მათ იმით დაიწყეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში ახალი სარჩელი შეიტანეს, ახლა – "ეი-ი-ეს თელასის" ლობისტი სემეკის წინააღმდეგ. "შრომის პარტია" თბილისში მოქმედი ტარიფის სიმბოლური შემცირებითაა უკმაყოფილო და მის ხელახალ გადახედვას მოითხოვს. "ქართული ხელფასი" რომ ნორმალური არსებობის საშუალებას არ აძლევს ადამიანს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაჭედილმა ქანდარებმაც დაადასტურა. სხდომაზე დასწრების მსურველები ნახევარი საათის განმავლობაში კარებთან გამართულ რიგშიც კი იდგნენ, როგორმე დარბაზში რომ შეეღწიათ. არანაკლები ხალხმრავლობა იყო "ლეიბორისტების" მიერ კვირის ბოლოსთვის ორგანიზებულ "ლაშქრობაზე", რომელიც "თელასის" ბიზნეს-ცენტრების მისადგომებთან ერთი მეორის მიყოლებით გაიმართა. გასულ კვირაში კიდევ ერთი პროცესი დაუკავშირდა ამ პარტიის სახელს – მისი წყალობით შეჩერებული ბრძანებულების დასაცავად, პრეზიდენტმა უზენაეს სასამართლოს მიმართა.

ყველაზე დატვირთული გასული კვირა მაინც დედაქალაქის ხელისუფლებამ გახადა. ორშაბათს საკრებულოს თავმჯდომარე თბილისელ პენსიონერებს შეხვდა და ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცება, შესაბამისად კი პენსიების 3 ლარით გაზრდა ახარა. მისი გამოჩენით გახარებულ მოხუცებს, მიხეილ სააკაშვილმა ისიც უთხრა, თუ არჩევნებზე მიხვალთ და ხელისუფლებაში ნორმალური ხალხის მოსვლას შეუწყობთ ხელს, პენსია, მინიმუმ, 30 ლარამდე გაგეზრდებათო. შაბათს საკრებულომ კიდევ ერთი საკუთარი მიღწევა – მუნიციპალური სკოლები გაიხსენა და, ქალაქის მმართველობაში მიწვეულ სკოლების დირექტორებს საზეიმოდ განუცხადა, ამიერიდან, მუნიციპალური სკოლების დირექტორები ბრძანდებითო. ახალ ამპლუაში თავის გამოჩენისა და დებულების პირნათლად განხორციელებისთვის, თბილისის მუნიციპალური სკოლების დირექტორებს ორი წელი მიეცათ. მათი კარიერის გაგრძელება სწორედ ამ 24 თვეში გამოჩენილ მარიფათზე იქნება დამოკიდებული.

ქალაქის ხელმძღვანელობამ გასულ კვირაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქვეყნის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გაილაშქრა. ვიცე-პრემიერმა გიორგი კარბელაშვილმა და ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსმა დავით მუმლაძემ "ცენტრ-პოინტსა" და ვახტანგ რჩეულიშვილზე არცთუ სასიამოვნო ინფორმაციები გაავრცელეს. თბილისის ვიცე-პრემიერმა განაცხადა, რომ სახლი, რომელსაც "ცენტრ-პოინტი" ვერის ბაღში აშენებს, მოსახლეობისთვის მოწყობილი თავშესაფრის გზას ხერგავს; ქალაქის ადმინისტრაციული პოლიციის უფროსი კი ამბობს, ჩემი მისამართით მწვავე გამონათქვამების გამოყენება რჩეულიშვილმა მას შემდეგ დაიწყო, რაც "ცენტრ-პოინტის" დოკუმენტაციაში არსებული დარღვევები დავაფიქსირეთო. დედაქალაქის ხელმძღვანელობაში ვარაუდობენ, რომ "ცენტრ-პოინტი" იმან გააღიზიანა, საკრებულო მუნიციპალური სახლების მშენებლობას რომ აპირებს და ამატებენ, სიამოვნებით დავიქირავებთ ამ ფირმას, თუკი სახლებს ნახევარ მილიონ ლარად აგვიშენებს, როგორც ამას თავის საბუთებში აჩვენებსო.

თბილისის მერმა გასულ კვირაში ჟურნალისტები ისევ მოატარა ქალაქის ახალმშენებლობები და ლოტკინის გორის წარმოუდგენლად შელახული ქუჩების უახლოეს მომავალში შეკეთებასაც დაპირდა; კეთილმოწყობის სამსახურმა დედაქალაქის პარკების მოწყობის გეგმა გამოამზეურა; ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა – ავტობუსებისა და ტრამვაი-ტროლეიბუსების მოძრაობისა.

ამ დროს კი, საქართველოს მეორე ქალაქის მთავარ სასწავლებელში - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახლადშექმნილი ანტიკორუფციული ორგანიზაცია - "სტუდენტური კომუნა" მექრთამე და გამომძალველი ლექტორების გამომზეურებით იმუქრებოდა. ყალბი ცნობების გამცემი ქუთაისელი ექიმების გამომჟღავნებას უმიზნებდა სპეციალური კომისია, რომელიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა იმერეთში სასწრაფოდ, იქაური სამართალდამცავი სტრუქტურების მოთხოვნისთანავე აფრინა.

გასულ კვირას რამდენიმე დასაიმედებელი ამბავიც მოხდა. რუსთავის მერიამ გვამცნო, რომ გადაწყვიტა, შეარჩიოს და, მომავალი წლიდან, ყოველთვიური, 55-ლარიანი სტიპენდიით აღნიშნოს ქალაქის 5 წარჩინებული მოსწავლე; "ამერიკული აკადემიის", საჩუქრებით ხელდამშვენებული მოსწავლეები და მასწავლებლები ეწვივნენ გლდანის მეორე დამხმარე სკოლა-ინტერნატს, სადაც გონებრივი დეფექტის მქონე 187 სხვადასხვა ასაკის ბავშვი ცხოვრობს და 8 მათგანი მონათლეს; გაირკვა, რომ თბილისი-ბაქო-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიის კონსორციუმი, მილსადენის დასავლეთით მდებარე წალკის, ბორჯომის, ახალციხისა და ადიგენის რაიონების 37 სოფლის მცხოვრებთა ეკონომიკური მდგომარეობისა და ინფრასრტუქტურის გაუმჯობესებისთვის, 400 ათას დოლარს დახარჯავს (მათ, ალბათ, სიამოვნებით გაუცვლიდნენ ადგილს ლანჩხუთლები, რომლებსაც კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრების დარღვევის შიშით, თავის ნებაზე თევზი ვერ დაუჭერიათ და საქონელი ვერ უძოვებიათ).

გასულ კვირაში მწვანეთა მოძრაობა დედაქალაქის დაბინძურების პრობლემისადმი მიძღვნილი სპეციალური ვებ-გვერდის შექმნაზე, "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" კი თბილისის დასუფთავების მორიგი აქცია მოაწყვეს. ამჯერად, დგებუაძის ქუჩის რიგი იყო. დასანანია, რომ მათი ხელი ჯერ მხოლოდ თბილისს სწვდება - ასე რომ არ იყოს, იქნებ, სხვა ქუჩების მცხოვრებლებსაც ეთქვათ, აქაურობას ახლა კაცი ველარ იცნობსო!



სკოლის დირექტორებს ახალი სტატუსი ამცნეს.



"დემოკრატიული" შაბათობა.

# ევროპელები ქართველ ადვოკატებს საერთაშორისო სამართლის ანა-ბანას ასწავლიან

ხათუნა ჯანგირაშვილი


ტრენინგი სასტუმრო "სიმპათიაში".

იმისათვის, რომ ევროსასამართლომ ქართული საქმეები მიიღოს წარმოებაში და განიხილოს, გარკვეული წესების ცოდნა და დაცვაა საჭირო. მართალია, ქართველი ადვოკატები სისტემატურად იმუქრებიან – ამა და ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ, ევროპის სასამართლოში გავასაჩივრებთო, მაგრამ მათი შემართების მიუხედავად, ევროსასამართლო ქართულ საჩივრებს ხშირ შემთხვევაში უპასუხოდ ტოვებს. ამას ერთადერთი მიზეზი გააჩნია – ქართულ საადვოკატო პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა ევროსასამართლოსთან ურთიერთობის წესები. ევროსასამართლოს აქვს რთული პროცედურები და მისი თითოეული მოთხოვნა თუ არ დაიცავი, შეიძლება, სტრასბურგში გაგზავნილმა საქმემ ან არ ჩააღწიოს იქამდე, ანდა ჩააღწიოს და მიუღებელ-განუხილველი დარჩეს. ერთი სიტყვით, ქართველი ადვოკატები, რომლებსაც უკვე ბლომად აქვთ შეგროვებული ევროსაბჭოში გასაგზავნი საქმეები, ევროსასამართლოს საპროცედურო მოთხოვნებს ნაკლებად იცნობენ.

არადა, ქართულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და ქართული მართლმსაჯულების მიერ შეგნებულად თუ შეუგნებლად დაშვებული შეცდომები, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხება, სწორედ ევროსასამართლოს შეუძლია გამოასწოროს.

იმისათვის, რომ ევროპელ მოსამართლეებთან ურთიერთობა გაადვილდეს, ევროსასამართლოს წარმომადგენლები თავად ეწვივნენ თბილისს და ქართველი ადვოკატების სწავლა-განათლებას მიჰყვეს ხელი. "ტრენინგი პრაქტიკოს ადვოკატთათვის ევროსასამართლოს საქმეებზე" – ასე ჰქვია პროგრამას, რომლის მონაწილეებისთვისაც გუშინ სასტუმრო "სიმპათიაში" დაიწყო სემინარები. ტრენინგები ოც ადვოკატს უტარდება, მათ ევროპელი მოსამართლეები და ექსპერტები ევროკონვენციის ცალკეულ მუხლებს შეასწავლიან და, თითოეული მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, პრაქტიკულ სამუშაოებსაც ჩაუტარებენ. სამართლიანი სასამართლოს უფლება და უკანონო პატიმრობის ალკვეთა – ეს ის საკითხებია, რომლებშიც უცხოელებმა ქართველი ადვოკატები გუშინ უკვე ამეცადინეს. ტრენინგები დილის ათ საათზე იწყება და გვიან ღამემდე გრძელდება, და როგორც მასში მონაწილე ადვოკატები ამბობენ, იმდენად საინტერესო და ამომწურავია, რომ არანაირი კითხვის ნიშანი არ რჩება. თავის მხრივ, ქართველების განათლებით კმაყოფილები არიან სტრასბურგელი მოსამართლეებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ამ ტიპის ტრენინგები ქართველ ადვოკატებს საშუალებას მისცემს უპრობლემოდ, ქართული საკანონმდებლო ბაზის ამოწურვისა და ყველა ინსტანციის გავლის შემდეგ, ადამიანის უფლებების დაცვა სტრასბურგში ბოლომდე განახორციელონ.

**"ეს მნიშვნელოვანი პროგრამაა, ამ ტრენინგებს ერთადერთი მიზანი აქვს – მისცეს ჩვენს ადვოკატებს საშუალება, გამოასწორონ ის სავალალო მდგომარეობა, რაც ადამიანის უფლებების დაცვას ეხება",** – ასეთია ევროპული ტრენინგების ორგანიზატორის, "კონსტიტუციის 42-ე მუხლის " წარმომადგენლის, ლია მუხაშავრიას შეფასება.

# პაპგიდან ჯერ მხოლოდ იმედები ჩამოიტანეს

## საერთაშორისო სასამართლოში აფხაზეთის საქმის განხილვამდე ბევრი პროცედურა და დიდი დრო დარჩა

სოფიკო ჩხაიძე

საქართველოდან ჰააგაში მივლენილი დელეგაცია, აფხაზეთის იუსტიციის მინისტრის პაატა დავითაიას ხელმძღვანელობით, გუშინ თბილისში დაბრუნდა. მათ მიერ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში ჩატანილ განცხადებას თან ვიზუალური მასალაც ახლდა – დამადასტურებლად იმისა, თუ როგორ ექცევიან აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველებს. გარდა ამისა, აფხაზეთის იუსტიციის მინისტრმა ჰააგაში 1992 წლიდან დღემდე დახვრეტილ ქართველთა სიაც წარადგინა.

**"ყოველივე ამან ჰააგის სასამართლოს სამდივნოს წარმომადგენლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მეტიც, იქ შოკირებულნი იყვნენ იმით, რომ შეირაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ, ანუ 1993 წლიდან, აფხაზეთის ტერიტორიაზე 1700 მშვიდობიანი ქართველია დახვრეტილი",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ჰააგის სასამართლოსთვის მიმართვის ინიციატორმა, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა.

თუმცა, საერთაშორისო სასამართლოს ბიუროკრატიული აპარატის ემოციები, ცხადია, საკმარისი არ გახლავთ. მით უმეტეს, რომ მისი მუშაობა მკაცრად რეგლამენტირებულია – როგორც მოგეხსენებათ, იგი განიხილავს მხოლოდ 2002 წლის 1 ივლისიდან დღემდე მომხდარ საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულებს. ამიტომ გამოუსადეგარია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გამოძიებული 200-ტომიანი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ძირითადად ასახავს 92-93 წლებში აფხაზეთში მომხდარ ქართველთა გენოციდის სურათს. მაგრამ თამაზ ნადარეიშვილი გვარწმუნებს, რომ **"ჰააგის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის აღსაძრავად ეთნონიშნით ჩადენილი დანაშაულის ხუთი შემთხვევაც კი საკმარისია. ჩვენ კი, 2002 წლის ზაფხულიდან ასეულობით ფაქტის დასახელება შეგვიძლია. მეტსაც გეტყვით, გასულ კვირას აფხაზებმა გალის მკვიდრი, ვინმე ყოლბაია მარტო იმიტომ აიყვანეს მძევლად, რომ ის ქართველია და დახვრიტეს. ათი დღის წინ, ასევე გალის რაიონიდან, აფხაზებმა 30 ქართველი გაიტაცეს, მათგან ნახევარი დაბრუნდა უკან, ნახევარი კი უგზო-უკვლოდ დაკარგულია".**

თამაზ ნადარეიშვილის მსგავსად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებიც ფიქრობენ, რომ 2002 წლის შემდეგ შეკრებილი მასალებიც საკმარისი იქნება. მაგრამ, ამ იმედების გამართლება-გაცრუებამდე კიდევ არა ერთი პროცედურული საკითხია მოსაგვარებელი. ჯერ ერთი, თავად ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს მთავარი პროკურორი, რომელმაც, შესული განცხადების საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა-არაღძვრა უნდა გადაწყვიტოს, ჯერაც არ დაუნიშნავთ და მისი ვინაობა მხოლოდ აპრილში გაირკვევა. თუმცა, სანამ პროკურორი საქმის შესწავლას დაიწყებს, ქართულ მხარეს ერთი ვალდებულება აქვს შესასრულებელი: საქართველო უნდა შეუერთდეს რომის სტატუტს, ანუ კონვენციას, რომლის თანახმადაც შეიქმნა თვით ჰააგის სასამართლო. ამისთვის კი საქართველოს პარლამენტის თანხმობა, ანუ რომის კონვენციის რატიფიკაციაა საჭირო.

**"მე უკვე მივმართე საქართველოს პარლამენტს და მოვუწოდე, რომ, რაც შეიძლება მალე მოახდინონ ამ დოკუმენტის რატიფიცირება. პარლამენტის თავმჯდომარემ დაავალა კიდეც საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს, რომ საკითხი მომზადდეს სხდომაზე გასატანად. იმედი მაქვს, ეს უახლოეს სხდომაზე მოხდება",** - ამბობს ნადარეიშვილი, თუმცა, პარლამენტში უკვე ხედავს ჰააგის სასამართლოში სარჩელის შეტანის წინააღმდეგ მიმართულ გარკვეულ ქვედა დინებებს. ყველაზე უარესი წინათგრძნობების გამართლების შემთხვევაში კი, სათადარიგო ვარიანტად, პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი წერილიც გამოდგება. პარლამენტის მიერ რატიფიცირებული კონვენცია ან პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი წერილი საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ქართულმა მხარემ საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი შეიტანოს და მთავარი პროკურორის გადაწყვეტილებას დაელოდოს. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კი, ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში შესულ განცხადებებს შორის საქართველოს განცხადება რიგით 41-ეა. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, პირველი საქმის განხილვა სულ ცოტა, ერთი წლის შემდეგ დაიწყება და თითოეული საქმის სასამართლო გამოძიება, სავარაუდოდ, წლობით გასტანს. აქედან გამომდინარე, იმის თაობაზე, თუ როდის დადგება საქართველოს რიგი, არც თუ იმედიანი ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. თუმცა, თამაზ ნადარეიშვილის თქმით, ამ შემთხვევაში მთავარია, პირველი ნაბიჯი იქნას გადადგმული საიმისოდ, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობამ აფხაზეთში ქართველთა გენოციდი და ეთნოწმენდა სამართლებრივად აღიაროს. **"მერე ხომ თავისთავად ამოქმედდება გაეროს რეზოლუციის მე-7 მუხლი, რომელიც წართმეული ტერიტორიის ძალისმიერი მეთოდებით დაბრუნებას ითვალისწინებს",** - ასკვნის ნადარეიშვილი.

# ჩხრეკა ბუნტის გარეშე დასრულდა

ხათუნა ჯანგირაშვილი


ჩხრეკის შედეგად ამოღებული აკრძალული ნივთები.

ე.წ. კანონიერი ქურდების, კრიმინალებისა და პატიმრების მხრიდან მუქარის წერილების მიუხედავად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ციხეში აკრძალული ნივთების ამოსაღებად ჩხრეკას ატარებს.

ციხის ბუნტის შემდეგ, ორთაჭალის ციხეში გუშინ მესამედ ჩატარდა ფართომასშტაბიანი ჩხრეკა-შემოწმების სარეჟიმო სპეცოპერაცია, რომელიც წინა შემოწმებების მსგავსად, მშვიდობიანად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე დასრულდა.

ისევე, როგორც წინა ოპერაციები, გუშინდელი ოთხსაათიანი ჩხრეკის ოპერაციაც პატიმრებისთვის მოულოდნელად, დილის ცხრა საათზე დაიწყო. ოპერაციაში სასჯელაღსრულების ოპერატიული სამსახურის გარდა, იუსტიციის სამინისტროს სპეცრაზმის წევრებიც მონაწილეობდნენ. დაახლოებით, ორასმა მჩხრეკავმა მეხუთე საპყრობილის მთლიანად შემოწმება უპრობლემოდ მოახერხა.

დანები, ე.წ. "შტირები", სხვადასხვა სახის რკინის საჩხვლეტი ნივთები, ხისა და რკინის ხელკეტები, მობილური ტელეფონები, ბანქო, სპირტიანი სასმელი - ე.წ."ბრაგა", ტატუირების გასაკეთებელი მოწყობილობები და სხვადასხვა სახის თვითნაკეთი ნივთები – ეს გახლავთ გუშინდელი ოპერატიულ-სარეჟიმო ღონისძიების შედეგი.

**"პატიმრებს ჩხრეკისას არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მობილური ტელეფონების, ბანქოს, აუდიოკასეტების, სამართებლების, ხელკეტებისა და სხვა, მომარაგებული აკრძალული ნივთების გარეშე დარჩნენ",** - აცხადებენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში , სადაც მიაჩნიათ, რომ ციხეში მსგავსი სახის შემოწმებებს, ადრე თუ გვიან, შედეგი მაინც ექნება.

**"რაც ყველაზე მთავარია, ყოველი შემოწმებისას, თანდათანობით კლებულობს აკრძალული ნივთების რაოდენობა. პატიმრების ხელში არსებული დანების რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. უფრო მეტად ჭარბობს თვითნაკეთი აკრძალული ნივთები, რომელთა კეთებაც ცოტა ხანში პატიმრებს, ალბათ, თავად მობეზრდებათ კიდეც. თუ საჭირო გახდება, ფართომასშტაბიან ჩხრეკა-შემოწმებებს ყოველდღიურადაც ჩავატარებთ",** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ლერი ხუხიამ.

# პანკისელ ძებნილს ორთაჭალის ციხეში გადმოიყვანენ

"გამოძიებისთვის საინტერესო პიროვნებაა," – ასე ახასიათებენ სამართალდამცველები ორი დღის წინ, პანკისის ხეობაში დაკავებულ ჯაბრიელ მაჩალიკაშვილს, რომლის კვალსაც კარგა ხანი ეძებდნენ.

ჯაბრიელ მაჩალიკაშვილი, უკვე მესამე წელია, ოფიციალურად ძებნილად არის გამოცხადებული და რამდენჯერმე ჩადენილ ყაჩაღობასა და იარაღის უკანონოდ ტარებაში ედება ბრალი. გარდა გახმაურებული ყაჩაღობებისა, იგი ეჭვმიტანილია თელავის რაიონის პოლიციის თანამშრომლის, მიხეილ მაჭავარიანისა და თანასოფლელის, დუისელი გაურგაშვილის მკვლელობაშიც. მაჩალიკაშვილი სამართალდამცველებმა საკუთარ სოფელში, ერთ-ერთ სახლში იპოვეს და, რადგან ახმეტის რაიონულ სასამართლოს მის დაკავებაზე სანქცია უკვე გაცემული ჰქონდა, ავტომატურად შეეფარდა კიდეც წინასწარი სამთვიანი პატიმრობა.

ყაჩაღობებში ბრალდებულსა და მკვლელობებში ეჭვმიტანილ ქისტს ხვალ უკვე თბილისის მეხუთე საპყრობილეში გადმოიყვანენ.

# კიდევ ერთი „კანონიერი" ქურდი დააკავეს

"ქოჩორა" – ასეთია ე.წ. კანონიერი ქურდის მეტსახელი, რომლის დაკავებითაც სამართალდამცველები გუშინ თავს იწონებდნენ. შავი სამყაროს წარმომადგენლების წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის კვირეული ისანი-სამგორის რაიონის პოლიციამ ასე დაასრულა. ისევე, როგორც წინა დღეებში დაკავებული ე. წ. კანონიერი ქურდები, სამართალდამცველებმა "ქოჩორა" – პაატა ჭრიკაშვილიც ნარკოტიკული ნივთიერებებისთვის დააკავეს. დილის შვიდ საათზე "ქოჩორა" მათ ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ უნახავთ. მისი ბინის ჩხრეკისას კი "ბრაუნინგის " ტიპის პისტოლეტი უპოვიათ.

## ბელგიაში დაკავებულ ჩეჩნებს ადამიანის გატაცებაში ადანაშაულებენ

ბელგიაში დააკავეს 3 ჩეჩენი, რომლებსაც ბელგიის პოლიციამ 3 მოლდოველის გატაცებაში დასდო ბრალი. პოლიციის განცხადებით, მძევლების ახლობლებისგან გამტაცებლები გამოსასყიდს ითხოვდნენ და მას შემდეგ, რაც მიიღეს მოთხოვნილი თანხა, ტყვეები გაათავისუფლეს. გამტაცებლებს პოლიციამ ბრიუსელში მიაგნო.

ბელგიის პოლიციის ინფორმაციით, თავდაპირველად დააპატიმრეს ერთი ჩეჩენი გამტაცებელი, რომლის ჩვენების საფუძველზეც მოახერხეს დანარჩენი 2-ის დაჭერა. გამტაცებლებისგან ამოიღეს სოლიდური თანხა, რომელიც, სავარაუდოდ, გატაცებულებისგან მიღებული გამოსასყიდია.

## ჩეჩნეთში დაკარგულთა რიცხვი მატულობს

"რუსი სამართალდამცავები ჩეჩნეთში რეიდებს ღამით აწყობენ. კამუფლიაჟში გამოწყობილი, ნიღბებით სახედაფარული და მძიმე ტექნიკითა და ავტომატებით შეიარაღებული ძალოვანები შედიან სახლებში და მიჰყავთ ადამიანები, რომელთა ასავალ-დასავალის გაგება შემდეგ შეუძლებელი ხდება," – განაცხადა საზოგადოება "მემორიალის" წარმომადგენელმა ალექსანდრ ჩერკასოვმა. მისივე განცხადებით, ძალოვანები ჩეჩენთა სახლებში ნებართვის გარეშე შედიან და უკანონოდ აპატიმრებენ მათ. ჩერკასოვის განცხადებით, ჩეჩნეთში 2 ათას 800 ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულია.

ჩერკასოვის თქმით, თითქმის ყოველთვის, ნაპოვნ ჩეჩენთა ცხედრებს წამების კვალი აღყვიათ და ისე არიან დაზიანებულნი, რომ მათი ამოცნობა შეუძლებელი ხდება.

## ზორან ჯინჯიჩის მკვლელობის შემკვეთი დაიჭირეს

სერბიის პოლიციამ დააპატიმრა დანაშაულებრივი დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი, რომელმაც პრემიერ-მინისტრის ზორან ჯინჯიჩის მკვლელობაზე პასუხისმგებლობა აიღო. დაკავებულია მლადან მიჩიჩი, მეტსახელად "ვირთხა", და ასევე, მისი დაჯგუფების კიდევ 6 წევრი.

ზორან ჯინჯიჩის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, პოლიციამ უკვე 200-ზე მეტი ეჭვმიტანილი დააკავა. მიუხედავად ამისა, პოლიციას მიაჩნია, რომ მკვლელობის მთავარი შემკვეთი ჯერ კიდევ თავისუფალია. სერბიის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, დაპატიმრებები გაგრძელდება და დაიჭერენ ყველას, ვის შესახებაც ინფორმაციას მოიპოვებენ. მათ, ვინც პოლიციას წინააღმდეგობას გაუწევს, ადგილზე ლიკვიდაცია ელის.

პოლიცია აგრძელებს მკვლელობაში ეჭვმიტანილთა ძებნას, მათ შორისაა მილორად ლუკოვიჩი, რომელიც დანაშაულებრივი დაჯგუფება "ზემუნის" ლიდერია. იგი ადრე სერბიის პოლიციის სპეცრაზმს ხელმძღვანელობდა.

## მოკლედ

**თბილისი.** სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის ბონდო ჯიქიას ვაჟის, ზაზა ჯიქიას გატაცებასთან დაკავშირებით, გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ ოპერატიული ინფორმაცია პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს მიაწოდა.

პრეზიდენტთან შეხვედრის დასრულების შემდეგ გაბრიჩიძემ უპასუხოდ დატოვა ჟურნალისტთა შეკითხვები, მათ შორის, შეკითხვა: მართლც მოითხოვეს თუ არა გამტაცებლებმა გამოსასყიდი - 3 მლნ დოლარი. გაბრიჩიძემ მხოლოდ განაცხადა, რომ ზაზა ჯიქიას გატაცების საქმის გახსნით დაინტერესებულია პრეზიდენტი, რომელსაც გენერალური პროკურატურა მუდმივად საქმის კურსში აყენებს. ნუგზარ გაბრიჩიძის ინფორმაციით, პროკურატურა გატაცების რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს. ზაზა ჯიქია გუშინ, ელბაქიძის დაღმართზე უცნობმა პირებმა გაიტაცეს. შემთხვევის ადგილზე ნაპოვნია მისი, ღიად დარჩენილი, წითელი ფერის ავტომანქანა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართული მხარის მონაცემებით, შავი ზღვის გზით, აფხაზეთში მუდმივად შედის იარაღი, კონტრაბანდული საქონელი, რასაც ემატება ნარკოტიკები და ფერადი ლითონები. ამიტომ, საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა გადაწყვიტა, აფხაზეთის ნავსადგურში მიმავალი გემები ფოთში შეამოწმოს.

განზრახვას უმალ გამოეხმაურა სეპარატისტთა ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა, რომელმაც განაცხადა: თუ ქართველი მესაზღვრეები აფხაზეთის აკვატორიაში მოძრავ გემებს ფოთში შეამოწმებენ, აფხაზები შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უცხოეთიდან შემოყვანილი ავტომანქანების განბაჟებისას დაშვებული დარღვევების გამო, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმეები აღძრა. საუბარია 2001 წლის 1 სექტემბრიდან 2002 წლის 1 ივლისამდე პერიოდში საბაჟო სისტემის შემოწმების შედეგად გამოვლენილ საქმეებზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სამოსამართლო სწავლების ცენტრი რეგიონებში მოღვაწე მოსამართლეთა თანაშემწეებს საჩუქრად ოცამდე დასახელების იურიდიულ წიგნს გადასცემს. სამოსამართლო სწავლების ცენტრის დირექტორის დავით სააკაშვილის განცხადებით, მოსამართლეების თანაშემწეთათვის იურიდიული ლიტერატურის უფასოდ გადაცემა მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება. მისივე თქმით, მოსამართლეთა თანაშემწეები კოდექსებს, მათ თანმდევ კომენტარებს, ქართული კანონმდებლობისა და სხვა იურიდიული დისციპლინების სახელმძღვანელოებს მიიღებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გორიდან ცხინვალში მიმავალ მგზავრს რამდენიმე სერიოზული დაბრკოლების გადალახვა უწევს. სამშვიდობოებისა და პოლიციელთა წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ, ცხინვალში შესვლისას, მათ სამხედრო-საველე ფორმაში გამოწყობილი მიგრაციული სამსახურის თანამშრომლები აჩერებენ. მათი მთავარი საზრუნავი სატრანზიტო მგზავრებია. მგზავრებს დოკუმენტებს უსინჯავენ და თან 50 რუბლს ახდევინებენ, სათანადო ქვითარსაც იძლევიან ორკვირიანი ვადით. ტრანზიტული მგზავრების ძიებაში, მეტად დამამცირებელი საპასპორტო შემოწმება ხდება. სამგზავრო გადასახადით ცხინვალი ყოველწლიურად 1.5 მილიონ რუბლს იღებს. ამ დეტალს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პროცესში რატომღაც ყურადღებას არავინ აქცევს, არავინ კითხულობს, საქართველოს მოქალაქეებს საკუთარ ტერიტორიაზე რატომ ახდევინებენ გადასახადს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ერევანი.** ერევანში დააპატიმრეს პიროვნება, რომელიც, პოლიციის მტკიცებით, რესპუბლიკის საზოგადოებრივი ტელემაუწყებლობის საბჭოს თავმჯდომარის ტიგრან ნაგდალიანის მკვლელობის შემკვეთია. დაკავებულია ოვანეს არუთუნიანი, რომელიც პარასკევს განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების დროს დაიჭირეს.

შეგახსენებთ, რომ ტიგრან ნაგდალიანი 2002 წლის 28 დეკემბერს მოკლეს. სომხეთში მკვლელობა შეფასდა, როგორც "ტერორისტული აქტი და თავისუფალ სიტყვაზე ზეწოლა". **კავკას-პრესი**

## "გემბალა GT 650 ევო" - უფრო მაგარი "პორშე"



გერმანული კომპანია „გემბალა“ ცნობილია იმით, რომ სპეციალიზირებულია „პორშეს“ წარმოების ავტომობილების ბაზაზე საპერკარების შექმნით. ამჯერად მან მორიგი შედევრი წარუდგინა პოტენციურ მყიდველებს.

მოდელ „გემბალა GT 650 ევოს“ არაამქვეყნიური მაქსიმალური სიჩქარე - 370 კმ/სთ აქვს, ადგილიდან ას კილომეტრს 3.5 წამში, ორასს კი 9.8 წამში ავითარებს. ასეთ ფანტასტიკურ მაჩვენებლებს კი უზრუნველყოფს 6-ცილინდრიანი ტურბომოტორი, რომლის სიმძლავრეც 650 ცხენის ძალას აღწევს, მაქსიმალური ბრუნთა რიცხვი კი ოდენ 6850 ბრ/წთ აქვს, რაც ტურბოკომპრესორებიანი აგრეგატებისთვისაა დამახასიათებელი. ამასთან, ეს აგრეგატი მაქსიმალურ მაბრუნ მომენტს (840 ნ/მ) ბრუნთა საკმაოდ მაღალ რიცხვზე (5500 ბრ/წთ) აღწევს, რაც მის ელასტიურობას ზრდის.

იმისათვის, რომ ამ მონსტრის მართვა მეტნაკლებად შესაძლებელი იყოს, იგი შემოსეს 19-დუიმიან დისკებზე ჩაცმული იაპონური კომპანია „იოკოჰამას“ წარმოების სარბოლი საბურავებით.

### "პეჟო" და "ტოიოტა" ჩეხეთიდან

„პეჟომ“ და „ტოიოტამ“ საბოლოოდ გადაწყვიტეს, ააშენონ საავტომობილო ქარხანა ჩეხეთში, სადაც ერთობლივად გამოუშვებენ მცირე ზომის ავტომობილებს. ორივე კომპანიამ ნოემბრის ბოლოს ხელშეკრულება გააფორმა ჩეხეთის მთავრობასთან, რისი ძალითაც ისინი ქალაქ კოლინში 1.3 მილიარდ დოლარად საავტომობილო ქარხანას ააშენებენ.

ამ ქარხანაში ორივე კომპანია გამოუშვებს ავტომობილებს, რომელთა ფასიც 8 ათას დოლარზე ნაკლები იქნება და ისინი ბაზრის იმავე სეგმენტს დაიკავებენ, სადაც დომინირებენ „ფორდ კა“, „სმარტი“ და „ფოლკსვაგენ პოლო“.

ქარხანა მუშაობას 2005 წლიდან შეუდგება. კოლინი გერმანიის საზღვრიდან 100 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს და მისი საწარმოო შესაძლებლობა წლიურად 320 ათასი ავტომობილის დამზადებას გასწვდება.

### "გოლფის" კლასის პორშე? ეს ხომ ანომალიაა!

იქნებ, მართლაც ასეა, მაგრამ ბაზრის კონიუნქტურიდან გამომდინარე, გერმანული კომპანიის მარკეტოლოგები ორი წლის წინ სწორედ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „პორშეს“ კეთილდღეობისთვის კარგი იქნება, თუ მყიდველს ამ მარკის „გოლფის“ კლასის ავტომობილები მიეწოდება.

მას შემდეგ, რაც „პორშემ“ შეწყვიტა მოდელების, 924 და 944 წარმოება, შტუტგარტელებმა იაფფასიანი ავტომობილების სექტორი ვერაფრით შეავსეს. წინასწარი ვარაუდით, „პორშეს“ „გოლფ“-კლასის ავტომობილი ბაზარზე ორი-სამი წლის შემდეგ გამოჩნდება და მისი ღირებულება 30 ათას ევროზე ნაკლები იქნება.

# ჟენევის საავტომობილო სამოთხე 2003

4 მარტს ჟურნალისტებისთვის გაიხსნა, ორი დღის შემდეგ კი დამთვალიერებელთა მიღებას შეუდგა ჟენევის საგამოფენო კომპლექსი „პალ-ექსპო“, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს და ავტორიტეტულ საავტომობილო გამოფენას - ჟენევის 73-ე ავტოშოუს მასპინძლობს.

ესოდენ პრესტიჟული ღონისძიების წინ „პალ-ექსპომ“ ორი დიდი და რამდენიმე პატარა ახალი პავილიონი მიიღო, რამაც მისი საგამოფენო ფართობი 110 ათას კვადრატულ მეტრამდე გაზარდა.

გასაკვირი ამაში არც არაფერია - ავტოშოუში მონაწილეობაზე განაცხადი გაკეთებული ჰქონდა მსოფლიოს 900-ზე მეტ საავტომობილო და მაკომპლექტებელი ნაწილების მწარმოებელ კომპანიას.

ისე კი, ტრადიციისამებრ, ჟენევაში წარმოდგენილი სიახლეების უმეტესობა ევროპულ კომპანიებზე მოდის, რომელთა უმეტესობაც ერთბაშად რამდენიმე საწარმოო თუ კონცეპტუალური მოდელის დებიუტს აწყობს.

ევროპელთა გარდა ჟენევაში ის ამერიკული და იაპონური კომპანიებიც მონაწილეობენ, რომლებსაც თავიანთი ინტერესი გააჩნიათ ევროპის ავტობაზარზე.

ავტოშოუ ათ დღეს (თუ არ ჩავთვლით ჟურნალისტთა ორ დღეს) იმუშავებს და როგორც ვარაუდობენ, მას მილიონზე მეტი ადამიანი მოინახულებს. შედარებისთვის, აქამდე ავტოსალონზე დასწრების საშუალო მაჩვენებელი დაახლოებით 700 ათასს შეადგენდა.

ჩვენ კი გადავიდეთ საქმეზე და ავტოშოუზე წარმოდგენილი სიახლეების გაცნობას შევუდგეთ. იქნებ, ისინი თავიანთი ბრწყინვალებით დეტროიტის ავტოსალონის დებიუტანტებს ვერ შეედრებიან, მაგრამ გაცილებით მრავლად არიან, ვიდრე „კობო სენტერში“ იყო. დაწყებით კი იმ მოდელებით დავიწყებთ, რომლებმაც ყველაზე მეტად მიიქცია ჩვენი (იმედია, მკითხველისასაც მიიქცევს) ყურადღება.

### აუდი ნუვოლარი - ოცნების GT ინგოლშტადტიდან

„აუდიმ“ ჟენევაში რამდენიმე სიახლე წარმოადგინა, რომელთაგან პირველ რიგში განსაცვიფრებელ კონცეპტკარ „აუდი ნუვოლარიზე“ შევჩერდებით. სახელი „ნუვოლარი“ ლეგენდარულ იტალიელ ავტომრბოლს, ტაციო ნუვოლარის ეკუთვნის, რომელიც „აუდის“ წინაპარ „აუტო იუნიონის“ ბოლიდებით ასპარეზობდა მეორე მსოფლიო ომამდელ დიდ პრიზებში, რომელიც მოგვიანებით ფორმულა 1-ად მოგვევლინა.

ეს სპორტული ავტომობილი „დიდი ტურიზმის“ კლასის ტიპიური წარმომადგენელია გრძელი კაპოტით, მკვეთრად დახრილი შუშით, დაბალი კლირენსითა და მოკლე წინა და უკანა დაბოლოებით. უფრო მეტიც, „ნუვოლარი“ პროფილში მეტად ჰგავს პოპულარულ კუპე TT-ს და ამით ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ისინი ერთი „ჯიშისანი“ არიან.

„ნუვოლარის“ კაპოტქვეშ „უძგერს“ 5-ლიტრიანი V10 გული, რომელსაც ცხენის ძალების მომრავლებაში ტურბოკომპრესორი ეხმარება და შედეგად, მისი სიმძლავრე 600 ცხენის ძალას აღწევს. მაქსიმალური მაბრუნი მომენტი 750 ნ/მ-ია, რომელსაც აგრეგატი უკვე 2000 ბრ/წთ ბრუნთა რიცხვზე იძლევა. ძრავის მიერ გამომუშავებული სიმძლავრე ყველა თვლისთვისაა „ხელმისაწვდომი“, რასაც ავტომატურ რეჟიმში მომუშავე გადაცემათა კოლოფი „ტიპტრონიკი“ უზრუნველყოფს.

ესოდენ მძლავრი აღჭურვილობა „ნუვოლარის“ იმის საშუალებას აძლევს, რომ 100 კმ/სთ სიჩქარემდე ოდენ 4.1 წამში აჩქარდეს. მისი მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ით კია შეზღუდული, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანიის ავტობანებზე მეტი არ შეიძლება.

იმისათვის, რომ ნელა მოძრავ ავტომობილებთან დაჯახების ალბათობა შეამცირონ, კონსტრუქტორებმა „ნუვოლარი“ აღჭურვეს სპეციალური რადარით, რომელიც რადიატორის ჩარჩოს უკანაა მოთავსებული და მძღოლს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ წინდაწინ აფრთხილებს. გარდა ამისა, კუპე აღჭურვილია ლე მანის 24-საათიან რბოლებში გამოცდილი სამუხრუჭე სისტემით, რომლებიც „მიშლენის“ საბურავებთან (ზომით 265/70) ერთად ესოდენ სწრაფი ავტომობილის მაქსიმალურად ეფექტურ შენელება-დამუხრუჭებას უზრუნველყოფენ.

ავტომობილი ბაზირებულია უმაღლესი კლასის მოდელ „აუდი A8“-ს პლატფორმაზე, საიდანაც მიღებული აქვს დაკიდების ადაპტირებადი პნევმოსისტემა, რომელიც ავტომობილის გზის საფართან დაშორების სამ პოზიციას იძლევა. ეს პნევმოდაკიდება 160 კმ/სთ და მეტი სიჩქარისას „ნუვოლარის“ კლირენსს (გზის საფარიდან დაშორება) 100-დან 90 მილიმეტრამდე ამცირებს, რითაც უმჯობესდება მანქანის აეროდინამიკური მახასიათებლები და შესაბამისად, გზასთან ჩაჭიდება. მაშინ კი, როცა გზა არცთუ სწორია, კლირენსი 110 მილიმეტრამდე იზრდება, რათა არ დაზიანდეს დაბლა განლაგებული დეტალები.

იმისათვის, რომ ავტომობილის გაღება შეძლოს, მის პატრონს ჯიბეში აუცილებლად უნდა ედოს სპეციალური უკონტაქტო გასაღები, რომელიც გარდა იმისა, რომ ხსნის კარების ბლოკირებას, კარებიდან სახელურსაც გამოუწევს თავის „მბრძანებელს“, რათა მან ადვილად შეძლოს ავტომობილში შეღწევა, სადაც მას ალუმინისა და ტყავის „საუფლო“ ელის.

ჰოდა, ტყავმა რომ შეცდომაში არ შეგვიყვანოს და არ გვეგონოს, რომ ლიმუზინში ვართ, მწარმოებელმა სალონში სპორტული ყაიდის სავარძლები და სპორტულივე ყაიდის უსაფრთხოების მრავალწერტილოვანი ღვედები დაგვახვედრა. შევხედავთ ხელსაწყოთა დაფას და იქ მხოლოდ ორ ძირითად ხელსაწყოს - ტახომეტრსა და სპიდომეტრს შევნიშნავთ. თუ დანარჩენი ინფორმაციის მიღება გვინდა, ამაში ცენტრალურ პანელზე განთავსებული სპეციალური დისპლეი დაგვეხმარება.

რა თქმა უნდა, „აუდი“ ჯერჯერობით არაფერს ამბობს იმის თაობაზე, განზრახული აქვს თუ არა „ნუვოლარის“ სერიული (თუნდაც მცირე) წარმოება. თუმცა, ფაქტია, რომ ესაა კონცეპტკარ RSR-ის ერთ-ერთი ბოლო (თუ ბოლო არა) ვარიანტი, რომელსაც ალბათ მალე მიიღებს მყიდველი.

### „ვოლვოს" მომავლის უნივერსალი

ბოლო ორი წელია, „ვოლვო“ ერთობ აქტიურია კონცეპტუალური მოდელების შექმნის საქმეში და აკი, ამან შედეგიც გამოიღო - შვედურმა კომპანიამ, რომელიც დღეისათვის „ფორდის“ მფლობელობაშია, მყიდველს მოკლე პერიოდში წარუდგინა ორი შედევრი - ბიზნეს-კლასის სედანი S80 და უგზოობის XC90.

ჟენევის წლევანდელი ავტოშოუს დამთვალიერებელს „ვოლვოს“ სტენდზე დახვდება კონცეპტუალური უნივერსალი, რომელსაც ერთობ უცნაური სახელი, „ვერსატილიტი კონცეპტ ქარ“ (რაც მორგებად კონცეპტუალურ ავტომობილს ნიშნავს) უწოდა. ამ მოდელს „ვოლვოს“ დიზაინერებმა საავტომობილო „ჰოტ კუტიური“ უწოდეს და მასში ასახულია, თუ როგორ წარმოუდგენიათ კომპანიის სტილისტებს თავიანთი მომავალი ნამუშევრების გარეგნობა.

რაც ყველაზე საინტერესოა, „ვერსატილიტის“ შექმნაზე მუშაობდა „ვოლვოს“ ორი სადიზაინერო სტუდია, რომელთაგან ერთი ბარსელონაში მდებარეობს, მეორე კი - გეტებორგში.

დიზაინერებმა თავიანთ ნამუშევარში ერთმანეთს შეუხამეს „ვოლვოს“ თანამედროვე სტილური მიმდინარეობა და კომპანიის მიერ 1971 წელს შექმნილი „უსაფრთხო კონცეპტკარისთვის“ (P1800 ES) დამახასიათებელი ფორმები. რაც შეეხება დიდრონ რადიატორს, ის 1968 წლის „ვოლვო 164“-სგან არის ნასესხები. და, ამ სინთეზის მიუხედაად, სახეზეა ინდივიდუალურობით გამორჩეული შესანიშნავი უნივერსალი, რომელსაც ყველა სიკეთესთან ერთად, სამ ცალკეულ ბლოკად შესრულებული წინა სათავო ფარები ამშვენებს.



აუდი ნუვოლარი



პინინფარინა ენჯოი



ვოლვო ვერსატილიტი კონცეპტ ქარ




უბრალოდ YES!

დიზაინში ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ავტომობილს არ გააჩნია შუა საყრდენი და წინა და უკანა კარები საწინააღმდეგო მიმართულებით ეხსნება, რითაც საგრძნობლად მარტივდება მასში შესვლა-გადმოსვლის პროცესი. ავტომობილს გამჭვირვალე ჭერი აქვს, რაც მის სალონს კიდევ უფრო მოცულობითს ხდის და ჰაეროვნებას ანიჭებს. თუმცა, „ვოლვო“ აცხადებს, რომ დიზაინის თავისებურებანი კონვეიერამდე ვერ მიაღწევს.

რაც შეეხება „ვერსატილიტის“ ტექნიკურ აღჭურვას, ერთობ გრძელი კაპოტის ქვეშ განლაგებულია ექვსცილინდრიანი (რიგში განლაგებული ცილინდრებით) 2.6 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე ძრავი, რომელიც 250 ცხენის ძალას ავითარებს. ამ აგრეგატით, მიუხედავად იმისა, რომ ავტომობილი 1300 კილოგრამს იწონის, ის ას კილომეტრზე 6.5 ლიტრ საწვავს მოიხმარს. როგორც კომპანია აცხადებს, ასეთი აგრეგატები „ვოლვოს“ ავტომობილების სტანდარტულ აღჭურვილობაში უახლოესი ათი წლის განმავლობაში იქნება.

### მიუჯექი და ისიამოვნე

„ენჯოი“ - ასეთი სახელი შეარქვა თავის ორადგილიან მშვენიერ ქმნილებას ცნობილმა იტალიურმა ატელიე „პინინფარინამ“, რომლის კონცეპტუალური სპორტკარი „ლოტუს ელისის“ პლატფორმაზეა ბაზირებული. „პინინფარინა ენჯოი“ არის კომპაქტური როდსტერი, რომელსაც პლატფორმის გარდა დაკიდებაც, ოთხცილინდრიანი 1.8 ძრავიც, ტრანსმისიაც და მუხრუჭებიც „ლოტუს ელისისგან“ აქვს ნასესხები.

ისევე როგორც მისი „ინგლისელი ნათესავისთვის“, „ენჯოისთვისაც“ სრულიად საკმარისია 135 ცხენისძალიანი აგრეგატი იმისათვის, რომ მძღოლმა მისი მართვით უდიდესი სიამოვნება მიიღოს.

ამ კოხტა ავტომობილს არ გააჩნია პრეტენზიები კომფორტსა და პრაქტიკულობაზე. მისი დანიშნულება სპორტული ავტომობილის მართვით სიამოვნების მიღებაა (ენჯოი ინგლისურად სიამოვნებას ნიშნავს). მას არც საქარე შუშა აქვს და არც საბარგული. უფრო სწორედ, საბარგული კი აქვს, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ მასში მძღოლისა და მისი ეული მგზავრისთვის განკუთვნილი სარბოლი შლემები ჩაეტიოს. მოკლედ, ნამდვილი ორადგილიანი ბოლიდია.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მისი ნათესავისგან და მისი მსგავსი „ოპელ სპიდსტერისგან“ განსხვავებით, „პინინფარინა ენჯოის“ ბაზარი საწარმოო მოდელის სახით ვერ მიიღებს. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ იტალიური სტუდიის ნამუშევრით რომელიმე დიდი ან თუნდაც მცირე ავტოკომპანია დაინტერესდეს...

### სტუდენტები ამბობენ YES!

ერთ-ერთმა გერმანულმა უნივერსიტეტმა, უფრო სწორედ, მისმა სტუდენტებმა ჟენევაში წარმოადგინეს სპორტული როდსტერი და კუპე სახელად YES!, რომელსაც, როგორც ამბობენ, ერთ-ერთი გერმანული კომპანია მცირე სერიული წარმოებისთვის ამზადებს.

სახელი YES! ნიშნავს „იანგ ენჯინეარს“ (ახალგაზრდა ინჟინრები). მოდელის კუპე და როდსტერი ვარიანტები მხოლოდ კარებით განსხვავდება ერთმანეთისგან. კუპეს ის ჩვეულებრივი აქვს, როდსტერზე კი კარი ეგრეთ წოდებული „გილიოტინის“ ტიპისაა - ზევით იხსნება.

ავტომობილის „სამოქალაქო“ ვერსია აღჭურვილია 1.8-ლიტრიანი ტურბომოტორით, რომელიც 286 ცხენის ძალას იძლევა. სარბოლი ვარიანტისთვის კი გათვალისწინებულია ორლიტრიანი ტურბოძრავი, რომლის სიმძლავრეც 340 ცხენის ძალას აღწევს.

ამ პატარა სპორტული ავტომობილების აგრეგატების, დაკიდების სისტემისა და მუხრუჭების შექმნაში მონაწილეობდნენ გამოცდილი კონსტრუქტორები, რომლებიც გერმანიის სხვადასხვა სარბოლი სერიებისთვის ამზადებენ ავტომობილებს.

ავტომობილის პროტოტიპი პირველად გასულ შემოდგომაზე იქნა ნაჩვენები სტუდენტურ დიზაინერულ გამოფენაზე, რის შემდეგაც მისი მცირესერიული წარმოება გადაწყდა. მალე დაიწყება მასზე შეკვეთების მიღება და როგორც ამბობენ კუპე/როდსტერი YES!-ის ფასი 75 ათასი ევროს ფარგლებში იქნება.


საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

„საქართველოს ბანკი“ გთავაზობთ
სესხებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენისთვის

დაკრედიტების ხელსაყრელი პირობები
შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთი - თვეში 3%-ის ოდენობით
ავტომანქანა განთავსდება კეთილმოწყობილ და დაცულ სადგომზე
კრედიტი გაიცემა ერთ დღეში!



დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ
საქართველოს ბანკის თბილისის ფილიალებში,
ან დაგვირეკეთ: 921 663,444 422
www.bankofgeorgia.ge
www.bog.ge

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

"24 საათის" ერთგულ მკითხველებს ეხსომებათ, რომ პრეს-ომბუდსმენის ინსტიტუტი სწორედ მათი ინტერესების დასაცავად შეიქმნა. ის გარემოება, რომ თავიდან პრეს-ომბუდსმენის მოქმედების სფეროში მხოლოდ ჩვენი გაზეთის B-ბლოკი იყო მოქცეული, განსაკუთრებით აადვილებდა ამ მოვალეობის შესრულებას. A-ბლოკზე ჩემი "იურისდიქციის" გავრცელებამ თავდაპირველ იდეაში მცირე კორექტივები შეგვატანინა, რადგანაც აშკარად უხარისხო პუბლიკაციები ობიექტური ინფორმაციისა და აზრიანი განსჯის საერთო ნაკადში მიიკარგა და უშუალოდ გასაკრიტიკებელი მასალის კუთრი წონა მნიშვნელოვნად შემცირდა.

პრეს-ომბუდსმენის საქმიანობაში პუბლიცისტურმა ელემენტებმა იმრავლა, თუმცა მის ობიექტად კვლავაც გაზეთში გამოქვეყნებული ტექსტები დარჩა და არა თვით რეალური მოვლენები. ოღონდ, თუ ადრე უფრო მკითხველის გემოვნების დაცვა მჭირდებოდა, ახლა უკვე თითქოსდა მის დროსა და სულიერ ენერგიას ვზოგავ და თავისებურად ვცდილობ გავხსნა რეალობაში არსებული ის უხილავი კავშირები, რომლებიც შეიძლება გამორჩეს მას, ვისაც, ჩემგან განსხვავებით, არ ევალება გაზეთის ყოველდღიური კითხვა.

და მაინც, ჩვენს საინფორმაციო ცაზე ზოგჯერ გაიელვებს რომელიღაც ავბედითი და უხეირო კომეტა და მეც ჩემი წინანდელი არც თუ ისე სასიამოვნო გამოცდილების გახსენება მიწევს. რას იზამ, ერთი მხრივ, ჯამაგირს სიფხიზლისთვის მიხდიან, მეორე მხრივ კი სინდისი სრულიად უფასოდ მაწუხებს...

13 მარტის ნომერში პირველ გვერდზე მოცემულია **კოფი ანანის** ფოტო და შესაბამისი პუბლიკაციის სათაური: უმძიმესი გადაწყვეტილება — გთავაზობთ გაერო-ს გენერალური მდივნის, კოფი ანანის ღია წერილს ერაყის კრიზისთან დაკავშირებით. კეთილი და პატიოსანი. დავიწყოთ ტექსტის კითხვა: "გაეროს ქარტია კატეგორიულია..." ძნელი წარმოსადგენია, კოფი ანანს, ან მის რეფერენტებს ამგვარად დაეწყოთ ღია წერილი — თავიდან აუცილებლად იქნებოდა რაიმე ოფიციალური ფორმულა. მაშასადამე, პირველი ვარაუდი, რომელიც მკითხველს გაუჩნდება, ისაა, რომ გაზეთში ტექსტი მთლიანად არაა გამოქვეყნებული. ეს სულაც არაა დანაშაული. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება მკითხველის ცნობისმოყვარეობა მშვენივრად დავაკმაყოფილოთ პირველადი ტექსტის შინაარსის გადმოცემით. ეს იქნებ უკეთესიც იყოს, ვიდრე საკანცელარიო სტილით შედგენილი დოკუმენტის მთლიანად გამოქვეყნება. მაგრამ არ შეიძლება არ ვამცნოთ მკითხველს, როდის და სად გამოქვეყნდა პირველად ეს ღია წერილი, ვის მიმართავს მისი ტექსტი (წერილი ხომ ყოველთვის ვიღაც კონკრეტულს მიმართავს). ამერიკას არ ალმოვაჩენთ, თუ ვიტყვით, რომ ჩვენს საზოგადოებაში საკმაოდ ბუნდოვნად ესმით გაერო-ს და, საზოგადოდ, საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, ფუნქცია, შესაძლებლობების საზღვრები: ხან წარმოუდგენლად დიდ იმედებს ამყარებენ მათზე, ხანაც სრულიად უგულებელყოფენ და დაცინვისა თუ ცხვირის აბზუების საბაბად იყენებენ.

როგორ უნდა გაიგოს მკითხველმა კოფი ანანის ღია წერილის, უფრო ზუსტად კი 13 მარტის "24 საათში" გამოქვეყნებული ანონიმური ტექსტის შემდეგი მონაკვეთი? — "თუ ისინი (უშიშროების საბჭოს წევრები — ნ. ლ.) ვერ შეძლებენ საერთო აზრამდე მისვლას და ზოგიერთი მათგანი გადაწყვეტს, საბჭოს სანქციის გარეშე იმოქმედოს, ამგვარი ქმედების ლეგიტიმურობა იმთავითვე ეჭვის ქვეშ დადგება. გარდა ამისა, ისინი ვერ მოახერხებენ პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებას, რაც აუცილებელია სამხედრო ფაზის დასრულების შემდეგ გრძელვადიანი წარმატების მისაღწევად". რომელ წევრებზეა საუბარი? რას ნიშნავს ეს დიპლომატიური ქარაგმა? — საკმაოდ დიდი ალბათობით უნდა ვივარაუდოთ, რომ ტექსტი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის სამხედრო მოკავშირეებს გულისხმობს, ბოლოს და ბოლოს იმასაც მივხვდებით, რომ წერილის ადრესატები უშიშროების საბჭოს წევრები არიან. მაგრამ რატომაა გენერალური მდივნის ტონი ასეთი ფრთხილი და გაურკვეველი? კაცმა რომ თქვას, ამ კითხვების დასმაც უადგილოა, რადგან ჩვენ იმასაც ვერ ვიტყვით, იწყება კოფი ანანის ტექსტი ისევე, როგორც "24 საათის" პუბლიკაცია და მთავრდება თუ არა ის იმ სიტყვებით, რომლებსაც 13 მარტის ნომერში ვკითხულობთ. ბევრი ფიქრის შემდეგ ერთადერთ და გაურკვეველ დასკვნამდე მივდივართ: ან კოფი ანანის ღია წერილი უბრალო ფორმალობაა, ან იგი ცდილობს ომის გარდაუვალი დასაწყისის წინ საკუთარი და თვით ორგანიზაციის პასუხისმგებლობის დაზღვევას...

უკომენტარობა დაგვჩემდა-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ თავი რომ წამოყო, უეჭველია. თანაც ღიად და დაუფარავად წამოყო თავი.

აი, 15 მარტის ნომერში სწორედ ამ სათაურით გამოქვეყნდა ხელმოუწერელი მასალა: "No comment". ეს ინგლისური ფრაზა სწორედ ამას ნიშნავს: "უკომენტაროდ". ნურავინ იფიქრებს, რომ ეს მასალა უმნიშვნელოა და ყურადღებას არ იმსახურებს. საქმე იმ ღირებულებებს ეხება, რომლებსაც ჩვენი საზოგადოება და, შესაბამისად, ჩვენი გაზეთი აღიარებს.

განსახილველი მასალა ეძღვნება ერთობლივ ეკუმენურ ლოცვას, რომელიც 14 მარტს თბილისის ბაპტისტურ ეკლესიაში ჩატარდა და რომელსაც დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი. მასალის თაობაზე უნდა ითქვას, რომ სათაური "No comment", თუ ამ ცნებას სერიოზულად გავიგებთ, შეიძლება ახლდეს მხოლოდ ტექსტის გარეშე მოცემულ ფოტოს, რადგანაც სიტყვა ყოველთვის კომენტარია. სათაურის წინწკლებში ჩასმა ალბათ იმას გულისხმობს, რომ ცნება "უკომენტაროდ" ირონიული ან გადატანითი მნიშვნელობითაა გამოყენებული. როგორც ეტყობა, ხელმოუწერელი ტექსტის ავტორი (რადგანაც ხელმოუწერელი ტექსტებიც არ ევლინებიან ამა ქვეყნის ნათელს უავტოროდ) იმას გულისხმობს, რომ მომხდარი მოვლენის ხასიათი ყოველგვარ კომენტარს სცილდება. აბა, ერთი ვნახოთ, რა წერია ამ მოკლე ტექსტში:

**"ჩვენი ქვეყნის დღევანდელმა უმაღლესმა ხელისუფლებამ ფრიად ორიგინალურად გადაწყვიტა "ზედემოკრატების" გულის მოგება სწორედ იმ ადგილის დაფასებით, სადაც მკალავიშვილის მრევლმა ბოლო რეიდი განახორციელა"**. — ვინ არიან ეს "ზედემოკრატები"? ნუთუ ისინია, ვინც მიიჩნევს, რომ მკალავიშვილის დაუსჯელობა ჩვენი ქვეყნისთვის სამარცხვინოა? ადვილი ყოფილა დემოკრატის სახელის მოპოვება საქართველოში: სულ ცოტა სალი აზრი და ერთი მწიკვი ნამუსი კმარა თურმე. იქნებ იმას გულისხმობს ავტორი, რომ უმაღლესი ხელისუფლება ამ შემთხვევაში შორსაა გულწრფელობისგან? — მაგრამ ეს სულაც არაა არსებითი: მნიშვნელობა არა აქვს, რას ფიქრობს ადამიანი, თუნდაც ქვეყნის პრეზიდენტი, ან ფიქრობს თუ არა იგი საერთოდ. მნიშვნელოვანი ისაა, რომ მისი საჯარო მოქმედება გარკვეული ღირებულებების გამოხატულება იყოს და ახდენდეს იმის მანიფესტაციას, რომ სახელმწიფო, თუნდაც გარედან იძულებით, ვერავის შეარჩენს ამ ღირებულებათა ხელყოფას. მაგრამ ტექსტს მივუბრუნდეთ და ის ვნახოთ, რას გულისხმობს სიტყვა "ადგილი":

**"ეს ადგილი ბაპტისტური სალოცავია, რომლის კედლებში ერთობლივი ლოცვის მსურველები იკრიბებიან ხოლმე"**. — სიტყვაზე "სალოცავი" ან ჩვენი პაგანიზირებული თამადების ერთი მოყირჭებული სადღეგრძელო მოგაგონდება კაცს ("ჩვენ-ჩვენ სალოცავებს გაუმარჯოს") ან კიდევ რაღაც იდუმალი სურათი დაგიდგება თვალწინ: სადმე გამოქვაბულში ან რომელიმე წმიდა ასწლოვანი ხის ქვეშ მდებარე სამსხვერპლო ქვა, დრუიდების რიტუალები, აცტეკების სისხლისმსმელი ღვთაებები. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ არსებობს ევანგელურ-ბაპტისტური **ეკლესია** და მასთან მიმართებაში წარმართული ასოციაციები სრულიად უადგილოა. გარდა ამისა, ისიც აშკარაა, რომ ავტორმა ერთობლივი ლოცვის ისტორია და არსი არ იცის. ამ საკითხის განმარტება ამჯერად ზედმეტად მიმაჩნია, რადგან წინ უფრო საინტერესო რამ გველის:

**"გუშინ, ბაპტისტების ეპისკოპოსს, მალხაზ სონღულაშვილსა და მის სტუმრებს, მრავალნაირად დანაწევრებული ლათინური და პროტესტანტული აღმსარებლობის ლიდერებს უფრო საპატიო სტუმარი ეწვია და, როგორც მის გადმოსახედს შეეფერება, ფართო ჟესტიც გააკეთა — პრეზიდენტი შევარდნაძე ერთობლივ ლოცვას დაესწრო"**. — ერთობლივი ლოცვის მონაწილენი თურმე მალხაზ სონღულაშვილის სტუმრები ყოფილან. გარდა ამისა, გამოთქმა "ბაპტისტების ეპისკოპოსი" ისევე ჟღერს, როგორც "კანიბალების შამანი", ან, რაც ჩვენი ეროვნული ყურისთვის უფრო გასაგებია, "სომხების ტერტერა". მალხაზ სონღულაშვილის სრული წოდებაა "საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოს-პრეზიდენტი", მაგრამ თუ სერიოზულ გაზეთში ადგილის ეკონომია გარდაუვალია, უნდა ეწეროს: "ბაპტისტი ეპისკოპოსი". ასე შევინარჩუნებთ სახეს. ახლა ისიც ვიკითხოთ, რას ნიშნავს "მრავალნაირად დანაწევრებული ლათინური და პროტესტანტული ალმსარებლობები"? არსებობს, მაგალითად, ლათინური წესი და არსებობენ ლათინური წესის ქრისტიანები. ლათინურ ალმსარებლობაში ავტორი ალბათ რომის კათოლიკე სამოციქულო ეკლესიას გულისხმობს — ყოველ შემთხვევაში, ასე უწოდებდნენ მას XVIII-XIX საუკუნის რუსი სასულიერო მოღვაწეები. მაგრამ რომის კათოლიკურ ეკლესიაში ბიზანტიური წესის ქრისტიანებიც შედიან, თანაც გაუგებარია, რატომ აერთიანებს ავტორი რეფორმაციის ეპოქიდან მოყოლებული ამ ყველაზე მონოლითურ ეკლესიას "მრავალნაირად დანაწევრებულ" ალმსარებლობათა შორის.

ტექსტი მართლაც რომ იდუმალი წინადადებით მთავრდება: **"ეს ის ფაქტია, რომელსაც ორსიტყვიან კომენტარს უკეთებენ ხოლმე"**. გასაგებია, რომ სიტყვა "ფაქტი" აქ შევარდნაძის ეკუმენურ ლოცვაზე დასწრებას გულისხმობს, მაგრამ მთლიანად რას ნიშნავს ეს ბოლო განცხადება? ავტორს ალბათ იმის თქმა უნდა, რომ "ფაქტი" უმნიშვნელოა. ჩავსვათ მოვლენა ჩვენი საზოგადოებრივი სინამდვილის კონტექსტში...

1. ბასილ მკალავიშვილის "სწრაფი რეაგირების კორპუსი" არბევს ქრისტიანთა ერთობლივ ლოცვას; 2. უცხოეთის საელჩოები (პროცესის ყველაზე ქმედითი კომპონენტით შემოვიფარგლები) აწვებიან საქართველოს პრეზიდენტს, რადგან მიიჩნევენ, რომ მეტის ატანა აღარ შეიძლება; 3. "ყოველგნით შეიწრებული" შევარდნაძე ჩვეულ დეკლარაციულ გზას ირჩევს და ძალაუფლების შესანარჩუნებლად შემდგომ ბრძოლაში უაღრესად საჭირო მკალავიშვილს საკუთარი მკერდით იფარავს. მაგრამ არის კიდევ ერთი კურდღელი, რომელიც ისე აღმოჩნდა პრეზიდენტის იაგდტაშში, რომ ჩვენმა ავტორმა და მასთან ერთად ბევრმა სხვამ ვერ შეამჩნია. ეს კურდღელი კი ის უეჭველი გარემოებაა, რომ არავის ეყოფა ჭკუა, დაუფასოს შევარდნაძეს ეს მოქმედება და ამით ქულები ჩაიწეროს. გონებაგახსნილი ადამიანისთვის უკვე აშკარაა, რომ საქართველოში შევარდნაძის დაძლევაზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე იმ დადებით ღირებულებებზე, რომლებზედაც უნდა აიგოს ჩვენი საერთო მომავალი. ასე რომ, ერთ მხარეს მყოფნი იტყვიან, ყველა სიკეთესთან ერთად ეკუმენისტი და ერეტიკოსიც ყოფილაო, მეორე მხარეს მყოფნი კი ყიჟინას დასცემენ, არიქა, გვატყუებსო. ამით არაფერი შეიცვლება გარდა იმისა, რომ, ვისაც საჭიროა, საბაბი ექნება, თქვას: "ამ ბარბაროსულ ქვეყანაში კარგსაც და ცუდსაც ერთნაირად აფასებენ". შევარდნაძისთვის კი სულ ერთია, ვხედავთ თუ არა ჩვენ მისი მოქმედების მოტივაციას. მისთვის მთავარია, იქ იცნობდნენ ანგელოზად, საიდანაც ტრანშები მოედინება. ასე რომ, რაც უფრო გავაკრიტიკებთ მისი ზომების პალიატიურობის გამო, მით უფრო მოგებული დარჩება იგი. ამისთვის კი ღირდა იმ ნამდვილად თამამი შოუს გამართვა, რადაც შევარდნაძის მოსვლამ აქცია მსოფლიოს ქრისტიანების ყოველწლიური რუტინა — ერთობლივი ლოცვა.

ჩვენ კი რა გვრჩება სანუგეშოდ? ისევ ის, რომ "თამამი შოუ" სულ სხვა რამეს ვუწოდოთ: "აჭარა მიუზიკ ჰოლში" პერანგისა და მისი ამხანაგის ამარა წინ და უკან მოსიარულე საგულდაგულოდ ეპილირებულ ქართველ გოგოებს.

არა, ვერა და ვერ ისწავლეს ჩვენში სინამდვილიდან არსებითის გამოყოფა! სულ ცხრიანში ურტყამენ ხოლმე. ახლა კიდევ იმას საყვედურობენ ჟურნალისტებს, ლიტერატურული ქართული ენის ნორმებს არ იცავთო. დაუხვევიათ თითზე "გაჟღერება" და "დაფიქსირება". წაიკითხეთ "ივერიისა" და "დროების" ფურცლები — განა ღიმილს არ იწვევს? გრამატიკა ხომ თავისი უზენაესი სამეცნიერო დანიშნულებით აღმწერი უნდა იყოს და არა კანონმდებელი. ენა კი სწორედ მაშინ მოკვდება, როცა მასში შეწყდება სხვა ენებიდან სესხებისა და კალკირების პროცესი, რომელსაც ვერანაირი ნორმებით ვერ დააბრკოლებ, როცა შეჩერდება ნეოლოგიზმების წარმოქმნა, რაშიც ამ ბოლო დროს ასე გვეხმარება ჩვენი პარლამენტის გარკვეული ნაწილი — "თემატური უმრავლესობა".

კაცმა რომ თქვას, საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნენ ჩვენი ჟურნალისტები, თანაც, უნდა ითქვას, რომ ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევაც მაინც და მაინც არ შეინიშნებოდა. უბედურება სხვაგანაა: არსებობს თუ არა რომელიმე ბუნებრივ ენაში რესურსები იმისათვის, რომ საქართველოს საპარლამენტო (უფრო ზუსტად, "თემატური") უმრავლესობის არსი და ქცევა აღწეროს? ახალი დროის დასაწყისის რომელიღაც ფილოსოფოსი, ამ ომბუდსმენობაში უკვე გადამავიწყდა, ლოკი თუ ჰელვეციუსი (ან, შეიძლება, ორივე) წერდა, რომ ველური ტომის (მოძველებული ტერმინია) მეომარს რომ ჰკითხო, სიკეთე ისაა, როცა თვითონ კლავს მტერს და იპარავს საქონელს, ბოროტება კი ის, როცა მას კლავენ ან საქონელს ჰპარავენ მტრები. დამარცხებულთა საქმეების ქექვა და სიტყვა "თემატურის" ნამდვილი მოტივაციის ძიება უკვე ნაკლებ საინტერესო ამოცანად მიმაჩნია. მხოლოდ ერთი დამთხვევა მინდა შევნიშნო: ერთი შეხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს დასახელება "თემიდან" მომდინარეობს, რადგან სწორედ ზემოხსენებული ველური, პირველყოფილი ეთიკის მიხედვით მოქმედებდნენ მთელი წინა კვირის განმავლობაში ვიტალი ხაზარაძე და ძმანი მისნი. არ მოეწონათ პარლამენტის დადგენილება და მეორე (როგორ უყვართ გამოთქმა "ალტერნატიული" — ღირსებას ანიჭებს!) პარლამენტის დაარსება მოინდომეს; არ მოეწონათ სპიკერის პრინციპულობა და კიდევ ერთი რახათ-ლუქუმივით ნუგბარი სიტყვა ამოატივტივეს — "იმპიჩმენტი". მკითხველთა ინტერესების დაცვისთვის არაფერს დავიშურებთ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჟურნალისტებსაც უნდა გავუგოთ: "24 საათში" თავიდანვე შემთხვევით ხალხს არ ირჩევდნენ, საერთო ფონზე და ხშირად "აბსოლუტურ კატეგორიაშიც" მათ ნამდვილად ვერ დავუწუნებთ მომზადებასა და გემოვნებას. მაგრამ აბა როგორ უნდა გაიგოს არა თუ მომზადებულმა, უბრალოდ ჭკუათმყოფელმა ადამიანმა, რომ 118 კაცის შესაგროვებლად ვახტანგ რჩეულიშვილის მოსკოვიდან გამოძახება უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე კიდევ რამდენიმე დეპუტატის რესტორნიდან გამოყვანა? ამიტომაცაა, რომ გიორგი ასანიშვილი თავის სტატიას შემდეგ სათაურს უძებნის: საპარლამენტო უმრავლესობის ვატერლოო (15 მარტი). მშვენივრად მესმის შენი, გიორგი — ადვილი საცნობია, რომ მოწოდებით მუშაობ და როგორც ყველა შემძლე ადამიანს, შენც ღირსეული და მნიშვნელოვანი საქმეების აღწერა და გაშუქება გსურდა, რას იფიქრებდი, რომ ჟურნალისტობის მაგიერ ეთნოგრაფობა მოგიწევდა. ეს "ვატერლოოც" და "გენერალური ბრძოლაც" აქედანაა. ვაი, რომ სინამდვილე ბევრად უბადრუკია, ვიდრე ჩვენ ველოდით. ვატერლოო დიდი კაცის მარცხი იყო, აქ კი მხოლოდ ის მოხდა, რომ კლასის დამრიგებელმა, მკაცრი და ქედუხრელი ბუნების ქალბატონმა, ჭკუის სასწავლებლად თავში წაუთაქა ორსამ გაანცებულ ბიჭუნას. ეგ იყო და ეგ — ბედს შევურიგდეთ.

აი, ასლან აბაშიძეს რომ უკიჟინებენ წამდაუწუმ, აჭარაში ფეოდალური რეჟიმი დაამყარაო. ესეც თვალნათლივ გამოჩნდა, თანაც საზოგადოებრივი ფორმაციების შესახებ მარქსისტულ მოძღვრებასთან სრული თანხმობით — ხომ გახსოვთ, რომ გვასწავლიდნენ, მონათმფლობელობა თემურ წყობილებაზე პროგრესული იყო, ფეოდალიზმი კი მონათმფლობელობაზეო. იქვე, 15 მარტის ნომერში ვხედავთ ნესტან ცეცხლაძის მასალას, აჭარის ხელისუფლება კონსტიტუციას არღვევს. აქ აჭარის პარლამენტის იურიდიულ, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის, მალხაზ ბოლქვაძის ხმა გვესმის: "ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციას ირიბად ვარღვევთ". საქმე იმ გარემოებას ეხება, რომ აჭარაში ჯერ არ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო. მაგრამ დავაკვირდეთ, რომ თუ თემური, მაპატიეთ, თემატური ველურები პირდაპირ ფეხზე იკიდებენ კონსტიტუციას, ფეოდალები მას მხოლოდ ირიბად არღვევენ, თანაც კომიტეტის სახელწოდებაც უფრო გრძელი აქვთ. ნეტა კაპიტალიზმამდე მივაღწევთ ოდესმე?

ალბათ ვერა. და ესეც ჩვენი უბადრუკი, ბარბაროსული სინამდვილის ბრალი იქნება. ამ სინამდვილემ "ბალანდის" ოხშივარით შემოგვასუნთქა 11 მარტს შს მინისტრის ინტერვიუდან: მინისტრი ერთ თვეში სიტუაციას გამოასწორებს. აბა, თუნდაც ეს ფრაგმენტი ვნახოთ:

"...როცა გამომძიებელმა 48 საათში კიდევ უნდა დაკითხოს დაკავებული და კიდეც დაასვენოს, მტკიცებულებები მოიპოვოს და ზემდგომებისგან მიღებული აქვს ბრძანება, რომ დანაშაული უნდა გაიხსნას — რა ქნას, იძულებით მეთოდებს მიმართავს.

**— ესე იგი, დღეს საქმის გახსნის ერთადერთი საშუალება დაკავებულისგან ჩვენების გამოძალვაა?**

— არა, მაგრამ ასეთი შემთხვევები არის".

საინტერესოა, არა? ახლა კი ამ ტექსტის რედაქტირებას შევეცადოთ. ოღონდ არა ორთოგრაფიის ან სტილის თვალსაზრისით — აქ არაფერი უშავს. მე სხვა რედაქტირებას ვგულისხმობ. ადრე, მახსოვს, მოდაში იყო რუბრიკები: "მე რომ დირექტორი ვყოფილიყავი", "მე რომ მინისტრი ვყოფილიყავი". წარმოვიდგინოთ, რომ ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტს ვარედაქტირებთ რუბრიკისათვის "მინისტრს რომ ჰიპნოზის ქვეშ ელაპარაკა":

"... როცა 48 საათში გამომძიებელმა კიდეც უნდა აცემინოს დაკავებული და კიდეც ცემის კვალი გააქროს, უცილობლად დაამტკიცოს, რომ დაკავებული დამნაშავეა და ზემდგომებისგან მიღებული აქვს ბრძანება, რომ დანაშაული უნდა შეიქმნას — რა ქნას?

**— ესე იგი, დღეს საქმის გახსნის ერთადერთი საშუალება დაკავებულისგან ჩვენების გამოძალვაა?**

— System overload... System overload... System overload..."

სხვა თუ არაფერი, ჩვენი საწყალი თანამშრომლების მდგომარეობაში უნდა შევიდეთ: აქეთ პრეზიდენტმა დააბაკუნა ფეხები, ან ქურდები და ან მეო (ნეტა საიდან გაახსენდა იმ ოჯახაშენებულს?), იქით მინისტრმა დაუცაცხანა თავის მოადგილეს, ჩქარა დაფაცურდი, თორემ თანამდებობას დაკარგავო, მაგრამ ისიც ხომ თავისთავად იგულისხმება, რომ ცხინვალის ამბები, "ტყის ძმები" და ბევრი სხვა რამეც უცვლელი უნდა დარჩეს. ჰოდა, თანამშრომლებმაც გამართეს ნადირობა სიუს ტომის ინდიელებზე. აგერ, გასულ ხუთშაბათს უხვი მოსავალი აიღეს — ოთხი ერთად დაუკავებიათ. მაგრამ მაინც მძიმეა საქმის მკეთებელი თანამშრომლის ბედი, ხელფასი მას არა აქვს და დანარჩენსაც ბლომად ართმევენ ზემოდან. ჰოდა, გასწი-გამოსწი, 0.2 გრამ ჰეროინზე მეტს ვერ აღმოუჩენს ვერავის ჯიბეში. ბოლოს და ბოლოს, ოჯახი ჰყავს სარჩენი!

სხვა რა გითხრა, ჩემო მკითხველო, გარდა იმისა, რომ გუშინ ჩემს მეგობარს, სოციოლოგს, ემზარ ჯგერენაიას დავურეკე. ის ამ დროს უშუქოდ იჯდა ღამეული ვარკეთილის მრავლისმეტყველ მდუმარებაში და ამ მდუმარების საზრისს ადამიანური სიტყვების ენაზე მითარგმნიდა:

— დენის ტარიფის შემცირება არ შეიძლება, ენერგეტიკა დაგვენგრევაო; მინიმალური ხელფასის გაზრდა არ შეიძლება, ეკონომიკა დაგვენგრევაო; პოლიციის რეფორმა არ შეიძლება, კრიმინალები მთელ ქვეყანას დაგვანგრევენ თავზეო. ბარემ გავახვიოთ ეს ჩვენი საქართველო ბუშტუკებიან ცელოფანში, შემოვაკრათ სკოჩი და ზედაც დავაწეროთ დიდი ასოებით მოსახლეობისთვის ჯერ კიდევ გასაგებ ენაზე: "не кантовать!".

დიახ, ამ დაკერებულსა და ჩამპალ, ყოველ გაფაჩუნებაზე მოცახცახე და ბანქოს ქაღალდებისგან აშენებული კოშკივით უხერხემლო და უხორცო ნაგებობას, ამ არამდგრად წონასწორობას შეარქვეს ჩვენთან სტაბილურობის ამაყი სახელი. ჩვენც დავიჯერეთ. ეჰ, დიდი მგოსნის მოკრძალებას რა ვუთხარი, თორემ საქართველო გაცილებით უფრო მეტის ღირსია...



გასულ კვირას

# როკაპოპსა, ტრომბონი და როგორ მიფრინავს დრო

ვერა ნეფარიძე

ძალიან კარგად მახსოვს, 1999 წელი იყო, როდესაც მეგობარმა მისთვის სრულიად ახლად აღმოჩენილი რუსული ჯგუფის შესახებ მითხრა და დაეჭვებულმა, ხომ სწორად გამოთქვამდა სახელწოდებას, დამიმარცვლა: მგონი Му-ми-й Тролль ჰქვიაო. ის, რომ თანამედროვე რუსულ სცენაზე რაღაც ახალი და განსაკუთრებული ხდებოდა, თავის დროზე, ზემფირას სადებიუტო ალბომის წყალობით, იმავე წელს ვიცოდი და რადგანაც, "ზემფირა" (თუ არ ვცდები ასევე ერქვა ალბომს) წესიერად არ მქონდა გადახარშული, ცოტა უნდობლად შევხვდი ახალი რუსული, საინტერესო ჯგუფის არსებობას. თუმცა, როგორც ოდნავ მოგვიანებით გავარკვიე, ეს ჯგუფი, თინეიჯერობის ასაკიდან ახალგამოსულ ზემფირამდე დიდი ხნით ადრე, მოსკოვიდან შორს, ვლადივოსტოკში კარგად "გახურებული", პოპულარული და ავტორიტეტული მუსიკალური კოლექტივი იყო.

მოკლედ, თბილისში არც ისე ბევრ, მაგრამ საკმაო რაოდენობის მელომანებს შეეყარათ Мумий Тролль-ის ვირუსი. ახლა კი მეცინება, მაგრამ თავის დროზე მაგრად მასევდიანებდა "იკრა" (ჯგუფის რიგით მეორე სტუდიური ალბომი): Мальчик-солдат, Голод, Дельфины; შედარებით ხალისიანი პირველი ალბომი Морская-დან განსაკუთრებული იყო: Вдруг ушли поезда, Роза Люксембург, Делай меня точно, Забавы და ა.შ. ერთი სიტყვით, Мумий Тролль ჩვენთან კარგა ხნის განმავლობაში სრულიად უცხო კოლექტივად მიიჩნეოდა; მისი აქაური მოყვარულების მცირერიცხოვანი ჯგუფი მათ წარმატებებს საზღვარგარეთ მხოლოდ ინტერნეტის დახმარებით იტყობდა. მას შემდეგ ექვსი წელიწადი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ჯგუფს კარიერის დასაწყისში გამოჩენილი შემოქმედებითი ალმასვლა არ გაუმეორებია. თუმცა, ამ ყველაფერმა მათ პოპულარობაზე პირიქით იმოქმედა. საქართველოშიც Мумий Тролль, ჯგუფის ყველაზე სუსტი ალბომის Точно Ртуть Алоэ-ს, კერძოდ კი ჰიტის, Невеста? (რომელიც, ცუდი ნამდვილად არაა, მაგრამ...) გამოსვლის შემდეგ გახდა პოპულარული. მოკლედ, ამხელა შესავალი მხოლოდ იმიტომ დამჭირდა, რომ გამემართლებინა საკუთარი გადაწყვეტილება, ამ ჯგუფის თბილისური გასტროლი გასული კვირის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილობრივ კულტურულ მოვლენად მეღიარებინა(პირველობაზე თავს შევიკავებ, რადგან საქმე მაინც პოპ-კულტურის წარმომადგენელს ეხება).

Мумий Тролль-ის თბილისური კონცერტი, რამდენიმე მიზეზის გამო, შეიძლება მივიჩნიოთ მნიშვნელოვნად. ყველაზე მთავარი ალბათ ისაა, რომ უსუსურ ქართულ შოუ-ბიზნესს ყველაზე მეტად მუსიკალური იმპორტი სჭირდება. მაგრამ, ეს ყველაფერი მეტად რთული მისაღწევია მონდომების გარეშე. "აჭარა მიუზიკ ჰოლში" Мумий Тролль-ის კონცერტზე, როდესაც ჩემი კოლეგა ერთ-ერთი ჟურნალიდან, პროფესიული დავალების შესრულების მიზნით ნებისმიერ ადგილობრივ მუსიკოსს ეძებდა გადასაღებად და ვერავინ აღმოაჩინა კლუბში, მაშინ მივხვდი, რომ ჩვენს მუსიკალურ სცენაზე კიდევ დიდი ხანი არაფერი შეიცვლება. არადა, ეს კონცერტი ძალიან კარგი დემონსტრირება იყო იმის, თუ რას ჰქვია სცენაზე მუშაობა, დახარჯვა თუ გულწრფელობა, რასაც ასე იოლად იჩემებენ ხოლმე ჩვენი "ფონოგრამშიკები". ამ შემთხვევაში, ჩვენი "ვარსკვლავები" მიზეზად უფულობას მაინც ვერ მოიდებენ. რამდენი ასეთი მომღერალი ვიცით, რომელთაც ხელფასს (თუმცა, ალბათ უფრო სწორია, როდესაც ამბობენ ხოლმე, რომ ეს პენსიაა) არაფერში უხდიან. და ეს ხელფასი ყველას კარგად მოეხსენება, რა მასშტაბებს გულისხმობს.

კიდევ ერთი Мумий Тролль-ის შესახებ. მათი თბილისური კონცერტი ნამდვილად შთამბეჭდავი იყო თვით ჯგუფის თაყვანისმცემლებისთვისაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ მათზე, ვინც ნამდვილად არ მოელოდა ამდენს ვლადივოსტოკელი მუსიკოსებისგან. Мумий Тролль-ის წევრები ნამდვილი პროფესიონალები აღმოჩნდნენ. მუსიკოსები, რომელთაც კარგად იციან, როგორ იმუშაონ ხმისჩამწერ სტუდიაში, კლუბში თუ უზარმაზარ სტადიონებზე, როგორ შეარჩიონ თითოეული გამოსვლისთვის ჟღერადობა. ალბათ, ამიტომაც უადვილდებათ ყველანაირი ზომის დარბაზების გავსება.

ვახტანგ მაჭავარიანის მიმართ არასდროს მქონია სუბიექტური მოსაზრებები იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პროფესიულად ვერ განვსჯი მის შემოქმედებას. თუმცა, არც მის პროფესიონალიზმში შემპარვია არასდროს ეჭვი. მაგრამ როდესაც იგი "აჭარა მიუზიკ ჰოლში" დენის როლინსის კონცერტზე ვიხილე, ვიგრძენი, რომ მისდამი ჩემს დამოკიდებულებაში რაღაც შეიცვალა. ჩვენს სხვა "ვარსკვლავებს" არც დენის როლინსი დაუფასებიათ დიდად. სამაგიეროდ, ჩვენი ცნობილი მომღერლები არ აკლდებიან ერთმანეთის უსახურ, სრულიად უინტერესო და მომაბეზრებელ გამოსვლებს. და ასე იხარშებიან საკუთარ წვენში, რომელსაც მერე ჩვენი საზოგადოება ხვრეპს. ზოგიერთისთვის ამ უსიამოვნო პროცესისთვის (ერთიდაიგივე გარემოში ტრიალი) თავის არიდება შემოქმედების გარეთ გატანაა, რაც არც თუ ისე ურიგო გამოსავალია. ასევე მოიქცა (უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ დაეხმარნენ, ასე მოქცეულიყო) ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ქართველი მომღერალი სალომე გასვიანი (აქამდე თბილისში ცნობილი იყო მისი შესრულებით სიმღერა "მიფრინავს დრო"), რომელმაც გასულ კვირას ფართო საზოგადოებას ამერიკიდან ჩამოტანილი ორი მუსიკალური ვიდეოკლიპი წარუდგინა. სალომეს თბილისში დროებით დაბრუნება თავისუფლად შეიძლება კვირის ერთ მოვლენათაგანად მივიჩნიოთ. და თუკი ეს ვიზიტი პატარა მომღერლისთვის ნამდვილ ბილიკად იქცევა მომავალი წარმატებების გზაზე, ამას რა სჯობს. თუმცა, ისიცაა, რომ ნებისმიერი გასვლა საზღვარგარეთ და კონტაქტი უცხოელ კომპოზიტორთან, ყველა შემთხვევაში არ არის საუკეთესო გამოსავალი.

რა თქმა უნდა, გასული კვირის კულტურული მოვლენები მხოლოდ ამით არ ამოწურულა, მაგრამ სხვა დიდად აღსანიშნავიც არაფერი მომხდარა. რა თქმა უნდა, აქ არ ვგულისხმობთ განსაკუთრებით სამწუხარო დანაკლისს, ცნობილი მსახიობის გიორგი გეგეჭკორის გარდაცვალებას.

კარგი მუსიკის მოყვარულები Мумий Тролль-სა და დენის როლინსის კონცერტს უნდა დასჯერებულიყვნენ, რადგანაც სხვა ახალი თბილისის საკონცერტო დარბაზებში არ აჟღერებულა. თუმცა, იყო "არტ-იმედის" ორგანიზებული ქართული რომანსის საღამო კონსერვატორიაში. გალერეების მუდმივმა სტუმრებმა ალბათ მოინახულეს გერმანელი ფოტოგრაფის რეგინა შმეკენის თერთმეტი წლის განმავლობაში დამზადებული ფოტოსერია, რომელსაც სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზმა უმასპინძლა; თანამედროვე ვიდეოარტის მოყვარულები კი გაეცნენ ამ მიმართულებით მომუშავე ბრიტანელი მხატვრების ექსპოზიციას N გალერეაში, რომელიც კიდევ ერთ კვირას გაგრძელდება. რაც შეეხება კვირის ლიტერატურულ პროცესებს, ის მთლიანად ახალგაზრდების ერთ-ერთმა უსაყვარლესმა პოეტმა გაგა ნახუცრიშვილმა "მიისაკუთრა". ტრადიციული ხუთშაბათობა "ძველ სარდაფში" სწორედ მის შემოქმედებას მიეძღვნა, ხოლო შაბათს, "პარნასში" პოეტის ახალი კრებული იხილა მკითხველმა.

გასულ კვირას თეატრალებმაც იღვაწეს და თბილისელებს ორი პრემიერა მოუმზადეს. "24 საათი" წერდა "თავისუფალ თეატრში" ლელა ჭინჭარაულის მიერ დადგმული "სამი პიესის" შესახებ; პარასკევს იქ ახალგაზრდა ქართველი დრამატურგების მოყვარულები (სპექტაკლი სწორედ რამდენიმე პიესის მიხედვით დაიდგა) შეიკრიბნენ; ხოლო მარჯანიშვილის თეატრში ქეთი დოლიძემ მონოსპექტაკლი "მიტევების დღე" (ასრულებს გურანდა გაბუნია) დადგა.

კალენდარი

## 17 მარტი



ყოფილი სპორტსმენის და თითქმის უცნობი მსახიობის ვაჟი, კურტ რასელი, გადასაღებ მოედანზე 11 წლის ასაკში აღმოჩნდა: ჯერ ტელესერიალში იღებდნენ – "ჩვენი კაცი ჰიგინსი", შემდეგ კი უოლტ დისნეის სტუდიასთან დადო კონტრაქტი - საბავშვო სურათებში მონაწილეობდა.

ამ სტუდიაში მოღვაწეობის დროს რასელისთვის საინტერესო და საბედისწერო ორი შეხვედრა შედგა: 1963 წელს, როცა ფილმს "ეს მსოფლიო ბაზარზე მოხდა" იღებდნენ, მან ლეგენდარული მომღერალი, ელვის პრესლი ნახა, რომლის როლიც შემდეგ თავად შეასრულა სატელევიზიო ფილმში "ელვისი" (1979); 1967 წელს კი რასელი გადაღებების დროს პირველად შეხვდა ახალგაზრდა მსახიობს, გოლდი ჰოუნს, რომელიც თითქმის ოცი წლის შემდეგ ცოლად მოიყვანა და რომელთან ერთადაც კინოში რამდენიმე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

თავდაპირველად რასელი მარგინალურ სახეებს ქმნიდა, უხეშ, თავშეუკავებელ, აგრესიულ გმირებს, რომელთაც შავი იუმორი ფანტასტიკურ და მართლაც საშინელ სიტუაციებშიც არ ღალატობთ: "გაქცევა ნიუ იორკიდან", "დიდი არეულობა პატარა ჩინეთში" და სხვ.

ამ "მაგარი ბიჭის" იმიჯისგან თავის დაღწევის მცდელობები მსახიობს მაინცდამაინც წარმატებულად არ უმთავრდებოდა: თრილერების, კრიმინალური დრამების, ვესტერნებისა და ფანტასტიკური ფილმების გმირისთვის "საზოგადოებრივი დაკვეთის" შეცვლა რთული ამოცანა აღმოჩნდა.

**კურტ რასელი**, ამერიკელი მსახიობი, პროდიუსერი და სცენარისტი, დაიბადა 1951 წლის 17 მარტს.

# "რივერდენსი" - ირლანდიური სენსაცია

ეკა გვახარია

ერთმა ჯადოსნურმა საღამომ, რომელიც მხოლოდ შვიდ წუთს გაგრძელდა, რივერდენსი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სასაუბრო თემად აქცია მუსიკისა და ცეკვის სამყაროში. ამ ფენომენის შექმნის იდეა პირველად მოია დოერტის დაებადა; 1994 წლის ევროვიზიის სიმღერის ფესტივალისათვის კი შვიდწუთიანი მუსიკა ბილი ვილანმა დაწერა. მას მერე შოუ გაიზარდა და დღეს ეს ირლანდიური წარმოდგენა მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია.

დუბლინში გამართულ "რივერდენსის" პირველ შოუში ირლანდიური ფოლკლორი ისე ორგანულად ერწყმოდა თანამედროვეობას, მაყურებელი გაოცებასა და აღფრთოვანებას ვერ ფარავდა. აქ ტრადიციული და თანამედროვე, თვითმყოფადი და შექმნილი, ირლანდიური და უცხოურიც ერთად გამოხატავდა ირლანდიელი ხალხის ოცნებას – საკუთარი წარსულის, ტრადიციის ერთგულებას - განახლებული და გაუმჯობესებული სახით შენარჩუნებას. იმ პერიოდში "რივერდენსით" აღფრთოვანებული ახალგაზრდა მოცეკვავეები დღეს ცნობილი ჯგუფების წევრები არიან. მათთვის ეს ცეკვა ირლანდიული მისწრაფების საუკეთესო გამოვლინებაა - ძველის განახლება. რივერდენსს დღესაც ალტაცებაში მოჰყავს მაყურებელი. "რივერდენსის" ყოველი საცეკვაო ნომრის შემდეგ დარბაზში დიდ ხანს არ წყდება აპლოდისმენტები და შეძახილები. ტრადიციულად, ცეკვა ერთსულოვნების და თანაზიარობის გამოხატვით იწყება - მუსიკა რიტმულ სინქრონად აიყოლიებს უამრავი ფეხის ხმას, მაგრამ ამ ცოცხალ მოძრაობებში მაინც ყოველთვის იგრძნობა მშვიდი თავდაჯერება.

შოუს მომზადება რთული და შრომატევადი საქმეა; გრძელვადიანი გასტროლებიც დამღლელია, მაგრამ მონაწილეების ენთუზიაზმი გასაოცარია. ჯული რეიგანი მეშვიდე წელია, რაც "რივერდენსში" წამყვანი ცეკვის უცვლელი ხელმძღვანელია. "ძალიან მსიამოვნებდა სწავლების პროცესი, დღეს, ამ მხრივ, ნაკლები მუშაობა გვიწევს - გვყავს პროფესიონალი მოცეკვავეები, თუ ვინმე ახალი მოდის, ძირითადად - სხვა რივერდენს-შოუდან, ასე რომ, ცეკვის სწავლა არ სჭირდებათ. ჩვენი სამუშაო რეჟიმი ძალიან დატვირთულია - დღის განმავლობაში რეპეტიციები გვაქვს, საღამოს გამოვდივართ სცენაზე. უმეტესწილად, მწკრივში მონაცვლეობის პრინციპს ვიყენებთ - ანუ თითოეული მოცეკვავე ყოველი წარმოდგენის დროს სხვადასხვა პოზიციას იკავებს. ამით ყოველდღიური სიახლის განწყობას ვქმნით. ასევე ვფარავთ გაცდენის შემთხვევებსაც; ნებისმიერ მოცეკვავეს ნებისმიერი ნომრის შესრულება შეუძლია. რაც შეეხება გასტროლებს, კვირიდან კვირამდე ვმოგზაურობთ, ძალიან ვიღლებით, მაგრამ ჩვენ ეს მოგვწონს. შეიძლება ითქვას, უკვე ბარგის ჩალაგების პროფესიონალები გავხდით", - ხუმრობს ჯული რეიგანი. ენტონი ფერგიუსონი 5 წელია, "რივერდენსშია". "თავიდან გაცილებით რთული იყო, ყველაფერს დიდ დროს ვანდომებდით. დღეს ყველამ ჩვენ-ჩვენი საქმე ვიცით. ძალინ კარგია ისიც, რომ ვარჯიშისას აშკარად შემცირდა ტრავმების რაოდენობა".



ეს "რივერდანსია"

ამჟამად ირლანდიაში რივერდენსს უკვე ორი დიდი განშტოება გაუჩნდა: "ლიფფი", რომელიც მოგზაურობს ევროპასა და აზიაში და "ლეგენი", რომელიც ამერიკის კონტინენტის ქვეყნებში აწყობს გასტროლებს. ლიფფი და ლეგენი მდინარეების სახელწოდებებია.

"ლიფფის" და "ლეგენის" გარდა, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებობს უამრავი პატარ-პატარა სტუდია, სადაც რივერდენსის ხელოვნებას ასწავლიან. ეს ირლანდიური ცეკვა ნებისმიერ კონტინენტზე პრესტიჟულია.

რაც შეეხება ირლანდიის ეროვნულ დღესასწაულ - წმინდა პატრიკის დღეს, ამასთან დაკავშირებით რივერდენსიც "გამწვანდა"! ამ პერიოდში გამართული მათი ყველა კონცერტისა თუ შეჯიბრების მონაწილეებიცა და მაყურებლებიც საგანგებოდ დამზდებულ, მწვანე ფერის სამოსში იქნებინ გამოწყობილები.

# ყველაზე მაგარი ირლანდიელები

მადი სერებრიაკოვა

ირლანდია – სველი, წვიმიანი და ნისლიანი, მოჩვენებების ქვეყანა, რომელიც ნებისმიერს თავს დააკარგვინებს ზღაპრული ფლეიტებით, არფებით, გინესის ლუდითა და წმინდა პატრიკის დღესასწაულებით. მსოფლიოში ირლანდიელებს განსაკუთრებით ტემპერამენტიანი, ემოციური ხალხის სახელით იცნობენ, რომლებიც ყველა სხვა სიკეთესთან ერთად (ირლანდიელი ტერორისტები წმინდა პატრიკის დღეს რა გასახსენებელია!), ჩინებული მუსიკოსებიც არიან.

ტრადიციული ირლანდიური მუსიკის კანონებისა და ტრადიციების ჩამოყალიბება XVIII საუკუნეს უკავშირდება. ჩვეულებრივ ტრადიციულ ირლანდიურ მუსიკაში რელიგიურ მუსიკას, ბალადებსა და სახუმარო სიმღერებს (ვისკის ხუმრობებს რომ ეძახიან) გულისხმობენ. ირლანდიელებს ცეკვაც ძალიან ყვარებიათ და გავრცელებული ირლანდიური ჯიგებიც ამის დასტურია. თუმცა, საკუთარი ტრადიციული მუსიკის გარდა ირლანდიელებმა მსოლიოს პოპ-მუსიკაშიც დაუფასებელი წვლილი შეიტანეს.

U2, The Cranberries, Afro Celt Sound System, ელვის კოსტელო, ვენ მორისონი, ენია, შინეიდ ო`კონორი ძალიან მცირე ნაწილია ირლანდიელი მუსიკოსების გრძელი სიიდან. ირლანდიური მუსიკის ბუმი მსოფლიოში 50-იანი წლებიდან იღებს სათავეს, როდესაც კლენსების საგვარეულომ და ანსამბლმა პირველად გააოგნა ამერიკელები ტრადიციული ირლანდიული მუსიკით. ირლანდია მოდაში შემოვიდა. სხვათა შორის ირლანდიელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ "ყველაზე მაგარ" ირლანდიელებს მხოლოდ თავისთავად უმდიდრესი ფოლკლორული მუსიკის "გადამღერებით" არ გაუთქვამთ სახელი. თუმცა, ვერც შინეიდ ო`კონორი და ვერც ენია ვერსად გაექცნენ ჰაერით სავსე ირლანდიურ ბგერას.

"ყველაზე მაგარ" ირლანდიელებს შორის "ყველაზე მაგარი" (ყოველ შემთხვევაში, გაყიდული ალბომების რაოდენობა ამას მიუთითებს) U2-ა, რომელმაც როგორღაც მოახერხა და მუსიკის ხარისხსა და პოპულარობას შორის "ოქროს შუალედი" იპოვნა. სხვათა შორის, U2-ს დუბლინელმა ბიჭებმა მეორე სინგლი 1980 წლის მარტში ირლანდიურ ენაზე გამოუშვეს და სწორედ ამის შემდეგ მოაწერეს ხელი პირველ საერთაშორისო კონტრაქტს. ჩრდილოეთ ირლანდიაში მიმდინარე პოლიტიკურ დაპირისპირებებს მიეძღვნა 1983 წლის ალბომში War შესული ბონოს სიმღერა Sunday, Bloody Sunday. სიმღერა ისეთი ენთუზიაზმით აიტაცეს ირლანდიელებმა, რომ U2 იძულებული იყო კონცერტებზე გამოეცხადებინა, რომ ეს აჯანყებულთა სიმღერა არ არის.

მშობლიურ ირლანდიასთან ჯგუფის პოლიტიკური აქტივობა და სოციალური გზავნილები გაგრძელდა 1984 წლის The Unforgettable Fire-ში. ამჯერად, ბონოს სიმღერა Pride დუბლინში ნარკოტიკების გავრცელების საწინააღმდეგო მოძრაობის მხარდასაჭერად შეიქმნა.

ჭეშმარიტად ირლანდიური საგვარეულოს შთამომავალია როკ-ლეგენდა ელვის კოსტელო (ნამდვილი გვარია მაკმანუსი). კოსტელოს წინაპრები, გარდა იმისა, რომ ირლანდიელები იყვნენ, თავისი მუსიკალური მიღწევებითაც იქცევდნენ ყურადღებას. თავად კოსტელო კი ინგლისში გაიზარდა და ირლანდიელების ეროვნული აქტივიზმი ეთნოკონფლიქტების კი არა, რასიზმის წინააღმდეგ მიმართა.

ბელფასტელი ვენ მორისონის ყველაზე ადრეული მოგონებები დედამისისა და ბიძამისის დუეტს უკავშირდება, რომლებიც ყოველ შაბათს ირლანდიური სიმღერების კონცერტებს აწყობდნენ. ერთ-ერთ ინტერვიუში იგი აცხადებს, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ირლანდიურ სასულიერო მუსიკას უსმენს.



U2-ს კარიკატურა

მსოფლიოში ყველაზე წყნარი ირლანდიელი ენიაა. იგი გვინდორში გაიზარდა. მამამისს იქ პაბი ჰქონდა ირლანდიური ტრადიციების სრული დაცვით. დედამისი კი ტრადიციული ირლანდიური მუსიკის მომღერალი იყო - ცოცხალი მუსიკის გარეშე ხომ ირლანდიური პაბი წარმოუდგენელია. ენია ყოველთვის სიამოვნებით მღეროდა ირლანდიურად. იგი კარგად იცნობს ირლანდიურ ფოლკლორს, მითოლოგიას – თავისი ერთ-ერთი საუკეთესო სიმღერა Boadicea-ც კელტების ქალღმერთის სახელს ატარებს.

ირლანდიელების მეამბოხე სული შინეიდ ო`კონორმა გამოამჟღავნა აქტიურად. გარდა იმისა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე იგი ყველას და ყველაფერს პროტესტს უცხადებდა (შინეიდ ო`კონორი ერთადერთი მუსიკოსია, რომელმა "გრემ"-ის მიღებაზე სასტიკი უარი განაცხადა), იგი საკუთარი მუსიკის ირლანდიურ ტრადიციებსაც ებრძოდა: "აიღეთ ირლანდიური სიმღერა და ამოატრილეთ იგი თავიდან ბოლომდე, აი, ამას ვაკეთებ თორმეტი წელიწადია" – აღნიშნავდა მუსიკოსი. შინეიდის ირლანდიური რეპერტუარიდან განსაკუთრებით ცამეტი ირლანდიური სიმღერაა ცნობილი, რომელიც მან Sean-Nos Nua-სთვის ჩაწერა. ეს სიმღერები მას ღრმა ბავშვობაში მამისგან უსწავლია, თუმცა ვიდრე საქმე ჩაწერამდე მივიდა, "უდიდესი ენერგია დახარჯა, რომ ტრადიციული სიმღერები გაესექსუალურებინა".

დაბოლოს, "ყველაზე მაგარ" ირლანდიელებს შორის არ შეიძლება The Cranberries არ გავიხსენოთ. ამ უკანასკნელთ მართალია, ირლანდიურად სიმღერით თავი არ გამოუჩენიათ, სამაგიეროდ, კელტური სასიმღერო ტექნიკის ტრადიციები და ინდის ჟღერადობა შეურიეს ერთმანეთში და საკმაოდ ეფექტური კოქტეილიც მიიღეს. სხვათა შორის, ხშირად ჭორაობენ, რომ დოლორეს ო`რიორდანი ჯგუფის დატოვებას აპირებს (ალბათ, ესეც მის ირლანდიურ დაუმორჩილებლობას უნდა მივაწეროთ). სოციალურ და პოლიტიკურ აქტივიზმს კი The Cranberries უფრო ეკოლოგიურ პრობლემებთან ბრძოლას ახმარს.

# "სამი კაცისთვისაც სიხარულით ვითამაშებ"

თამარ სუხიშვილი

დამეთანხმებით, ძალიან რთულია ითამაშო მონოსპექტაკლი (საათნახევარზე მეტ ხანს) ისე, რომ მაყურებლის ყურადღება არ მოადუნო, თანაც ითამაშო დიდ სცენაზე, მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე. ძალიან რთულია, მაგრამ შესაძლებელია.

მარჯანიშვილის თეატრში გუშინდელი პრემიერის შემდეგ დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს და სცენიდან აღარ უშვებდა ცნობილ მსახიობს. გურანდა გაბუნია, რომელიც ქართველ მაყურებელს უჩვეულო ამპლუაში მოევლინა, ოვაციებსა და ყვავილებს ჩვეული არტისტულობით იღებდა.

"მიტევების დღე" - ასე ჰქვია ერთმოქმედებიან მონოდრამას, რომლის პრემიერაც 15 და 16 მარტს მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა. "მიტევების დღე" მარტოდ დარჩენილი ადამიანის აღსარებაა, რომელსაც "არც მიმტევებელი დარჩა და არც მისატევებელი". გმირის განცდები - მიატოვოს თუ არა ძველისძველი სახლი (სხვათა შორის, ამ ძველ სახლს რეალური პროტოტიპი ჰყავს), წავიდეს თუ არა შორეულ ქვეყანაში, მაყურებელს ნამდვილად ვერ ტოვებს გულგრილს.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ქეთი დოლიძე. მუსიკალური გაფორმება გივი გაჩეჩილაძეს ეკუთვნის, მხატვარია აივენგო ჭელიძე. პიესის ავტორებმა - ინგა გარუჩავამ და პეტრე ხოტიანოვსკიმ ეს პიესა საგანგებოდ გურანდა გაბუნიასთვის დაწერეს. "პიესა რომ წავიკითხე, ისე მომეწონა, კინაღამ გავგიჟდი", - ემოციებს ვერ მალავს მსახიობი; ძალიან ბედნიერია, რომ ეს პიესა მისთვის დაიწერა, თუმცა აქამდე არასოდეს უფიქრია მონოსპექტაკლში თამაში.

სპექტაკლის შექმნის ისტორია ასეთია: თავიდან გურანდა გაბუნიასა და ოთარ მეღვინეთუხუცესს ორკაციანი პიესა მოუტანეს, მაგრამ ბატონმა ოთარმა სპექტაკლში მონაწილეობაზე უარი თქვა; და მონოპიესის შექმნაც იდეაც სწორედ მაშინ დაიბადა.

"მიტევების დღეზე" მსახიობი ორი თვის განმავლობაში მუშაობდა. რეპეტიციების დაწყებამდე ქალბატონი გურანდა დიდი გულისყურით გაეცნო ტექსტს; ძალიან დაეხმარა რეჟისორი, რომელსაც უკვე ჰქონდა მონოსპექტაკლში თამაშის გამოცდილება.

"რთულია მარტო სცენაზე ყოფნა, - გაგვიმხილა გურანდა გაბუნიამ, - ჩემთვისაც ძნელი იყო. ერთია, როცა მიჩვეული ხარ პარტნიორებთან ერთად თამაშს, როცა შენ დიალოგში შედიხარ, პარტნიორი გპასუხობს, შენ ფიქრობ, მერე შენ პასუხობ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. აქ კი მე მარტო ვიყავი... როგორი გამოვიდა, თქვენ უნდა განსაჯოთ. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ბედნიერი ვარ."

გუშინ მარჯანიშვილის თეატრის დარბაზი სავსე იყო; სავსე იყო გუშინწინაც - პირველ პრემიერაზე.



სპექტაკლის შემდეგ - ქეთი დოლიძე და გურანდა გაბუნია

თუმცა მსახიობისთვის მაყურებლის რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს: "ზოგი იმასაც ამბობს, მონოსპექტაკლს ბევრი მაყურებელი არ ეყოლებაო. ვინც ივლის, ივლის, სამი კაცისთვისაც კი სიხარულით ვითამაშებ. აკაკი ვასაძემ თქვა ერთხელ: თეატრიდან რომ გამიშვებენ, ჩემი სახლის წინ პატარა ნოხს დავიგებ, დავდგები და იქ გავაკეთებ ყველაფერს, რაც შემიძლიაო. ეს არის მსახიობობა."

თეატრალების ცნობილი პროგნოზი - მეორე პრემიერა შედარებით სუსტი გამოდისო, ამ შემთხვევაში არ გამართლდა. გუშინ, ისევე როგორც გუშინწინ, გურანდა გაბუნიამ შესანიშნავი იმპროვიზაცია შემოგვთავაზა და ბოლომდე დაიხარჯა სცენაზე. ქეთი დოლიძის თქმით, "სპექტაკლში, რომელიც 16 მარტს შედგა, ზუსტად განხორციელდა რეჟისორისა და მსახიობის ჩანაფიქრი."

მაყურებელი ემოციებით დატვირთული ტოვებდა დარბაზს. თეატრიდან რომ გამოვედი, კედელზე გაკრულ აფიშას შევავლე თვალი – Bravo, - მიეწერა ვიღაცას.

მორიგი სპექტაკლი 23 მარტისთვის არის დანიშნული.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:

დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:

საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

## შირერს ნაკრებში დაბრუნების შანსი გაუჩნდა

ინგლისის "ნიუკასლის" თავდამსხმელმა, ალან შირერმა განაცხადა, რომ ეროვნული ნაკრების მაისურით თამაში მოენატრა. "ვგრძნობ, შემიძლია, ჩემი ქვეყნის ნაკრების ღირსება მაღალ დონეზე დავიცვა. ასე რომ, სანაკრებო კარიერის დასრულებაზე ფიქრი ნაადრევად მეჩვენება. ეროვნულ ნაკრებში მრავალი ძვირფასი დღე მაქვს გატარებული და ძალიან მინდა, ეს დღეები დაბრუნდეს", - უთხრა ჟურნალისტებს შირერმა. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ბოლო დროს მისი და ნაკრების მთავარი მწვრთნელის, სვენ გორან ერიქსონის გზები ბევრჯერ გადაიკვეთა, მაგრამ ნაკრებში მის დაბრუნებასთან დაკავშირებით შვედს სიტყვაც არ დასცდენია. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ერიქსონი დაესწრო გასული კვირის ჩემპიონთა ლიგის მატჩს "ნიუკასლისა" და "ინტერის" მონაწილეობით, რომელშიც შირერმა ორი გოლი გაიტანა და ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ამიტომაც, გამორიცხული არ არის, შირერი მოხვდეს იმ ფეხბურთელთა სიაში, რომლებსაც ერიქსონი ევრო-2004-ის შესარჩევი ციკლისთვის გამოიძახებს. ამ ფეხბურთელებს მწვრთნელი მომავალ უქმეებზე დაასახელებს.

## დიუფი პატიებას ითხოვს

"ლივერპულის" ფორვარდმა საჯაროდ სთხოვა პატიება "სელტიკის" ფანს, დომინიკ სკიავლონეს, რომელსაც UEFA-ს თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩის დროს შეაფურთხა. ამ ფაქტს თვალს ადევნებდა 5-მილიონიანი ტელეაუდიტორია. დიუფს, რომელსაც "ლივერპულთან" 10 მილიონი გირვანქა სტერლინგის ღირებულების კონტრაქტი აკავშირებს, კლუბმა 2 კვირის ხელფასი დაუქვითა. მას, აგრეთვე, ელის საჯარიმო სანქციები UEFA-დან. თავად სენეგალის ნაკრების თავდამსხმელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა საზოგადოებას უჩვენოს, რომ თავადაც განიცდის მომხდარს და ცდილობს, მოინანიოს. მან აგრესიის ობიექტი, მეგობართან ერთად, დაპატიჟა ლივერპულში, სადაც მომავალ ოთხშაბათს "ენფილდის" სტადიონის VIP ლოჟიდან დატკბება "ლივერპულისა" და "სელტიკის" განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი ყურებით. ამავე ლოჟაში მას ბოდიშს მოუხდის დიუფი, აქვე მიიღებს საჩუქარს - "ლივერპულის" მაისურას გუნდის ყველა წევრის ავტოგრაფით. "ეს კლუბისა და ფეხბურთელის მხრიდან არაჩვეულებრივი ჟესტია. მე მათზე ნაწყენი აღარ ვარ და ინტერესით ველი განმეორებით მატჩს", - განუცხადა თინეიჯერმა გულშემატკივარმა ინგლისურ მედიას.

## ნედვედმა პროფკავშირი დატოვა

"იუვენტუსის" ნახევარმცველმა, ჩეხმა პაველ ნედვედმა, არაევროკავშირელ ფეხბურთელებზე დაწესებული შეზღუდვების მიმართ პროტესტის ნიშნად განცხადება გააკეთა იტალიის ფეხბურთელთა პროფესიული კავშირის დატოვების თაობაზე.

ამ ცოტა ხნის წინ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც მომავალი სეზონიდან სერია A-ში არაევროკავშირელი ფეხბურთელების რიცხვის "გაყინვას" გეგმავს. ეს იმას ნიშნავს, რომ იტალიაში მოთამაშე არაევროკავშირელები კი ინარჩუნებენ აპენინებზე თამაშის უფლებას, მაგრამ ახალწვეულის მისაყვანად კლუბს რომელიმე "ძველ" არაევროკავშირელთან განშორება მოუწევს.

"კავშირს გავუგზავნე წერილი, რომელშიც ჩემს პოზიციას ვაფიქსირებ. ვთვლი, რომ უფლება არა მაქვს, ვიყო კავშირის წევრი და მხარი დავუჭირო დისკრიმინაციას. ამ გადაწყვეტილების შემდეგ იტალიის ფეხბურთელთა ასოციაცია იტალიელ ფეხბურთელთა ასოციაციად გადაკეთდა. კავშირის ოფიციალური ჟურნალის ფურცლებზე ისიც კი წერია, რომ უცხოელებმა იტალიური ფეხბურთი გაალარიბეს. მაშინ რა აზრი აქვს საწევრო გადასახადების გადახდას?" – განუცხადა ჩეხმა ფეხბურთელმა "Gazzetta dello sport"-ს. ნედვედის თქმით, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება ანაქრონულია თუნდაც იმის გამო, რომ თავად ევროკავშირი დღითი დღე ფართოვდება და ახალ ქვეყნებს იმატებს.

## ცხვირწინ ართმეული რეკორდი

გუშინდელ ნომერში დაწვრილებით განვიხილეთ ყველა ის რეკორდი, რაც კი მიუნხენის "ბაიერნს" შეეძლო დაემყარებინა ბუნდესლიგის დარჩენილ ტურებში. შაბათს, საღამოს, ბავარიელებმა ამ შესაძლებლობებიდან ერთი უკვე დაკარგეს.

"ბაიერნი" "ბოხუმს" ესტუმრა და მასპინძლებს იოლად, უპრობლემოდ გაუტანა ოთხი გოლი. პეტერ ნოიურერის "ბოხუმმა" სეზონი რიხიანად დაიწყო, მაგრამ შემდეგ დენთი აღარ ეყო. ბოლო ხუთი თამაშიდან ბოხუმელებმა მხოლოდ ერთი ქულა აიღეს და ნელ-ნელა ქვევით დაეშვნენ. "ბაიერნთან" "ბოხუმი" სრულიად უმწეო იყო. თვით მიუნხენელთა ფრანგმა მცველმა, ვილი სანიოლმაც კი შეძლო, მიმდინარე სეზონში თავისი პირველი გოლი გაეტანა.

მოკლედ, "ბაიერნმა" მასპინძლები ძალიან დაჩაგრა, მაგრამ მორიგი რეკორდი მაინც ვერ დაამყარა. 90-ე წუთზე, როცა მატჩის დასრულებამდე აღარაფერი რჩებოდა, ბოხუმელმა კრისტიანსენმა თავისუფალი დარტყმა შეასრულა და ოლივერ კანმა გოლი გაუშვა. ეს შეცდომა რომ არა, კანი კიდევ ერთ რეკორდს დაამყარებდა - გახდებოდა მეკარე, რომელსაც ზედიზედ ექვსი მატჩის განმავლობაში გოლი არ ჰქონდა გაშვებული. ამის მიუხედავად, კანი მთლად გულნატკენი მაინც არ დარჩენილა, რადგან კრისტიანსენის დარტყმამდე მას 536 წუთი ჰქონდა მოედანზე უგოლოდ გატარებული. ესეც სარეკორდო მაჩვენებელია.

## უბნერს ინგლისში იწვევენ

"პიაჩენცას" საუკეთესო ფორვარდი, დარიო უბნერი, გასულ სეზონში სერია A-ს ყველაზე შედეგიან ბომბარდირთა შორის იყო. ამის მიუხედავად, "პიაჩენცა" ძლივს გადაურჩა უმაღლესი ლიგიდან გავარდნას.

წლეულს "პიაჩენცას", ალბათ, უკვე ვეღარაფერი უშველის და სეზონის ბოლოს სერია B-ში ამოყოფს თავს. უბნერს ჯერ თითქოს არ უნდოდა თავისი გუნდის დატოვება და აცხადებდა, რომ სხვაგან არ წავიდოდა, მაგრამ როცა ინგლისურმა "მიდლსბრომ" სერიოზულად დააპირა მისი შეძენა, ფეხბურთელმა აზრი შეიცვალა.

უბენრისთვის პრემიერლიგაში გადასვლა არცთუ ურიგო პერსპექტივაა, რადგან ის უკვე 36 წლისაა და ასაკის გამო ჯოვანი ტრაპატონი მას ნაკრებში ნამდვილად არ აიყვანს, სერია B-ში თამაშს კი პრემიერლიგური გამოცდილების მიღება ნამდვილად ჯობს.

## კუდიჩინის შემცვლელის ძებნაში

ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ნამდვილად დიდი ცდუნებაა, "მანჩესტერ იუნაიტედში" თამაში. ყველას, ვარსკვლავი იქნება ის თუ დამწყები ფეხბურთელი, ინგლისური გრანდი თანაბარი ძალით იზიდავს. იტალიელი მეკარე კარლო კუდიჩინი დიდხანს იყო ლონდონის "ჩელსის" ერთგული, სანამ მისი კანდიდატურით "მან იუს" ხელმძღვანელობა დაინტერესდებოდა...

სერ ალექს ფერგიუსონს კუდიჩინი ფრანგი ფაბიენ ბარტეზის შემცვლელად ესახება და მის შეძენას აპირებს. "ჩელსის" თავკაცს, კლაუდიო რანიერისაც, სხვა რა გზა აქვს - უკვე დაიწყო იმ მეკარის ძებნა, რომელიც კუდიჩინის ადგილს დაიკავებს.

რანიერიმ არც ახლა უღალატა ტრადიციას და თავისთვის სასურველი ფეხბურთელის ძებნა სერია A-ში დაიწყო. გამოცდილმა სპეციალისტმა თავისი ყურადღება შეაჩერა "უდინეზეს" კარის დარაჯზე, 26 წლის მორგან დე სანქტისზე, რომელიც ორივე რომაულ კლუბს - "რომასაც" და "ლაციოსაც" ძალიან მოსდით თვალში.

## ვიერის დასაცავად

ალბათ, გახსოვთ, რა აჟიოტაჟი გამოიწვია ჩემპიონთა ლიგის ბოლოსწინა მატჩში, "ინტერისა" და "ნიუკასლის" შეხვედრაში, კრისტიან ვიერისა და კონგოელი ლუალუას შეკამათებამ. მაშინ ევროპის თითქმის ყველა გაზეთი ამ ინციდენტზე წერდა. ჟურნალისტები ამტკიცებდნენ, ვიერიმ ლუალუას მაიმუნი უწოდაო.

თავად დაზარალებულმა მხოლოდ ახლა ამოიღო ხმა და განაცხადა, მსგავსი არაფერი მომხდარაო. "ვწუხვარ, რომ პრესაში არასწორი ინფორმაცია გავრცელდა. ვიერის ჩემთვის მაიმუნი ნამდვილად არ უწოდებია. არც კი ვიცი, საიდან მოიტანეს ჟურნალისტებმა ასეთი რამ. ჟურნალისტებს, ალბათ, სენსაცია სჭირდებოდათ და ჩვენი წაკამათებაც ამიტომ აქციეს რასისტულ კონფლიქტად", - განაცხადა კონგოელმა ფეხბურთელმა.

## ედილსონი ბრაზილიაში ბრუნდება

იაპონიის J-ლიგის კლუბმა, "კაშივა რეისოლმა", თავისი რიგებიდან დაითხოვა ბრაზილიელი ფეხბურთელი ედილსონი. ამ თავდამსხმელსა და იაპონურ კლუბს შორის კონტრაქტი ორი თვის წინ უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ედილსონი დღემდე არ ჩასულა ამომავალი მზის ქვეყანაში და, შესაბამისად, კონტრაქტიც არ გაფორმებულა. "კაშივა რეისოლის" ხელმძღვანელობის მოთმინების ფიალა მას შემდეგ აივსო, რაც ბრაზილიელმა თავისი გუნდი "ნაბისკოს" თასის გათამაშებაში დაალალატა და "ვეგალტა სენდაისთან" მატჩზე არ გამოცხადდა.

"კაშივამ" ედილსონი ბრაზილიური "კრუზეიროსგან" იჯარით დაიქირავა. მაშინ იაპონურ კლუბს სათავეში ედგა ინგლისელი სტივ პერიმენი. ედილსონმა წარმატებით იასპარეზა და სწორედ მისი 7 გოლის წყალობით "კაშივამ" უმაღლეს დივიზიონში ასპარეზობის უფლება შეინარჩუნა. ამის შემდეგ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ინგლისელის ნაცვლად ედილსონის თანამემამულე, მარკუ აურელიუ მიიწვიეს, რომელმაც კლუბის ხელმძღვანელობასა და ფეხბურთელს შორის წარმოშობილ კონფლიქტში თავისიანი არ გაამართლა და მასთან კონტრაქტის გაწყვეტაზე თანხმობა განაცხადა.

სავარაუდოა, რომ ედილსონი ბრაზილიაში, კერძოდ, "ფლამენგოში" გააგრძელებს კარიერას.

# გიორგი ნემსაძე: "გამარჯვების იმედი რომ არ მქონდეს, თბილისში არც ჩამოვიდოდი"

მიხეილ აბაიშვილი

*საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა "ძველი გვარდია" გაიხსენა და ნაკრების გადამწყვეტი თამაშებისთვის იმ ლეგიონერების მოწვევას აპირებს, რომელთა მხრებზეც გადაიარა ოთხმა შესარჩევმა ციკლმა. მათ შორისაა საქართველოს ნაკრების ექს-კაპიტანი, შოტლანდიის "დანდის" ნახევარმცველი, გიორგი ნემსაძე, რომელსაც "24 საათი" გუშინ ტელეფონით დაუკავშირდა.*




*გიორგი ნემსაძე*

**- გიორგი, ეროვნულ ნაკრებს კვლავ დასჭირდა შენი სამსახური. მოწვევა უკვე მიიღე?**

- არა, მოწვევა ჯერ არ მომსვლია, თუმცა, ვიცი, რომ ბატონმა საშამ გამოსაძახებელ ლეგიონერთა სიაში შემიყვანა. ამის გამო ძალიან გახარებული ვარ. გაათკეცებული მონდომებით და ენერგიით ვემზადები. ცოტა არ იყოს, ვღელავ კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ ნაკრების ვეტერანად შეიძლება ჩავითვალო, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს, სადებიუტო მატჩი უნდა ვითამაშო. ერთი სიტყვით, ბედნიერი ვარ, რომ ისევ მომიწევს საქართველოს ნაკრების ღირსების დაცვა.

**- გაკმაყოფილებს თუ არა შენი სპორტული ფორმა?**

- არა მიშავს, თუმცა, თვითკმაყოფილება არ მჩვევია, რადგან ასეთი რამ ფეხბურთელს ცუდ სამსახურს უწევს. მხოლოდ ის შემიძლია გითხრა, რომ ადგილობრივი პრესა ჩემს თამაშს დადებითად აფასებს. ბოლო სამი დღეა, გაციებული ვარ, რის გამოც "აბერდინთან" მატჩი გამოვტოვე, თუმცა, სერიოზული არაფერია და ხვალ გუნდთან ერთად ვივარჯიშებ.

**- ნაკრებში ასევე გამოძახებულია შენი თანაგუნდელი ზურაბ ხიზანიშვილი. მასზე რას იტყვი?**

- ზურას ტრავმამ ძალიან შეუშალა ხელი, თუმცა, ის დღეები წარსულს ჩაბარდა და დღეს იგი "დანდის" შეუცვლელი მოთამაშეა. ხიზანიშვილი ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია და არ განსხვავდება იმ ხიზანიშვილისგან, რომელიც ტრავმამდე გვახსოვს. ამაში თავად დარწმუნდებით, თუ მას შვეიცარიასთან თამაშის საშუალება მიეცემა. თუმცა, წითელი ბარათით დისკვალიფიკაციის გამო მას ირლანდიასთან თამაშის უფლება არა აქვს.

**- საქართველოს ნაკრებს, ერთიმეორის მიყოლებით, ერთ თვეში სამი შესარჩევი მატჩი უწევს. ჩვენმა პირველმა მეტოქემ, ირლანდიის ნაკრებმა, გლაზგოში ამხანაგური მატჩი გამართა შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან და გაიმარჯვა - 2:0. როგორი შთაბეჭდილება დატოვა შენზე ამ გუნდმა?**

- ირლანდიელებმა ძალიან კარგად ითამაშეს. შემიძლია ვთქვა, რომ კარგად დაბალანსებული გუნდია, რომელიც ძალიან მჭიდროდ თამაშობს დაცვაში, მოძრავი, მობილური ნახევარდაცვის ხაზი და უმაღლესი კლასის თავდამსხმელები ჰყავს. იმ შეხვედრაში ირლანდიას ტრავმის გამო სამი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა. ისინი უკვე მომჯობინდნენ და გუნდს კიდევ უფრო გააძლიერებენ. ირლანდიის ნაკრები დიდი გუნდია. მას მიმდინარე შესარჩევ ციკლში არ გაუმართლა და ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო. ამან ირლანდიელები უფსკრულის პირას დააყენა. ერთი წაფორხილებაც და, ფინალურ ეტაპზე გასვლის ყველა შანსს დაკარგავენ. თუმცა, ჩვენც ანალოგიურ ვითარებაში ვართ. შექმნილი სიტუაცია იმას მიანიშნებს, რომ ირლანდიელებთან ფეხბურთი კი არა, დაუნდობელი ომი გველის.

**- როგორ შეაფასებდი ირლანდიისა და საქართველოს ნაკრების შანსებს?**

- თუ შეიძლება, ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებ. შანსების შეფასება და პროგნოზის გაკეთება ფეხბურთელის საქმე არ არის. ჩემი საქმე მოედანზე მაქვს გასაკეთებელი. მხოლოდ ერთს ვიტყვი: გამარჯვების იმედი რომ არ მქონდეს, თბილისში არც ჩამოვიდოდი.

**- რას უნდა ველოდეთ მომდევნო სამ თამაშში?**

- მჯერა, რომ სამივე მატჩის მოგება შეგვიძლია. თუმცა, თითოეული თამაშის შედეგი ბევრ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული. ნუ დაგავიწყდება, რომ ირლანდიაც, შვეიცარიაც და რუსეთიც საგზურისთვის ბრძოლაში რეალური კონკურენტები არიან. ამიტომ მათთან შეხვედრაში ფსონზე 3 კი არა, 6 ქულა იდება. პრინციპში, 9 თუ არა, 7 ქულაც დამაკმაყოფილებელი შედეგი იქნებოდა.

# ფიგუ სკოლარის დაუპირისპირდა და ნაკრებიდან წასვლით იმუქრება

პორტუგალიის ეროვნული ნაკრების ბრაზილიელ მწვრთნელს, ლუის ფელიპე სკოლარის და გუნდის ლიდერის, ლუიშ ფიგუს შორის საკმაოდ მწვავე კონფლიქტი წარმოიქმნა. საქმე ეხება სკოლარის სურვილს, ბრაზილიელი ფეხბურთელი პორტუგალიის ნაკრებში მიიწვიოს. დაპირისპირება, რომელთან დაკავშირებით პარასკევს თავად პელემაც კი გამოთქვა თავისი აზრი, დაიწყო ოთხშაბათს, როდესაც ლუიშ ფიგუმ საჯაროდ განაცხადა, რომ ის პორტუგალიის ნაკრებში უცხოელი ფეხბურთელების მიწვევას ეწინააღმდეგება. "შესაძლოა პორტუგალიაში კიდევ ბევრის სწავლაა საჭირო, მაგრამ ტალანტების ნაკლებობას ჩვენი ქვეყანა ნამდვილად არ განიცდის", - თქვა ფიგუმ პორტუგალიურ გაზეთ "O Jogo"-სთან საუბარში. მადრიდის "რეალის" ნახევარმცველი მიიჩნევს, რომ ნაკრებში უცხოელი ფეხბურთელების მიწვევა პორტუგალიელი ტალანტების განვითარებას ხელს შეუშლის.

"თუ კაცი პატრიოტია, მას საკუთარი სამშობლოს ნაკრებში ენდომება თამაში და არა უცხო ქვეყნის სახელით", - ამბობს ფიგუ. ეს სიტყვები კი "პორტოს" ბრაზილიელ გამთამაშებელს, ანდერსონ ლუის დე სოუზას, იგივე "დეკოს" ეხება. დეკოს პორტუგალიის მოქალაქეობა აქვს მიღებული და ლუის ფელიპე სკოლარის სწორედ მისი მიწვევა სურს.




*ლუიშ ფიგუ*




*ლუიშ ფელიპე სკოლარი*

ლუიშ ფიგუს განცხადებებს გამოეხმაურა თავად სკოლარი. ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, რომელიც თავისი დისციპლინითა და სიმკაცრით არის ცნობილი, აცხადებს, რომ ნებისმიერ ფეხბურთელს, რომელიც მის გადაწყვეტილებებს არ იზიარებს, ერთადერთი არჩევანი აქვს – დატოვოს გუნდი. "არავის რჩევა არ მჭირდება", - ამბობს სკოლარი და კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რაც უკვე ყველასთვის ცნობილია: ვარსკვლავების მას არ ერიდება. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის პოსტზე მუშაობისას, სკოლარიმ უდისციპლინობის გამო გუნდიდან მოკვეთა მილიონობით გულშემატკივართა კერპი, რომარიო.

პორტუგალიური პრესა ამტკიცებს, რომ ნაკრებიდან ფიგუს წასვლა სრულიადაც არ არის გამორიცხული, პირიქით, ვარაუდობენ, რომ გუნდში დეკოს მისვლის შემთხვევაში ფიგუ, მართლაც, უარს განაცხადებს პორტუგალიის ნაკრებში თამაშზე.

სკოლარის აზრს იზიარებს ფეხბურთის მეფე პელე, რომელმაც რადიოსადგურ TSF-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ დეკოს სრული უფლება აქვს, ითამაშოს პორტუგალიის ნაკრებში. "თუ დეკო გუნდის მოთხოვნებს აკმაყოფილებს და პორტუგალიის მოქალაქეობა ამ ქვეყნისადმი სიყვარულის გამო მიიღო, რატომ არ უნდა ითამაშოს ნაკრებში?" – კითხულობს პელე.

დეკო პორტუგალიაში 1997 წლის შემდეგ ცხოვრობს. ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ 29 მარტს დანიშნულ ამხანაგურ მატჩში კი, შესაძლოა, თავისი დებიუტი იზეიმოს პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობაში. ერთი რამ ცხადია: სკოლარი თავის აზრს არასოდეს შეიცვლის. საინტერესოა, რას იზამს ფიგუ, მართლა მიატოვებს პორტუგალიის ნაკრებს?

# კანი ოჯახურ უსიამოვნებებს თავს ვერ აღწევს

## სიმონე კანს ახალი ცხოვრების დაწყება სურს

ნინო პირველი

თითქოს, დროებით შეწყდა ის აჟიოტაჟი, რაც მიუნხენის "ბაიერნის" მეკარის, ოლივერ კანის ირგვლივ იყო შექმნილი, მაგრამ, როგორც გაირკვა, ვულკანი მხოლოდ ცოტა ხნით ყოფილა ჩამცხრალი და ხელახალი აფეთქებისთვის ძალებს იკრეფდა. აქამდე ყველას ეგონა, რომ ეს ოჯახური სკანდალი მხოლოდ და მხოლოდ ოლივერ კანის მოსაგვარებელი იყო - ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც "ოლი" გადაწყვეტდა: თუ მოისურვებდა, ოჯახში დარჩებოდა, თუ არადა და, თავის ახალგაზრდა საყვარელს მიაშურებდა, მაგრამ... მაგრამ უეცრად ასპარეზზე გამოვიდა სიმონე კანი და, ყველასთვის მოულოდნელად, ოჯახური დრამის მთავარ ღერძად იქცა.

სიმონე თხუთმეტი წლისა იყო, როცა ჩვიდმეტი წლის ოლივერ კანს დაუახლოვდა. მას შემდეგ ის "ოლის" ცხოვრების თანამგზავრია. სიმონემ და "ოლიმ" იქორწინეს მხოლოდ 1999 წელს, როცა კანი უკვე მსოფლიოში სახელგანთქმული მეკარე იყო. ამ დაგვიანებულმა ქორწინებამ სამ წელიწადსაც კი ვერ გაუძლო. 2001 წლის შემოდგომაზე კანს უკვე სხვა ქალთან ჰქონდა რომანი. 22 წლის იოვონე სერიოზულად იყო შეყვარებული "ბაიერნის" მეკარეზე. ამ ურთიერთობის ამბავი სიმონემაც კარგად იცოდა. ეს იყო პირველი ტკივილი, რომელიც "ოლიმ" თავის ერთგულ მეგობარს მიაყენა. ამ დროიდან მოყოლებული, სიმონე მუდამ დაბნეული და დამფრთხალი ჩანდა, ისე საცოდავად გამოიყურებოდა, დიდი ფსიქოლოგობა არ სჭირდებოდა იმის მიხვედრას, რომ ფრაუ კანს საკუთარი თავისადმი რწმენა და ხასიათის სიმტკიცე აკლდა და მთლიანად "ზეკაცად" მიჩნეულ ოლივერ კანზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც ყველას ეგონა, რომ სუსტი ნებისყოფის სიმონე მეუღლეს ადვილად აპატიებდა მორიგ ღალატს და ყველაფერი ისევ ძველებურად იქნებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, სიმონეს მობეზრდა მოღალატე "ოლისთვის" ცოდვების შენდობა და გადაწყვიტა, ცხოვრება თავიდან დაიწყოს.

წინააღმდეგობები სიმონეს მხრიდან სამშობიაროდან გამოსვლისთანავე დაიწყო. სანამ სიმონე და პატარა დავიდი საავადმყოფოში იყვნენ, "ოლი" ყოველდღე მიდიოდა მათ სანახავად და საათობით იჯდა სიმონეს ოთახში. ბოროტი ხმები იმასაც ამბობდნენ, "ოლი" ხშირად ტიროდა და მეუღლეს პატიებას სთხოვდაო. შინ დაბრუნების შემდეგ კი ყველაფერი შეიცვალა. სიმონე სამშობიაროდან მარტო გამოვიდა - კანის თანხლება არ ისურვა. ფრაუ კანმა ყველაფერი გააკეთა კონფლიქტის გასაღრმავებლად. "ბაიერნის" ბოსებმა მოინდომეს, სიმონესა და "ოლის" ფოტო გადაეღოთ პატარა დავიდთან ერთად, მაგრამ კანის მეუღლემ ამაზე უარი თქვა. როგორც კანების ოჯახის ფოტოგრაფი აცხადებს, სიმონე ბავშვთან ერთად მაშინ გადაიღებს სურათს, როცა ფორმაში ჩადგება და კვლავ მომხიბვლელი გახდება, ამ სურათში კი ოლივერ კანისთვის ადგილი ნამდვილად არ იქნება...

"ოლის" და სიმონეს მშობლები იმედოვნებდნენ, რომ დავიდის დაბადების შემდეგ ყველაფერი შეიცვლებოდა და მათი შვილები ისევ შერიგდებოდნენ, მაგრამ ახალგაზრდებმა მოხუცებს იმედი გაუცრუეს. კანის დედ-მამა კარლსრუეში დაბრუნდა და მიუნხენში აღარ ჩადის, სიმონეს მშობლები კი, პირიქით, მიუნხენში გადავიდნენ, რათა მძიმე სიტუაციაში მყოფ შვილთან ახლოს იყვნენ. გრიუნვალდის ვილაში აღარც კანი ჩნდება ხშირად. მისი ახალი "აუდი" მხოლოდ პირობითად დგას სახლის წინ, მაგრამ ამით უკვე ვეღარავინ ტყუვდება. ყველა დარწმუნებულია, რომ "ოლი" ღამეებს შინ არ ათევს. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ "ოლის" ახალი გატაცება, ველური "პარტ გერლი", ვერენა, უკვე დაბრუნდა ესპანეთიდან და თითქმის ყოველდღე ურეკავს კანს. ვერენა არავის ერიდება. პირიქით, აშკარად, ყველას დასანახად მიდის მიუნხენის რომელიმე კაფეში და იქიდან რეკავს კანთან, თან ისე ხმამაღლა და გამომწვევად ლაპარაკობს, რომ მისი საუბარი ლამის მთელ კაფეს ესმის. ამის წყალობით, მიუნხენში კაცი აღარ დარჩა, "ოლის" და ვერენას სამომავლო გეგმები რომ არ იცოდეს. უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ ვერენას და კანს ბინის ყიდვა აქვთ განზრახული და ერთად ცხოვრებას აპირებენ. ვერენა სიხარულით ჭკუაზე აღარ არის, მის ანკესს მოულოდნელად ასეთი ოქროს თევზი რომ მოჰყვა. ხუმრობა ხომ არ არის მსოფლიოს საუკეთესო მეკარესთან მეგობრობა!

ჯერჯერობით, საქმე იქით მიდის, რომ სიმონეს და "ოლის" ურთიერთობა განქორწინებით უნდა დასრულდეს. კანს საკმაოდ დიდი შემოსავალი აქვს - მისი ყოველწლიური გასამრჯელო 4,5 მილიონი ევროა. ამას ემატება რეკლამებიდან შემოსული თანხაც. აქამდე კანს, დაახლოებით, 20 მილიონი ევრო უნდა ჰონდეს დაგროვებული, რაც განქორწინების შემდეგ, ალბათ, საგრძნობლად შემცირდება...

რაგბი

# ლეონსიო დაბრუნდა

## ქართველები და ჩეხები სიახლეებით ხვდებიან ერთმანეთს

პაატა თოთაძე

*მართალია, თამაშზე საუბარი ჯერ ადრეა, მაგრამ... ჩეხებთან მატჩის წინ საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელმა, კლოდ სორელმა, ლევან ცაბაძე შეკრებაზე გამოიძახა.*

საქართველოს ნაკრები ევროპის ერთა თასზე თავის მომავალ მატჩს შაბათს, 22 მარტს გამართავს პრაღაში, ჩეხეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ. ბორჯღალოსანთა შემადგენლობა ჯერ არ დაზუსტებულა, მაგრამ პრაღის სტადიონზე, ძირითადად, ის მოთამაშეები გავლენ, რომლებმაც წინა კვირას კრასნოდარში რუსები დაამარცხეს. ქართველები ახლა საფრანგეთში არიან და იქ ემზადებიან მომავალი ორთაბრძოლისთვის. უმთავრესი ამბავი, რომელიც ჩვენი ნაკრების თავს ხდება, ის არის, რომ კლოდ სორელმა შეკრებაზე ლევან ცაბაძე გამოიძახა. ქართველი მორკინალი ერთი თვის წინათ დაშავდა – კუნთი გაუწყდა, რის გამოც ნაკრების მატჩები გამოტოვა. ამის გარდა, ცაბაძეს კიდევ ერთი პრობლემა შეექმნა - თიაქარმა შეაწუხა და რეალურად არსებობდა საშიშროება, ოპერაცია დასჭირვებოდა. საბოლოოდ ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ქართველი მორაგბეც საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში მისი გუნდის, "მონფერანის" განაცხადში მოხვდა. ის სორელმაც გამოიძახა შეკრებაზე, თუმცა, პრაღაში მისი თამაში სათუოა. გაურკვეველია, აგრეთვე, გია ჩხაიძისა და მამუკა გორგოძის ბედიც. შეკრებაზე, სავარაუდოდ, ორივე მათგანს მიიწვევენ. პრაღაში მათი თამაშის საკითხი კი სამ-ოთხ დღეში გაირკვევა. ჯერჯერობით, ბორჯღალოსანთა შემადგენლობა ასე გამოიყურება:



ლევან ცაბაძე

გოდერძი შველიძე, ავქსენტი გიორგაძე, ტარიელ რატიანიძე, მევლუდ მთიულიშვილი, ვიქტორ დიდებულიძე, ვანო ნადირაძე, ზურაბ მჭედლიშვილი, გრეგუარ იაშვილი, გია ლაბაძე, ილო ზედგენიძე, გია ჩხაიძე, დავით ბოლღაშვილი, მამუკა გორგოძე, დავით ხინჩაგიშვილი, ირაკლი აბუსერიძე, მერაბ კვირიკაშვილი, პალიკო ჯიმშელაძე, თედო ზიბზიბაძე, კახა ალანია, ირაკლი გუნდიშვლი, ირაკლი გიორგაძე, ბადრი ხეხელაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი.

სიახლეებით დახვდებიან ქართველებს ჩეხებიც. მართალია, ეს ცვლილებები ნაკრებს არ ეხება, მაგრამ ჩეხური რაგბისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შაბათს გაიმართა ქვეყნის რაგბის კავშირის ყრილობა, რომელზეც კავშირის ახალი პრეზიდენტი აირჩიეს. მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ჩეხურ რაგბის უხელმძღვანელებს 67 წლის ედუარდ კრუტცნერი, რომელიც ადრე ნაკრების მოთამაშე და მწვრთნელი იყო.

# მსოფლიო თასი ნელ-ნელა ივსება

*მსოფლიო თასზე მონაწილე 20 გუნდიდან ამჟამად მხოლოდ 18-ის ვინაობაა ცნობილი. დარჩენილი ორის გასარკვევად გუშინწინ პირველი ნაბიჯი გადაიდგა და, თამამად შეიძლება ითქვას, კიდევ ერთი, მეცხრამეტე მონაწილეც გახდა ცნობილი.*

ეს მეცხრამეტე რაგბის ქართველი გულშემატკივრისთვის კარგად ნაცნობი ტონგას ეროვნული გუნდია. პოლინეზიელებმა ორრაუნდიანი ბრძოლის პირველ მატჩში სამხრეთ კორეის ნაკრები გაანადგურეს მისსავე მოედანზე - 75:0. ოთხი წლის წინათ, ქართველთა დამარცხების შემდეგ, ტონგაელებს მსოფლიო თასზე საასპარეზოდ სწორედ კორეელთა წინააღმდეგობის დაძლევა მოუწიათ და მაშინაც მეტოქეს სასტიკად გაუსწორდნენ - ორი შეხვედრის ჯამში 140:41 დაამარცხეს. როგორც გუშინწინდელმა მატჩმა დაგვანახა, ტონგაელებსა და კორეელებს შორის სხვაობა კლასში კიდევ უფრო გაზრდილა. სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ კორეელებმა სამი წამყვანი მობურთალის გარეშე მოთამაშე ტონგასთან ქულაც კი ვერ მოიპოვეს. ამ წყვილში, ფაქტობრივად, ყველაფერი გადაწყვეტილია. განმეორებით მატჩს აზრი დაეკარგა და, ფორმალობა რომ არა, ალბათ, არც გაიმართებოდა.

რაც შეეხება ტურნირის მონაწილე ბოლო, მეოცე გუნდს, მისი ვინაობა ახლო მომავალში გაირკვევა აშშ-ისა და ესპანეთის ნაკრებების დუელში. ამერიკელთა წინააღმდეგ თამაშის უფლება ესპანელებმა გუშინწინ, ტუნისელთა დამარცხებით მოიპოვეს. ალბათ, გახსოვთ, თავის დროზე ესპანელები რუსებმა დაამარცხეს, მაგრამ ნაკრებში სამხრეთაფრიკელთა თამაშის გამო დაისაჯნენ და გუნდი ტურნირიდან მოკვეთეს. რუსეთის ადგილი ავტომატურად დაიკავა ესპანეთის ნაკრებმა და ავსტრალიაში საასპარეზოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. წესით, ესპანელებსა და ტუნისელებს ორრაუნდიან ბრძოლაში უნდა გაერკვიათ ურთიერთობა, მაგრამ რუსების თავს გადამხდარმა ამბავმა, შემდგომ კი სლავების აპელაციამ, დიდი დრო წაიღო და IRB-მაც გადაწყვიტა, მათ შორის მხოლოდ ერთი მატჩი გამართულიყო ნეიტრალურ მოედანზე. გუშინწინდელი შეხვედრა საფრანგეთში, კერძოდ, ვალენს დ`ეჟენში გაიმართა და ესპანელების გამარჯვებით დასრულდა - 33:16.

კიდევ ერთი საინტერესო ამბავი მსოფლიო თასთან დაკავშირებით ამ დღეებში გაავრცელა ბრიტანულმა "Daily Telegraph"-მა. გაზეთის ინფორმაციით, ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა წინადადებით მიმართა IRB-ს, რომ ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ქულათა დარიცხვის სისტემა შეიცვალოს. საორგანიზაციო კომიტეტის წევრების აზრით, თამაში უფრო საინტერესო და საამო საცქერი რომ გახდეს, გუნდებს ოთხი და მეტი ლელოს გატანისთვის დამატებითი ქულა უნდა დაერიცხოთ, ასევე დამატებით ქულას იმსახურებს გუნდი, რომელიც შეხვედრას 7 ქულაზე ნაკლები სხვაობით დათმობს.

ძიუდო

# პოლონური ბაზრის "ვერცხლი" და "ბრინჯაო"

*ვარშავის A კატეგორიის ტურნირზე გამგზავრებამდე საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა გვითხრა: ვარშავულ ტურნირს ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ეტაპად გამოვიყენებთ, ამიტომ ჩვენი ძირითადი საზრუნავი მედლებისთვის ბრძოლა კი არა, ნაკრების წევრებზე დასაკვირვებააო. თუმცა, იქვე პირობა დადო, უმედლოდ მაინც არ დავბრუნდებითო. ხაბარელმა პირობა შეასრულა.*

ბიბა ბურასაშვილი

პოლონეთის დედაქალაქში ჩასულმა 45 ქვეყნის 270 ძიუდოსტმა ვარშავის 41-ე საერთაშორისო ტურნირი დაასრულა. ასპარეზობები შაბათს დაიწყო, გუშინ, საღამოს კი შეჯიბრების მონაწილენი უკვე ბარგს ალაგებდნენ. ერთნი ხელცარიელნი გაემგზავრნენ შინ, მეორენი – მედლებით. ხელცარიელი არც საქართველოს ნაკრები დარჩენილა. "ვერცხლი" და "ბრინჯაო" – ასეთია ქართველთა ვარშავული მონაგარი. თუმცა, შეიძლებოდა უკეთესი შედეგიც გვქონოდა. მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ათენის ევროპის ჩემპიონატამდე ძირითადი ბირთვის ძიებაშია. ამიტომაც წინა, ანალოგიური ტურნირების მსგავსად, ხაბარელმა პოლონეთშიც ექსპერიმენტული შემადგენლობა წაიყვანა. ქართველმა ძიუდოისტებმა შვიდი წონითი კატეგორიიდან მხოლოდ ოთხში (66, 81, 100 და მძიმე) მოსინჯეს ძალები. პირველი დღე 60, 66, 73 და 81 კილოგრამ წონით კატეგორიებს დაეთმო, მაგრამ მწვრთნელის განსაკუთრებული ყურადღება 66 და 81 კილოგრამებისკენ იყო მიპყრობილი. პირველში ზეზვა ებელაშვილი გამოდიოდა, მეორეში კი - გრიგოლ მამრიკიშვილი და მინდია ბოდაველი. სამწუხაროდ, ვერც ერთმა ფინალისკენ გზა ვერ გაიკვლია. ებელაშვილმა მხოლოდ ორი მეტოქე დაამარცხა და ვარშავის ტატამი დროზე ადრე დატოვა. მამრიკიშვილმა პირველივე ორთაბრძოლა დათმო. ზემოხსენებული სამეულიდან კი ყველაზე უკეთ ბოდაველმა იასპარეზა. მართალია, პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა, მაგრამ ჩასათვლელი მეშვიდე ადგილი მაინც დაიკავა. მანამდე კი ბოდაველმა ორი მეტოქე დაამარცხა. მესამე დაპირისპირებაში მომავალ ფინალისტთან, ჰოლანდიელ ზიგი ტაბაჩზნიკთან ვერაფერი გააწყო. ჰოლანდიელთან მარცხის გამო ბოდაველმა მესამე ადგილისთვის ბრძოლა გააგრძელა, მაგრამ რეპეშაჟში ერთი ბრძოლის მოგების შემდეგ მას უკრაინის სახელით მოასპარეზე ილია ჩიფჩიურმა გადაუღობა გზა. ვერც ჩიფჩიურმა შეძლო მესამე ადგილისთვის ბრძოლის გაგრძელება. საბოლოოდ მან მეხუთე ადგილი დაიკავა.

გაცილებით საინტერესო აღმოჩნდა გუშინდელი დღე. 90, 100 და მძიმე წონით კატეგორიებში საქართველოს ნაკრები მხოლოდ ბოლო ორში იყო დაკომპლექტებული, თუმცა, ორ-ორი სპორტსმენით. 100 კგ-ში გიორგი გუგავა ბევრს ეცადა, მაგრამ მხოლოდ მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა. ერთადერთი ბრძოლა დათმო ივერი ჯიქურაულმა. წაგებული შეხვედრა კი ფინალური გახლდათ. უნგრელ ჩემპიონთან, ანტალ კოვაჩთან შესახვედრად ჯიქურაულმა ხუთი ბრძოლა ჩაატარა, მეექვსეში კი ძალა აღარ ეყო და ვერცხლის მედლით დაასრულა ასპარეზობა.

მძიმე წონაში კი ისე მოხდა, რომ ალექსი დავითაშვილი და რამაზ ჩოჩიშვილი მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთს გადაეყარნენ. გაიმარჯვა დავითაშვილმა, თუმცამ იმისთვის, რომ ბრინჯაოს დასაკუთრებოდამ კიდევ ერთხელ უნდა გასულიყო ტატამზე. მესამე ადგლისთვის დავითაშვილი და ესტონელი მარტინ პადარი წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ. დავითაშვილმა ბალტიისპირელს ბრინჯაოს მედალი არ დაანება. "ვერცხლი" და "ბრინჯაო" - ასეთია პოლონური მონაგარი.

მძლეოსნობა

# ამერიკელები ულიდეროდ ლიდერობენ

ბიბა ბურასაშვილი

*ბირმინგემის სადარბაზო მსოფლიო ჩემპიონატის მეორე დღეს შედეგების მხრივ ისეთი არაფერი მომხდარა, რომელიც რეკორდების წიგნში ადგილს დაიკავებდა. ასეთ შედეგებს ჩემპიონატის დასკვნით დღეს, 3000 მეტრზე რბენასა და ჭოკით ხტომაში მოელიან. მიუხედავად ამისა, ჩემპიონატის მეორე დღეს სენსაციის გარეშე არ ჩაუვლია. ყველაზე ხმაურიანი ქალ ჭოკით მხტომელთა კვალიფიკაცია გამოდგა.*

ორი დღის შემდეგ, მოპოვებული მედლების რაოდენობით, ამერიკელები ლიდერობენ. წინა დღით სპრინტერ ჯასტინ გატლინის მიერ საჩემპიონო ყულაბაში ჩაჩხრიალებული პირველი ოქროს მედალი იმდენად მაცდუნებელი აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელს დვაიტ ფილიპსმა და მიშელ კოლინზმაც აუბეს მხარი. თუმცა, "National Indoor Arena"-ზე თავშეყრილ 8 ათას ბირმინგემელ გულშემატკივარს მარტო ამერიკელთა წარმატებებისთვის როდი მიუდევნებია თვალყური. ჩემპიონობა მათმა თანამემამულეებმაც იზეიმეს. რა თქმა უნდა, მარაქაში სხვებიც გაერივნენ.

ამერიკელთაგან პირველი, ვინც ჩემპიონი გახდა, მიშელ კოლინზია. ქალთა შორის 200 მეტრზე რბენაში სადარბაზო ჩემპიონატების მესამე შედეგით გამორჩეულმა კოლინზმა ფინიშის ხაზი 22.18 წამში გადაკვეთა და თანაგუნდელ სიგრძეზე მხტომელს, დვაიტ ფილიპსს გადასცა ესტაფეტა. ფილიპსსაც საკმაო სტიმული ჰქონდა იმისთვის, რომ გატლინსა და კოლინზს გვერდში ამოსდგომოდა. სიგრძეზე მხტომელ ვაჟებს შორის ფილიპსმა 8 მეტრსა და 29 სანტიმეტრზე ისკუპა, რაც უახლოესი მდევრის, ესპანელ იაგო ლამელას შედეგზე ერთი სანტიმეტრით უკეთესია. ამერიკელის წარმატებას, გარკვეულწილად, იმანაც შეუწყო ხელი, რომ ბირმინგემში ტრავმის გამო ვერ ჩავიდა სადარბაზო მსოფლიო ჩემპიონატების ხუთგზის გამარჯვებული, კუბელი ივან პედროსო.



მარლონ დევონიშის საჩემპიონო პოზირება

რაც შეეხება ბრიტანელებს, ქალთა სამხტომში საუკეთესო გახლდათ აშია ჰანსენი, ხოლო ვაჟებში, 200 მეტრზე რბენაში, - მარლონ დევონიში. ჰანსენისა და დევონიშის წყალობით, ბრიტანელები, მოპოვებული მედლების რაოდენობით, მეორე საფეხურზე არიან.

საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა 3000 მეტრზე ქალთა ფინალური გარბენიც. სამგზის მსოფლიო ჩემპიონის, რუმინელი გაბრიელა საბოს არყოფნამ ამ დისციპლინას ერთგვარი ინტრიგა შესძინა. ბუნებრივია, საინტერესო იყო, ვინ ისარგებლებდა საბოს არყოფნით. ასეთი კი აღმოჩნდა ეთიოპიელი ბერან ადერი, რომელმაც მანძილი 8 წუთსა და 40,25 წამში გაირბინა. თუმცა, მისი გამარჯვება მთლად მოულოდნელიც არ ყოფილა - ეთიოპიელს ასპარეზობის დაწყებამდეც უწინასწარმეტყველებდნენ ჩემპიონობას. ამ დისციპლინაში ბრინჯაოს მედალიც ეთიოპიელისაა - მესერე დეფარი ჩემპიონ თანამემამულეს ორი წამით ჩამორჩა. მათ შორის ადგილი კი 5000 მეტრზე რბენაში ევროპის ჩემპიონმა, ესპანელმა მარტა დომინგესმა დაიკავა.

ჩემპიონები გამოვლინდნენ ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში, ჭოკით ხტომასა და 1500 მეტრზე რბენაშიც. ქალებში კი ასეთი ბირთვის კვრაშიც ჰყავთ.

რაც შეეხება რეკორდებს, ორი დღის ჯამში მსოფლიოს საუკეთესო შედეგები არ დაფიქსირებულა, მაგრამ 44 ეროვნული და სამი ჩემპიონატის რეკორდი კი იხილეს ბირმინგემელებმა. თუმცა, მსოფლიო რეკორდზე არანაკლებ ხმაურიანი გამოდგა ის, რომ ამერიკელი ჭოკით მხტომელი, სტეისი დრაგილა, ჩემპიონატის მიღმა დარჩა. მსოფლიო რეკორდის ავტორმა ფინალში ვერ გააღწია - მან მხოლოდ 4 მეტრი და 30 სანტიმეტრი დაძლია. არადა, ორიოდე კვირის წინ დრაგილამ, 4 მ. და 78 სმ-ის დაძლევით, მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ახლა კი 48 სმ-ით დაბლა გადებულ თამასასაც ვერ გადაევლო. ასე რომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ: სვეტლანა ფეოფანოვამ დროზე ადრე მოიპოვა ჩემპიონობა. რუსმა ფავორიტმა პირველივე მცდელობაზე დაძლია ჩასათვლელი სიმაღლე. დრაგილამ კი ფეოფანოვასთან დუელი მომავლისთვის გადადო.

"რა უნდა ვთქვა! ეს ჩემი ცხოვრების ერთი ყველაზე ცუდი დღე იყო", - მოკლედ მოჭრა ამერიკელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

ფორმულა 1

# დევიდ კულჰარდი: "შემომხედე, "შუმი", შენი პრობლემა მე ვარ!"



დევიდ კულჰარდი

ნინო პირველი

დუმილი ოქროაო, ხომ გაგიგონიათ. დუმილი თუ ოქროა, მაშინ ლაპარაკი ვერცხლი უნდა იყოს. "მაკლარენ-მერსედესის" შოტლანდიელი პილოტისთვის, 31 წლის დევიდ კულჰარდისთვის ლაპარაკი ექვსი წლის განმავლობაში რჩებოდა ვერცხლად. ფორუმლა 1-ის ყოველი სეზონის დაწყების წინ დევიდ კულჰარდი დაჟინებით ამტკიცებდა: "წლეულს მე ჩემპიონი გავხდები!" მისი ამ ქადილის მოსმენა უკვე აღარავის შეეძლო. ანდა, რა აზრი ჰქონდა – იქ, სადაც მიხაელ შუმახერი და "ფერარი" არსებობდნენ, კულჰარდი ხომ ვერასოდეს გახდებოდა ჩემპიონი. ასე ეგონა ყველას, ბოლო დროს თავად შოტლანდიელსაც. 2003 წლის სეზონის სტარტზე კულჰარდს აღარ უთქვამს თავისი ტრადიციული ფრაზა: "მე ჩემპიონი გავხდები". არავინ იცის, რატომ დაიწყო შოტლანდიელმა პილოტმა ახალი სეზონი ჩვეული ქადილის გარეშე. ალბათ, იმიტომ, რომ უკვე თვითონაც აღარ სჯეროდა გამარჯვების. ის ხომ მუდამ უიღბლო იყო - ფორმულა 1-ს ხომ მიხაელ შუმახერი ჰყავდა. ავსტრალიის დიდი პრიზის სტარტზე კულჰარდმა ლაპარაკს დუმილი ამჯობინა და ამჯერად დუმილი ოქრო აღმოჩნდა...

მელბურნის ტრასაზე სასწაული მოხდა და, ყველასთვის მოულოდნელად, ოქროს მედალი "ვერცხლის" კულჰარდმა მოიგო. ახლა ყველას ერთი რამ აინტერესებს: შეძლებს შოტლანდიელი პილოტი, მიხაელ შუმახერს მეექვსე ტიტული წაართვას? ექსპერტები ამბობენ, რომ კულჰარდს შესწევს ამის ძალა. "რა თქმა უნდა, კულჰარდს შეუძლია ჩემპიონის წოდების მოპოვება. ბოლო დროს ის ძალიან გაიზარდა, შესანიშნავ პროფესიონალად ჩამოყალიბდა. "მაკლარენ-მერსედესიც" კონკურენტუნარიანი გახდა. ამ საჯინიბოს იმაზე მეტი პოტენციალი აქვს, ვიდრე ჩვენ გვგონია", - ამბობს ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი დეიმონ ჰილი.

ახლა შუმახერი და "ფერარი" ისეთი პრობლემის წინაშე დგანან, რაც მათ სეზონის დაწყებამდე არც კი მოსვლიათ აზრად - ეს პრობლემა დევიდ კულჰარდია. ალბათ, იკითხავთ, რატომ უნდა იქცეს კულჰარდი "ფერარისთვის" გადაულახავ ბარიერადო. ახლავე მოგახსენებთ: პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ კულჰარდი ფსიქოლოგიურად შესანიშნავად გრძნობს თავს, შუმახერი და ბარიკელო კი, ცოტა არ იყოს, დათრგუნულები არიან. შოტლანდიელმა ისეთი რბოლა მოიგო, რომელშიც მის გამარჯვებას ვერავინ წარმოიდგენდა. ვინ იფიქრებდა, რომ ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო საერთოდ გამოეთიშებოდა "გრან-პრის" ბრძოლას, შუმახერი კი უაზრო შეცდომებს დაუშვებდა და მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდებოდა? ახალი სეზონის პირველ რბოლაში ხომ "ფერარის" ბოლიდი ყოველ წრეზე ერთი წამით უფრო სწრაფი იყო, ვიდრე "მაკლარენ-მერსედესის" გასული წლის გადაკეთებული მანქანა MP - 4/17D? ამის მიუხედავად, რბოლა სწორედ "მაკლარენ-მერსედესის" პილოტმა მოიგო...

მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ "ფერარის" და შუმახერს მაინცდამაინც არც მომდევნო რბოლის მოგების დიდი შანსი აქვთ. ის მომავალ კვირას მალაიზიაში შედგება. ამ ტრასაზე "ფერარის" მუდამ პრობლემები ექმნება ხოლმე. შარშან ეს რბოლა მოიგო რალფ შუმახერმა, რომელიც "BMW-უილიამს"-ს წარმოადგენდა და "მიშელინის" საბურავებით ასპარეზობდა. იტალიური გუნდის მეტოქეებს იმედი აქვთ, რომ "ფერარი" მალაიზიაში ვერც ამჯერად მიაღწევს წარმატებას. "ჩვენ "ფერარიზე" დიდი ზეწოლა უნდა მოვახდინოთ და ვაიძულოთ ისინი, შეცდომები დაუშვან", - გეგმა უკვე შემუშავებული აქვს დევიდ კულჰარდს. მუდამ კვარცხლბეკზე მდგომი "ფერარი" არც ერთი საჯინიბოს პილოტებს არ ეხატებათ გულზე. ახლა ყველანი თითქოს ერთი მიზნით გაერთიანდნენ: როგორმე აჯობენ ლუკა დი მონტეძემოლოს გუნდს. "ფერარის" მეტოქეებო, შეერთდით!" – ახალი სეზონის ყველა რბოლა, ალბათ, ამ ლოზუნგით ჩაივლის...

მესამე მიზეზი, რის გამოც "ფერარის" "მაკლარენ-მერსედესის" უნდა ეშინოდეს, ახალი, გაუმჯობესებული მანქანაა. სანამ "BMW- უილიამსი" აეროდინამიკას ხვეწს ("კიდევ რამდენიმე რბოლაა საჭირო, რომ ჩვენი მანქანა მწყობრში ჩადგეს და ის ადგილი დავიკავოთ, რომელიც გვეკუთვნის", - ამბობს რალფ შუმახერი), "მაკლარენ-მერსედესი" ისეთ ბოლიდს ამზადებს, რომელსაც ნამდვილად შეუძლია, უფროს "შუმის" პრობლემები შეუქმნას: ახალ MP - 4/18 პირველად ბარსელონაში გაიყვანენ ტრასაზე. დევიდ კულჰარდი ამ მანქანაზე დიდ იმედებს ამყარებს და იმედოვნებს, რომ "ფერარის" აუცილებლად დაამარცხებს. გერმანული "ბილდის" აზრით, დევიდ კულჰარდი ერთადერთი პილოტია, ვისაც მიხაელ შუმახერისთვის 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონის წოდების წართმევა შეუძლია - თუ კულჰარდი წლეულს ჩემპიონი ვერ გახდება, ამას სხვა ვერავინ შეძლებს, შოტლანდიელის გარდა, მიხაელ შუმახერი კი თავის მეექვსე ტიტულს იზეიმებს. თუ კულჰარდი ჩემპიონის გვირგვინს შესწვდება, მაშინ მას სხვა გვირგვინიც ელის: შოტლანდიელს გადაწყვეტილი აქვს, ტიტულის მოპოვების შემთხვევაში, თავისი ბრაზილიელი მეგობარი ქალი, სიმონა, ცოლად შეირთოს. ასე რომ, კულჰარდს ორმაგი მოტივაცია აქვს: სიყვარულიც აძლევს სტიმულს და პატივმოყვარეობაც. მოახერხებს მიხაელ შუმახერი მადაზე მოსული შოტლანდიელის შეჩერებას? "საკითხავი აი, ეს არის"...

ისტორიული ფოტო

# ეს იყო 35 წლის წინათ...



1968 წლის 16 აგვისტო, სან პაულუ, ბრაზილია. ფეხბურთის მეფე პელე.

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45 ამ მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 900-დან 2000-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

**ბალანსის**
შედგენა, აუდიტი-დასკვნა, დეკლარაციების შევსება.
**ფირმების რეგისტრაცია**
შ.პ.ს; კავშირი (არასამთავრობო), სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადება, აუდიტორული დასკვნის გაცემა საწესდებო კაპიტალზე.
1 საათში. მოგემსახურებით ადგილზე
მის: კოსტავას 76. (სააკაძის მოედანთან). ტ: 33 73 54; 899-57 73 15; 877-71 18 22





## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

**იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50**

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. ტელ: 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, გირაო

ქირავდება!
სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

## მანქანები

**იყიდება !**
ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$
ტელ: 899 16 28 68

## სწავლება

**ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559**

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12, 893 219442.

შევასწავლი იტალიურ ენას ინდივიდუალურად. ტელ: 899 297717.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. ტელ: 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

**იყიდება Sony Playstation, ორიგინალი (შექმნილია გერმანიაში). 2 ჯოისტიკით, 2 Memory Card-ით და 30 სათამაშო დისკით. შესანიშნავ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ: 877-400410**

**გინდ დაიჯერეთ გინდ არა!**
**მხოლოდ ჩვენი კომპანიის დახმარებით თქვენ გაგიჩნდათ რეალური შანსი. მიიღოთ მონაწილეობა, გრანდიოზულ, სოციალურ პროექტში, რომელიც მოქცემთ უფლებას უპროცენტო კრედიტის აღებაში. ცნობების მისაღებად დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:**
**53-14-72, 899 545809**
**სვეტლანა**

**იყიდება კომიუტერი Pentium I. ფასი 120$**
**ტელ: 30-56-90 ზურა.**

სილამაზის სალონი "ცია" გთავაზობთ მაღალკვალიფიციურ მომსახურებას, (სტილისტები, კოსმეტოლოგი, პედიკური, მანიკური) დ. აღმაშენებლის 146, ტელ: 95-66-82




**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**

იყიდება საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები, მოხრილობის, წელისა და ფეხის ასადგამი ქამრები, ბრტყელტერფიანებისთვის რუპინატორები და ორთოპედიური ბალიშები ტელ: 53-46-41

გვესაჭიროება პროფესიონალი სტილისტები. მის: ტაბიძის 15, ტელ: 877 782494.

დავასაქმებთ ავტობუსიან მძღოლებს ქალაქის მარშრუტებზე. ტელ: 29 10 82, 22 48 20

თქვენი კიბეების დიზაინი და მისი მოწყობა. ტელ: 22 06 22

# აფიშა

## თეატრები

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
გაბრიელ გარსია მარკესის "სიყვარულის სულთათანა", რეჟ. თემურ ჩხეიძე; მთავარ როლში სოფიკო ჭიაურელი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ვენეციელი ვაჭარი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 10 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"ედუარდო დე ფილიპოს ცილინდრი", რეჟ. გიორგი სავანელი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**უნივერსი**
გია გუგუშვილის (უმცროსი) ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
თემო გოცაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გამოფენა**
გალერეის ოქროს ფონდის გამოფენა

**ორიენტი**
"კოლექციიდან კოლექციამდე 3", წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ვალენტინ შერპილოვის, პეტერ ბლიტკინის და სხვათა ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან

## კინოთეატრები

**„ამირანი„**
"სიყვარულის ისტორია"
დას: 18:00; 20;00 ფასი 7,8 ლარი
"ზარი"
დას: 15:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„ელისო„**
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოატყუო ყველა"
დას: 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"სოლარისი"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

**„რუსთაველი„**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 17;00; 21:30; ფასი 5,7 ლარი
"სოლარისი"
დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი

**ფრანკოფონიის კვირეული**
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ალბერტ კამიუს საღამო (მხატვრული კითხვა, კონფერენცია, თარგმანების წარმოდგენა)
დას: 18:30 სთ

# TV პროგრამა 17 მარტი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.15 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
18.40 სერიალი „მედისონის სკოლა"
19.05 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"
20.05 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.05 მხ. ფილმი „კარგი გოგონა" მთ. რ-ში: ჯენიფერ ენისტონი
02.00 კლასიკა

## პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ბელფეგორი"
10.10 მხ. ფილმი „ცხოველური ბუნება"
11.40 „მოდა ყველასათვის"
12.00, 15.00, 20.00 „მოამბე"
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 დოკ. სერიალი „ნასკას გამოცანა"
15.15 მხ. ფილმი „ჩემი მტრის მტერი"
16.50 დოკ. სერიალი „ყველანი ორბიტაზე"
17.00 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.15 „რამპა"
17.20 50-50
18.00 „ვესტნიკი"
18.20 დოკ. სერიალი „ხელოვნების სცენარები"
18.30 ბასიტი-ბუზუ
18.50 „მრავალჟამიერ"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
20.55 მუს.პაუზა
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 დოკ. სერიალი „ყველაზე, ყველაზე საკვირველი"
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება?"
23.55 მხ. ფილმი „სიცოცხლე და სხვა არაფერი"

## პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით ქართული მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „როგორ გავახდეთ მოთამაშე" მთ. როლ-ში ბინ ბელანი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 უცხოური მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი კადრი
00.00 ფილმი ბრავო „შუაღამეს სიკეთის და ბოროტების ბაღში"
01.40 ფილმი ღამურა „მგელი"
03.45 პაუზის გარეშე

## მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
21.00 ჯანმრთელობა
21.30 დოკ. ფილმი
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „ჩრდილი ან იქნებ ყველაფერმა ჩაიაროს"

## იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 ალსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „შოუფ სმური „
10.20 მხ.ფ. „ბოტანიკური ბაღი „
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. „საზღვარი"
22.40 „ბურთი და მოედანი"
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „თამაში წესების გარეშე"
01.30 ღამის ფილმი

## ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 „ვარსკვლავები გვამცნობენ"
13.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
14.00 მხ. ფილმი „დრაკულა"
15.00, 21.00 ვესტი
15.30 ფილმის გაგრძელება
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 ექსტრაორდინალური
20.30 „გვარიშვილობა"
21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები
22.30 პირველი ნაბიჯები
23.00 მუსიკალური პაუზა
23.25 ინდური მხ. ფილმი

## მეცხრე არხი

09.35 მხ. ფილმი „ძნელად ნაშოვნი ფული"
11.20, 15.45, 17.25, 18.25, 21.55, 23.50 მუსიკა
11.25 მხ. ფილმი „თავისუფალი ქვეყანა"
11.45, 12.45, 17.50, 18.25, 21.55, 23.50 მუსიკა
13.00 დოკ. ფილმი „ფოტორობოტი" მე-4 ს.
13.45 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები". „გასაყიდები"
13.55 გადაცემა „ოსტატები" - მოდელიორი
14.15 „გელისიმო" - ურმული
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.45 „მსოფლიო ფეხბურთი"
15.15 მულტფილმი „კასპერი - მოჩვენებების შობა"
16.30 დოკ. სერიალი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" 1 ს.
18.00 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
18.40 მულტფილმი „ალექსი" 24-ე ს.
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება" 136-ე სერია
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ.ფილმი „ეშმაკის მსხვერპლი"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ.ფ. „უკანასკნელი ზარი"

## იმედი

17.00, 01.00 იმედის მელოდიები
17.56, 20.57 ახალი ამბების დაიჯესტი
18.00 სერიალი „ბოგონები ესპანეთის მოედნიდან"
19.00, 22.00, 00.50 ახალი ამბები
19.30, 21.00 სერიალი „განდიტური პეტერბურგი"
20.30 სპორტული პროგრამა „გოლი"
22.45 კინონოსტალგია „მშფოთვარე გული" (მერილ სტრიპი, სემ ნილი)

## აჭარა

19.00 საინფორმაციო გამოშვება
19.15, 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
19.30, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.45 დოკუმენტური ფილმი
20.15 მელოდრამა „ძმისწული"
22.00, 00.00 „დღეს"
22.50, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
22.55, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.00 „ალტერნატივა" საავტორო გადაცემა
01.00 კომედია „ბატონი შეცდომა"
03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
03.30 დრამა

## VII არხი

09.25 „აჩიკუდა"
09.45 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.25 სპორტი
10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა მელოდია
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 „ობიექტივი"-სტუმარი (განმეორებით)
12.50 კომპიუტერული ტექნიკა
13.40 დისნეი და მისი მეგობრები
14.00 კომპიუტერული თამაშები
14.15 მობილურები
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.35 კომპიუტერული ტექნიკა
20.20 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
20.55 კომპიუტერული თამაშები
21.10 „ლა-ლა-ლა"
22.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
22.25 „კინოკლუბი „ - „ელისაბედი" ისტორიული.
00.20 მობილურები
01.10 „ბიორითმი"

## ОРТ

13.00, 16.00, Новости
13.15 Что? Где? Когда?
14.40 „Смак" с Андреем Макаревичем
15.00 Павел Любимцев в программе „Путешествия натуралиста"
15.30 Документальный детектив. „Черный нал для талибов". Дело 2001 года
16.15 Дог-шоу
17.00 Живая природа. „Братья по крови"
18.00 „Большая стирка" с Андреем Малаховым
19.00 Вечерние новости
19.25 „Фабрика звезд-2"
20.00 Жди меня
21.00 „Кто хочет стать миллионером?" с Максимом Галкиным
22.00, 00.30 Время
22.40 „Последний герой-3"
23.45 Независимое расследование
00.55 „Фабрика звезд-2"
01.10 „На футболе" с Виктором Гусевым
01.40 „Новый день". „Формула власти". Королева Дании
02.10 „Апология"
03.10 Детективный сериал „Беглец"

## РТР

понедельник 06.45 - 08.45 Доброе утро, Россия!
09.45 телесериал „ЛЕДИ МЭР".
10.40 „КОБРА. АНТИТЕРРОР". Телесериал
11.40, 18.20,20.50 Вести. Дежурная часть.
12.00, 15.00,18.00,21.00 Вести.
12.20 „ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. ПОХИЩЕНИЕ КОРОЛЕВСКОГО РУБИНА" Телесериал
13.20 В „Городке".
13.30 Вести недели.
14.30,19.20 Вести - Москва. Неделя в городе.
15.20 „Что хочет женщина". Ток-шоу
16.10 Премьера. „ТРОЕ ПРОТИВ ВСЕХ-2".
17.10 Премьера. „Возвращение Нуриева". Док. фильм.
18.50 Дорожный патруль.
19.05,00.30 Вести - спорт.
19.50 „КОМИССАР РЕКС". Телесериал.
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Премьера Телесериал „ЛЕДИ МЭР".
23.00 Премьера. Телесериал „КОБРА. АНТИТЕРРОР". „КОМПЛЕКС ВИНЫ".
00.00 Ток-шоу „Вести +".
00.40 Последний сеанс. „ПРОРОК"
02.15 - 01.41 „Футбол России". Спортивная программа.

## НТВ

07.00 Утро на НТВ. 10.00 Сериал „СКОРАЯ ПОМОЩЬ-7"
11.00 Сегодня утром.
11.20 Погода на завтра.
11.25 НТВ представляет: „Истории охотника за крокодилами".
11.50 Вкусные истории.
12.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00. Сегодня.
12.05 Полина Дашкова в программе Павла Лобкова „Растительная жизнь".
12.35 Вы будете смеяться!
13.05 Боевик „УНИВЕРСАЛЬНЫЙ СОЛДАТ".
15.05 Томас Андерс. „Женский взгляд" Оксаны Пушкиной.
15.35 Детектив „ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО"
16.35 „Риск - благородное дело?" Ток-шоу „Принцип домино".
18.05 Сериал „ГАНГСТЕРСКИЕ ВОЙНЫ: БЕРЕГИСЬ КОМПАНЬОНА".
19.15 „Внимание: розыск!" „Украденное детство".
20.00 „Сегодня" с Татьяной Митковой.
20.40 Детективный сериал „ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ-2".
21.45 Сериал „БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ: АДВОКАТ".
23.00 „Страна и мир". Главные события дня.
23.40 Модный сериал „СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ"
00.20 Детективный сериал „ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ-2".
01.25 - 01.30 Гордон.

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "იმფოზავრის" ნებართვით*




# მწვანე წმინდანი, მწვანე სამყურა და მწვანე კულტურა



წმინდა პატრიკის დღესასწაულის მისალოცი ბარათი


ეშფორდის ციხე-სიმაგრე - გინესების ყოფილი სამფლობელო



თანამედროვე დუბლინი



ფესტივალის მონაწილე

პირველი გვერდიდან

შაბათს დუბლინში ფეიერვერკების ულამაზესი სანახაობა გაიმართა. ბუნებრივია, ჭარბობდა მწვანე მაშხალები – ეს ფერი ხომ არა მარტო წმინდა პატრიკთან, არამედ მთლიანად ირლანდიასთან ასოცირდება. მთელი კვირის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების სპონსორი "ბეილისი" გახლდათ – კიდევ ერთი ირლანდიური სახელწოდება, რომელიც მსოფლიოს პოპ-კულტურაში ღირსეულ ადგილს ფლობს.

დღეს კი ქვეყნის დიდ ქალაქებში მოძრაობა შეწყდება, დაიკეტება ოფისები, იმუშავებს მხოლოდ პაბები და მოეწყობა საჯარო აღლუმები. მთავარი მარში დეიმის, პატრიკის, უესტმორლენდისა და ო`კონელის ქუჩებს შორის შედგება. გაიმართება ქუჩის სპექტაკლები, მუსიკალურ ფონს კი, მეაღლუმეებს 17 ირლანდიური ფოლკ-ჯგუფი შეუქმნის. დიდ სამზადისში არიან რკინიგზაზეც – დუბლინსა და სხვა დიდ ქალაქებში დამატებით მატარებლებს დანიშნავენ, რათა ხაზები არ გადაიტვირთოს. როგორც ირლანდიური პოპკულტურის სიმბოლო, განსაკუთრებული ეროვნული სიამაყით შეისმება ლიტრობით "გინესი", ვისკი და ირლანდიური ყავაც. ერთი სიტყვით, ეს დღე ყველაფერ იმას მიეძღვნება, რასაც "მარკა" **Made in Ireland** "აწერია".

თუმცა, შესაძლოა, ბევრმა იკითხოს: რა შუაში ვართ ჩვენ, დანარჩენები, ანუ არაირლანდიელები. პასუხი ასეთი იქნება: დღეს "შუაში არიან" მხოლოდ რამდენიმე კატეგორიის ადამიანები: ირლანდიაში მცხოვრები ირლანდიელები, საზღვარგარეთ გაფანტული იმიგრანტები, ირლანდიური ფესვების მქონე უცხოელები და, უბრალოდ, ისინი, რომელთაც ეს ქვეყანა ამა თუ იმ გარემოების გამო ძალიან უყვართ. ასეთები კი, მერწმუნეთ, მრავლად არიან. პირადად ჩემთვის, ირლანდიის სიყვარული "უხსოვარი დროიდან" – ღრმა ბავშვობიდან იწყება, როდესაც აღმოვაჩინე, რომ საყვარელი გმირი "უთავო მხედრიდან", მორის მუსტანგერი ირლანდიელი გახლდათ. შემდეგ ეს გრძნობა სხვა, გაცილებით უფრო რეალური და უფრო დიდი ირლანდიელების გამოჩენამ გაამყარა. ასე რომ, დღეს ვზეიმობთ ყველა, ვისაც განსაკუთრებულად ტკბილი მოგონებები გვაკავშირებს იგივე, ბონოსთან თუ სემუელ ბეკეტთან, ან თუნდაც "ბეილისთან ან "ბუშმილსთან". ვზეიმობთ ისინიც, ვისაც გვსიამოვნებს, რომ "მაკდონალდსითა" და "პოპკორნზე მისაყოლებელი" ბლოკბასტერებით გაჯერებულ გლობალურ კულტურას ირლანდია ხან "რივერდანსით" უმაღლებს რეპუტაციას და ხან – იეიტსის პოეზიით.

■ ■ ■

წმინდა პატრიკის დღეზე ამბობენ, რომ ეს ის დღეა, როდესაც მთელ მსოფლიოს სურს, ირლანდიელი იყოს. მაინც როგორ გახდა წარმოშობით რომაელი ბრიტანელი მწყემსი ჯერ ირლანდიელების მფარველი წმინდანი და შემდეგ იმ დღესასწაულის მიზეზი, რომელსაც ირლანდიაში ახალ წელსა და შობაზე მეტად აღნიშნავენ?

არსებული ცნობების მიხედვით, ის შოტლანდიაში რომაელი მშობლების ოჯახში ჩვენი წელთაღრიცხვით 375 წელს დაიბადა. ყმაწვილობის ასაკში პატრიკი მეკობრეებმა გაიტაცეს და წარმართულ ირლანდიაში, მწყემსებს მიჰყიდეს. ექვსი წლის შემდეგ მან ნახა სიზმარი, რომლის შთაგონებითაც მონობას თავი დააღწია და ირლანდიის ზღვის გავლით, ჯერ ბრიტანეთში, შემდეგ კი საფრანგეთში გადავიდა. პატრიკმა ოცი წელი მორმუტიეს სააბატოში დაჰყო. სწორედ იქ ნახა მან გამოცხადება, რომლის მიხედვითაც ქრისტიანი პატრიკი უნდა დაბრუნებულიყო წარმართულ ირლანდიაში და მოექცია ქვეყანა რწმენისკენ. 432 წელს რომის პაპმა ცელესტინმა წმინდა პატრიკი წმინდა მისიით ირლანდიაში, მართლაც, გაგზავნა. ის, თავისი ამალით, მეფე ტარას ეწვია, რადგან იცოდა, თუ მოიპოვებდა ძლიერი ხელმწიფის მხარდაჭერას, შემდეგ მოსახლეობის მოქცევაც არ გაუჭირდებოდა. დიდებულებს წმინდა პატრიკმა ქრისტიანობის ანაბანა ძალზე უბრალოდ აუხსნა: დაიხარა, მოწყვიტა სამყურას ერთი ღერი და ირლანდიელებს აუწყა, რომ როგორც ერთ სამყურას ჰქონდა სამი ფურცელი, ისე ღმერთს ჰქონდა სამი სახე – მამა, ძე და სულიწმინდა. დიდებულებზე პატრიკის ქადაგებამ დიდი გავლენა იქონია და მას მისცეს უფლება, ქრისტიანობა ქვეყანაში თავისუფლად გაევრცელებინა.



ვისკი - ირლანდიის სიამაყე

წმინდა პატრიკს ისტორიაში ასევე იცნობენ, როგორც ირლანდიის კუნძულიდან გველების განმდევნელს. თუმცა, გავრცელებული აზრის თანახმად, ამ ლეგენდას უფრო სიმბოლური დატვირთვა უნდა ჰქონდეს – გველებში, ალბათ, წარმართობა იგულისხმება, რომელიც წმინდა პატრიკმა ირლანდიიდან მართლაც განდევნა.

ამ დამსახურებათა გამო, წმინდა პატრიკის გარდაცვალების დღე ირლანდიის მთავარ ეროვნულ დღესასწაულად იქცა, მწვანე კი – მცენარე სამყურას ფერი – ირლანდიის სიმბოლოდ (თუმცა, ზოგიერთი გადმოცემის თანახმად, მწვანე ფერის ანაფორა ემოსა თავად წმინდა პატრიკსაც და საერთოდ, მწვანე ირლანდიელებს უყვართ, როგორც გაზაფხულის მომასწავებელი ფერიც).

■ ■ ■

სან დიეგო, ჩიკაგო, ნიუ იორკი, ვაშინგტონი, სავანა, სეული, ლონდონი, რომი, მილანი, ველინგტონი, მოსკოვი – ეს ის ქალაქებია, რომლებიც ირლანდიური ფენომენის დღეს აღნიშნავენ და ყოველ 17 მარტს მწვანედ იღებებიან. დღესასწაულის ორგანიზატორები უცხოურ ქვეყნებში გაბნეული დიდი ირლანდიური დიასპორებია. თუმცა, აღლუმებში, ქუჩის წარმოდგენებში, გამოფენებსა და კონცერტებში არაირლანდიელებიც სიამოვნებით მონაწილეობენ. რა თქმა უნდა, კლიენტებს ვერ აუდიან ვერც ირლანდიურ პაბებში. წმინდა პატრიკის დღეს აღნიშნავენ თბილისშიც. თუმცა, ბუნებრივია, ჩვენთან ყველაფერი ქართულ, მცირე მასშტაბებში ხდება, განსხვავებით იგივე, მოსკოვისგან, სადაც "მწვანე ზეიმი" ჯერ კიდევ გუშინ დაიწყო.

ირლანდიური კულტურის მოყვარული ტურისტები კი მაინც ამჯობინებენ 17 მარტი დუბლინში გაატარონ. მწვანედ გადაღებილი ქალაქისა და ერთდღიანი, "გინესით" გაჯერებული ქეიფის შემდეგ ისინი მელანქოლიური, მაგრამ საოცრად ლამაზი ქალაქის დათვალიერებასაც ესწრაფვიან. ირლანდიის დედაქალაქში არსებობს რამდენიმე მისამართი, სადაც საყვარელი ქვეყნის სული ყველაზე მეტად არის შემონახული.

ერთ-ერთი მათგანი დუბლინის მწერალთა მუზეუმია, რომელიც 1991 წელს გაიხსნა. ის მე-18 საუკუნის ულამაზეს რეზიდენციაშია განთავსებული და მოიცავს ყველაფერს ირლანდიური ლიტერატურული ტრადიციების შესახებ. აქ წარმოდგენილი წიგნებით, პირადი წერილებით, პირადი ნივთებითა და პორტრეტებით, გაიხსენებთ მრავალ ავტორს, მათ შორის, სვიფტსა და შერიდანს, შოუსა და უაილდს, იეიტსს, ჯოისსა და ბეკეტს...

ირლანდიური ლუდის მოყვარულები, ბუნებრივია, ფურცლებში ძიებას, ჯეიმს გეიტსში წასვლას არჩევენ. იქ "გინესის" ქარხანა მდებარეობს. ბარებითა და გალერეებით, მუზეუმითა და ტურებით. ორიგინალურად მოწყობილ უზარმაზარ შენობაში სტუმრებს ნაბიჯ-ნაბიჯ აცნობენ ლუდის დამზადების პროცესს, "გინესის" წარმოშობის ისტორიას და იმასაც, თუ რომელ ქვეყანაში სცემენ ამ სასმელს ყველაზე დიდ პატივს. მეტიც, დუბლინი ხომ ის ქალაქია, სადაც დაწვრილებით შეგიძლიათ გაიგოთ ყველაფერი ირლანდიური ვისკის და ყავის შესახებაც.

ჩვენ კი ეს წარმოსახვითი მოგზაურობა ირლანდიაში რამდენიმე აუცილებელი რეცეპტით დავამთავროთ. მათი ცოდნის გარეშე ირლანდიური კულტურის ჭეშმარიტი ფანები ვერაფრით გვერქმევა.

მართალია, ყველაზე გავრცელებული ირლანდიური კერძი (ქართული საცივის მსგავსად) დამარილებული ძროხის ხორცი და ბოსტნეულია, მაგრამ ასევე გავრცელებულია ირლანდიური საუზმეც. ასე რომ, დღეს მაინც ვუღალატოთ ტრადიციას და დილა ირლანდიური საკვებით დავიწყოთ, რომელსაც აუცილებლად უნდა დავაყოლოთ ტკბილი, რძიანი ჩაი.

## აი, როგორ მზადდება საუზმე:

**ინგრედიენტები**:
ბეკონის 6 სქელი ნაჭერი
2 ჩაის კოვზი კარაქი ან მარგარინი
4 კვერცხი
2 მცირე ზომის, დაჭრილი პომიდორი
2 ჭიქა სოკო
სოდაზე დამზადებული პურის 4 ნაჭერი
*გათვლილია ორ ადამიანზე*

**მომზადების წესი**:
ფართო ტაფაზე ერთ ფენად დავაწყოთ ბეკონის ნაჭრები და ორივე მხრიდან შევწვათ. შემდეგ ისინი ცალკე ლანგარზე გადავდოთ, ცხიმი კი შევინახოთ.

ტაფაზე დავადნოთ კარაქი და ჩავახალოთ კვერცხი, ოღონდ ისე, რომ არ დაზიანდეს გული. ტაფაზე ნაჭერ-ნაჭერ მოვშუშოთ პომიდორიცა და სოკოც და ხანდახან ამოვურიოთ. შევწვათ პურიც ორივე მხრიდან. როდესაც კვერცხის ცილა კარგად შეიწვება, გული კი მაინც შეინარჩუნებს ცინცხალ ფორმას, ეს იმას ნიშნავს, რომ საუზმე უკვე მზად არის. შემწვარი მასა გადმოვიღოთ, ორ ნაწილად გავყოთ და ბეკონებთან ერთად სუფრაზე მივიტანოთ.

კალეიდოსკოპი

## ფაქტები ირლანდიის შესახებ

**სახელმწიფოს ოფიციალური სახელი**: ირლანდია

**მდებარეობა**: დასავლეთ ევროპა. სტრატეგიული რეგიონი ჩრდილოეთ ამერიკასა და ჩრდილოეთ ევროპას შორის განხორციელებული საზღვაო და საჰაერო მარშრუტებისთვის.

**კლიმატი**: ზღვისპირა;

**გარემოს დაცვის პრობლემები**: წყლების დაბინძურება სოფლის მეურნეობის ნარჩენი პროდუქტებით;

**მოსახლეობა**: 3.883.159 (2002 წლის მონაცემი);

**მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი**: 1.07 პროცენტი;

**ეთნიკური ჯგუფები**: კელტური, ინგლისური;

**რელიგია**: რომაული კათოლიკური – 91.6 პროცენტი; ირლანდიის ეკლესია – 2.5 პროცენტი, სხვა – 5.9 პროცენტი;

**ენები**: საზოგადოდ გამოიყენება ინგლისური; ირლანდიურად (გელურად) ძირითადად, საუბრობენ დასავლეთ სანაპიროზე;

**შიდსის გავრცელების მაჩვენებელი**: 0.1 პროცენტი;

**მთავრობის ტიპი**: რესპუბლიკური

**დედაქალაქი**: დუბლინი

**ადმინისტრაციული დანაყოფები**: 26 ნაწილი

**დამოუკიდებლობა**: 1921 წლის 6 დეკემბერი (ბრიტანეთთან გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად);

**ეროვნული დღესასწაული**: 17 მარტი, წმინდა პატრიკის დღე

**კონსტიტუცია**: პლებისციტის საფუძველზე მიღებულია 1937 წლის 1 ივლისს;

**აღმასრულებელი ხელისუფლება**: სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი მერი მაკლისი; მთავრობის ხელმძღვანელი – პრემიერ-მინისტრი ბერტი აჰერნი;

**საკანონმდებლო ხელისუფლება**: ორპალატიანი პარლამენტი და წარმომადგენელთა სახლი;

**სასამართლო ხელისუფლება**: უზენაესი სასამართლო (მოსამართლეებს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრისა და მისი კაბინეტის კონსულტაციების შემდეგ ნიშნავს);

**ბიუჯეტი**: შემოსავალი – 34 მილიარდი დოლარი; გასავალი – 27 მილიარდი დოლარი;

**ინდუსტრია**: საკვები პროდუქტების, ქსოვილის, ქიმიური და ფარმაცევტული ნივთიერებების, ლუდის, მანქანათმშენებლობის, მინისა და ბროლის, კომპიუტერული ტექნიკის;

**ექსპორტი**: 75.9 მილიარდი

**იმპორტი**: 49.5 მილიარდი

**ვალუტის კოდი**: EUR; IEP

**სატელეფონო ხაზები**: 1.59 მილიარდი

**მობილური ტელეფონები**: 2 მილიონი (2001 წლის მონაცემი)

**ქვეყნის კოდი ინტერნეტში**: .ie

**ინტერნეტ-პროვაიდერები**: 22 (2002 წლის მონაცემი)

**ინტერნეტ-მომხმარებელი**: 1.31 მილიონი (2002 წლის მონაცემი)

**პორტები**: არკლოუ, კორკი, დუბლინი, ფოინსი, დროგედა, გალვეი, ლიმერიკი, ნიუ როსი, უოტერფორდი;

### დღეს
### ორშაბათს, 17 მარტს




461 წელი: ლეგენდის მიხედვით, გარდაიცვალა წმინდა პატრიკი - ირლანდიის მფარველი წმინდანი.

1649 წელი: ოლივერ კრომველმა ბრიტანეთში მონარქია გააუქმა.

1969 წელი: გოლდა მეირი ისრაელის პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი გახდა.

1978 წელი: ბრეტანის სანაპიროს ნავთობ-ტანკერი "ამოკო კადიზი" შეეჯახა, რის შედეგადაც ზღვაში 220 ათასი ტონა ნავთობი ჩაიღვარა.

1993 წელი: საფრანგეთმა გააუქმა ეროვნული არმიის საფოსტო მტრედების ქვედანაყოფი, რომელიც ასი წლის გახლდათ.

2002 წელი: პაკისტანის ქალაქ ისლამაბადში, პროტესტანტულ ეკლესიაში მიმდინარე ღვთისმსახურების დროს ორმა ტერორისტმა შენობაში ბომბები შეაგდო, რის შედეგადაც დაიღუპა ხუთი ადამიანი, მათ შორის, ორი ამერიკელი.

© GRAPHIC NEWS



# „ალბერტინა" კვლავ გაიხსნა



ალბრეხტ დიურერი "მაღალი ბალახი". ალბერტინას კოლექციიდან

შაბათს, ათწლიანი რემონტის დასრულების შემდეგ, ვენაში კვლავ გაიხსნა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მდიდარი მუზეუმი, სამხატვრო გალერეა "ალბერტინა". ავსტრიის ფედერალური პრეზიდენტის, თომას კლესტილის თქმით – სწორედ მას ხვდა წილად გალერეის გახსნის პატივი – "ალბერტინას" გახსნა წლის ერთ-ერთი ცენტრალური კულტურული მოვლენაა. "მთელი პლანეტიდან ათასობით ადამიანი ჩამოვიდა ვენაში იმისთვის, რომ ამ ღირსშესანიშნავ ამბავს დასწრებოდა," თქვა მან.

სწორედ სახვითი ხელოვნების მოყვარულთა სიმრავლის გამო გადაწყდა, რომ გახსნის ცერემონია გალერეის კედლებში კი არა, ვენის ერთ-ერთ სასახლეში, ჰოფბურგში გაიმართა. ეს სასახლე ოდესღაც ავსტრია-უნგრეთის კაიზერთა რეზიდენცია იყო, დღეს კი მათი ადგილი ავსტრიის პრეზიდენტმა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ დაიკავეს.

"ალბერტინას" გახსნის ცერემონიას მთელი ავსტრიის მთავრობა ესწრებოდა. საპატიო სტუმართა შორის თვით ნორვეგიის დედოფალიც იყო. ავსტრიის პრეზიდენტმა საზეიმო სიტყვაში თქვა: "ყველა ავსტრიელს შეუძლია თავისი მუზეუმით იამაყოს – ის უწინაც ასეთი იყო და ევროპის კულტურისა და ევროპული აზროვნების განვითარებას კვლავ შეუწყობს ხელს."

თავად "ალბერტინას" შენობა – სასახლე – 1742-45 წლებში აშენდა. მუზეუმი "ალბერტინა" თავის დამაარსებლის სახელს ატარებს: მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, ჰერცოგმა ალბერტ ფონ საქსენ-ტეშენმა ის გალერეად აქცია: "განმანათლებლის სულისკვეთებით და დიადი ხელოვნების დასახმარებლად." კოლექცია, რომელიც ავსტრია-უნგრეთის მონარქიის არსებობის დროს კერძო საკუთრება იყო, 1822 წლიდან საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა – მისი დათვალიერება ყველას შეეძლო.

დათვალიერება კი ნამდვილად ღირს: "ალბერტინას" სიამაყე, გრაფიკული კოლექცია, 44 ათას ნახატს და 1,5 მილიონ ანაბეჭდს მოიცავს, ევროპის ყველა დროისა და ყველა ქვეყნის ხელოვნების ნიმუშებს. აქ დაცულია 1400 წლის ევროპული გრაფიკის ნიმუშები, აღორძინების ხანის იტალიელი მხატვრების – ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს, რაფაელის შედევრები, რუბენსისა და რემბრანდტის ნახატები... მეოცე საუკუნის ხელოვნებას სხვათა შორის, ეგონ შილე და გუსტავ კლიმტი წარმოადგენენ. "ალბერტინას" "ვიწრო სპეციალური" კოლექციებიც აქვს, მაგალითად, არქიტექტორთა ჩანახატები – ბორომინისა და ბერნინის ესკიზები.

განსაკუთრებით აღსანიშნავი კი მაინც ალბრეხტ დიურერის გრაფიკული ნამუშევრების კოლექციაა – მსგავსი საგანძური მსოფლიოს არცერთ მუზეუმს არ გააჩნია.



ვენა. მუზეუმი "ალბერტინა"

# შაგალი პარიზში



მარკ შაგალი "თაიგული"

დაახლოებით 30 წელია, ევროპაში ასეთი გამოფენა არ გახსნილა: პარიზის ცენტრში, "დიდ სასახლეში" ხელოვნების მოყვარულ საზოგადოებას შეუძლია მარკ შაგალის 180 ნამუშევარი იხილოს.

გამოფენა მნახველს უცნობ შაგალსაც აცნობს – ადრეული, ვიტებსკის პერიოდის ტილოები შეიძლება ყველაზე საინტერესო ექსპონატებად იქნეს განხილული.

ექსპოზიცია ოსტატის შემოქმედების ხუთ პერიოდს წარმოაჩენს, 1908-დან 1985 წლამდე.

# ბრილიანტის კაბა

ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოების გადაცემისთვის, უკვე მეორე წელია, იტალიური სავაჭრო კომისია იტალიელი დიზაინერების ნამუშევრების გამოფენას აწყობს. მასზე წარმოდგენილი ოქროსა და ბრილიანტის სამკაულების ღირებულება 30 მილიონი დოლარია.

წელს „ოსკარებზე" იტალიის მთავარი ექსპონატი ბრილიანტის კაბა იქნება, რომელიც საგანგებოდ "ოსკარის" 75-ე იუბილესთვისაა შექმნილი.

უნიკალური კაბა, რომლის ფასიც რამდენიმე მილიარდი დოლარია, ნიუ იორკელი დიზაინერის, რანდი რამის და იტალიელი იუველირის, შტეფან ჰაფნერის ერთობლივი ნამუშევარია. იუველირმა მისთვის თეთრი, ყვითელი და ყავისფერი ბრილიანტები შეარჩია, რომელთა წონაც 800 კარატს შეადგენს.

18 მარტს კაბა საქველმოქმედო აუქციონზე გაიყიდება, რომლის წამყვანებიც მომღერალი ბრიტნი სპირსი და სასტუმროების იმპერიის მემკვიდრე, პერის ჰილტონი იქნებიან. 23 მარტს კი ერთი ცნობილი მსახიობი მას ოსკარის გადაცემის ცერემონიაზე ჩაიცვამს – ვინ იქნება ეს ბედნიერი, ჯერჯერობით, უცნობია.

## სკანდინავიური კროსვორდი




NMCP
Netherlands Management Cooperation Programme
ნიდერლანდის მართვის თანამშრომლობის პროგრამა

**მოიწვიეთ თქვენს კომპანიაში ჰოლანდიელი მენეჯერი!**

ნიდერლანდის სამეფოს სამთავრობო პროგრამა მენეჯმენტის განვითარების და თანამშრომლობის დარგში (NMCP), ქართ წარმომადგენლებს გაძლევთ საშუალებას, ერთი ან ორი კვირით, უფასოდ მოიწვიოთ თქვენს ფირმაში გამოცდილი ჰოლანდიელი სპეციალისტი. ჰოლანდიელი ექსპერტი დაგეხმარებათ თქვენი კომპანიის მენეჯმენტის, მარკეტინგის, PR-ის განვითარებასა და სრულყოფაში, ახალი და საქმიანი კონტაქტების დამყარებაში.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოში NMCP პროგრამის კოორდინატორს (ტელ: 899-931454). აგრეთვე, შეგიძლიათ მოიპოვოთ ინფორმაცია ინტერნეტის მეშვეობით (www.nmcp.nl). გისურვებთ წარმატებებს.

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24


მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, ტელ: 202424 ფაქსი: 202425, e-mail: public@24hours.ge
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში